# საზოგადოებრივი კოლეჯი "ელიტი"



ქუთაისი

2016 წელი

## კოლეჯის მისია:

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

## ჩვენი ისტორია

საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ელიტი“ დაფუძნდა 2014 წლის 15 ოქტომბერს. კოლეჯი საქმიანობის საწყის ეტაპზე იმყოფება, მას აქვს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსი, რათა ტრადიციული და თანამედროვე მიდგომებით აღზარდოს კონკრეტული დარგის პროფესიონალები.



სწორედ ეს არის საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“–ს მთავარი ორიენტირი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში - მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ჩვენი პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კოლეჯის მამოძრავებელ გუნდს უკვე აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ხედვა და ამბიცია – თუ სად დაიკავებს კოლეჯი თავის ნიშას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

## საკონტაქტო ინფორმაცია

საზოგადოებრივი კოლეჯი "ელიტი"

ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. 7 (ყოფილი ცისფერყანწელთა ქუჩა)

ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.15

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

1. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ღონისძიებათა მომწყობი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 57 ECTS კრედიტს.

2. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სასტუმრო საქმისმწარმოებელი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 100 ECTS კრედიტს.

3. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სარესტორნო საქმისმწარმოებელი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ოფის მენეჯერი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 62 ECTS კრედიტს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** კორესპონდენტი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს.

**6. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ინფორმაციული ტექნოლოგი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 42 ECTS კრედიტს.

**7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბუღალტერი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს.

**8. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ექთნის თანაშემწე
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 ECTS კრედიტს.

**9. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** კბილის ტექნიკოსი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 68 ECTS კრედიტს.

10. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** მასაჟისტი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 64 ECTS კრედიტს.

**11. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწე
**პროფესიული განათლების საფეხური:** V საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**პროგრამისმოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

12. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** პრაქტიკოსი ექთანი
**პროფესიული განათლების საფეხური:**V საფეხური
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 150 ECTS კრედიტს.

13. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბანკის მოლარე-ოპერატორი
**პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური
**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბანკის მოლარე-ოპერატორისმესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

14. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
**პროფესიული განათლების საფეხური:** V საფეხური
**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 162 ECTS კრედიტს.





**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ღონისძიებათა მომწყობი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური

**III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**IV. პროგრამისმოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 57 ECTS კრედიტს;**

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, მინიმალური ასაკი 18 წელი, A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

**VI. დასაქმების სფერო:** ღონისძიებათა მომწყობი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ დაწესებულებაში, სხვადასხვა ღონისძიების: დღეობების, სადღესასწაულო და საქმიანი შეხვედრების მომწყობის, ადმინისტრატორის, მენეჯერის თანამდებობაზე.

**VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს დასაქმების ბაზრის მოტხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ღონისძიებათა მომწყობი, რომელიც აღჭურვილი იქნება ისეთი აუცილებელი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ–ჩვევებით, როგორიც არის: ხელოვნების სხვადასხვა დარგის, სტილის და ჟანრების მიმდინარეობი და მათი განვითარების თავისებურებები და ტენდენციები; მხატვრული დიზაინის, თეატრალური სახეობების და შესაბამისი ეპოქის თავისებურებები; ღონისძიებათა ორგანიზების ინდუსტრიის ფუნქციონირებისა და ორგანიზების სახეები; თეატრალური, მუსიკალური და მხატრული ნაწარმოების გაფორმება სტილისტიკა.

**VII. სწავლისშედეგი:**

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br>➢ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებათა ორგანიზებისთვის აუცილებელი პრინციპები საქმიანი/პროფესიული ურთიერთობების კონტექსტში; |

- სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებათა ორგანიზების მთავარი პრინციპები და მეთოდები
  ხელოვნების სხვადასხვა დარგები და მათი სახეები (მუსიკა, მხატვრობა, თეატრი), ისტორიული მიმდინარეობები, მათი ზოგადი  მნიშვნელობა, უძველესი კულტურების წარმოშობის, მათი სოციალურ-კულტურული მახასიათებლები,კულტურული, ისტორიული და რელიგიური კონტექსტიXX საუკუნის ევროპისა და ამერიკის სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ძირითადი და მოწინავე მიმართულებები;
  თანამედროვე ქართულ ხელოვნებში არსებული პროცესები;
- მომხმარებლის გემოვნების შესაბამისად და მათი მოთხოვნილებების ადეკვატურად სცენარის მხატვრულად გაფორმების ფორმები, აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტების გამოყენების თავისებურებები.
  - საქმისწარმოების ისეთი ელემენტები,როგორიც არის:კომპანიის ბლანკის სახეები, მათი რეკვიზიტები და დანიშნულება საქმისწარმეობაში; პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის შედგენა და შევსება;საქმიანი და კომერციული დოკუმენტაციის სახეები,  მათი შედგენის სპეციფიკა და თავისებურებები, აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტები;
  - საქმიანი ურთიერთობების ფორმები, საქმიანი საუბრისა და მიმოწერის ნორმები, პროფესიული ეთიკის ნორმები და ეტიკეტი.
  - ადამიანური რესურსების პირადი საქმეების დოკუმენტაციათა სახეები, მათი შექმნა;
  - შრომისა და ადმინისტრაციული სამართლის საბაზისო ელემენტები;
  - სხვადასხვა ტიპის კონტრაქტები და მათი შედგენა; ადმინისტრაციული აქტების სახეები და სპეციფიკა;
  - ბიზნეს გეგმის შედგენის პრინციპები, მიზნები და ფუნქციები,  ბიზნესის შერჩევის თავისებურებები, სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა და ბიზნესის ადგილსამყოფელის ზოგადი შეფასების წესები.

| | |
|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | **პროფესიულ სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის დღეობების, ბიზნეს შეხვედრების, პრეზენტაციებისა და კონფერენციების ორგანიზებას, ღონისძიებათა მოწყობის თეორიული ხერხების პროფესიულ გარემოში გადატანას, რათა უზრუნველყოს თანხვედრა დამკვეთის გემოვნებასა და ღონისძიებათა სცენარის ორგანიზების შესაძლებლობებს შორის;<br>➢ დამკვეთის გემოვნების ადეკვატური სცენარის მომზადებისთვის შესაბამისი თემატიკის განსაზღვრას, შესაბამისი დიზაინის შერჩევასა და რეკვიზიტების გაფორმებას;<br>➢ მიუსადაგოს დამკვეთის გემოვნებას და ღონისძიებათა სცენარს ხელოვნების სხვადასხვა სფეროები;<br>➢ გაეცნოს კონკრეტული მიმართულების ჯგუფის გემოვნებით თავისებურებებს, შეიმუშაოს მიზნობრივი ჯგუფისთვის იდეები და უზრუნველყოს ამ იდეების თეატრალიზებული და ხელოვნების შემოქმედებითი კომპონენტებით დატვირთვა; სცენარის გაკეთება; თემატიკის შესაბამისი რეკვიზიტების შერჩევა და მხატვრული გაფორმება;<br>➢ ოპერატიულად მოიძიოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რაზეც დაყრდნობით შეიმუშავებს დღის წესრიგს და დაგეგმავს დღეს;<br>➢ ბიზნეს გეგმის შედგენას, ბიზნესის შერჩევას, სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას და ბიზნესის ადგილსამყოფელის ზოგად შეფასებას, მომხმარებელის სეგმენტირებას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების მიხედვით, კონკურენტების გამოვლენას, გაყიდვებისა და საფასო პრიორიტეტების განსაზღვრას, რეკლამირებას, ბიუჯეტის დათვლას და ხარჯთაღრიცხვას, ფულადი გარიგების ფორმების შერჩევას;<br>➢ სტანდარტული მეთოდების გამოყენებით შეძლებს დაითვალოს ბიუჯეტი და უზრუნვლყოს ხარჯთაღრიცხვის წარმოება, იმოქმედოს მის მიერვე დაგეგმილი სამუშაო დღის შესაბამისად, პროფესიული საქმინობის ფარგლებში სამართლებრივი აქტების სწორედ გამოყენებას, |

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულების გაფორმებას და დოკუმენტაციათა დახარისხებას.<br>➢ სამსახურებრივი დოკუმენტების კლასიფიკაციას, გადარჩევას, ინდექსირებას, რეგისტრაციას და ოპერატიულად შენახვა/დაცვას; კომპანიის შიდა დოკუმენტაციის (კომერციული, საქმიანი, საერთაშორისო) პროექტების მომზადებას, ადამიანური რესურსების პირადი საქმეების შექმნას და ამ პროცესის ორგანიზებას;<br>➢ ტრაფარეტული კონტრაქტების შედგენას, გაფორმებას;<br>➢ პროფესიულ საქმიანობაში სამართლებრივი აქტების სწორად, დანიშნულებისამებრ გამოყენებას;<br>➢ მიღებული თეორიულ ცოდნის საფუძველზე რეალურ პრაქტიკულ გარემოში, მოიძიოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია, შეიმუშაოს სცენარი, ასევე მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების თემატიკის შერჩევაში, რომელსაც შესაბამისობაში მოიყვანს დამკვეთის გემოვნებასა და სურვილებთან, უზრუნველყოს მათ მხატვრული გაფორმება, დიზაინისა და რეკვიზიტების შეჩევა; |
| დასკვნის უნარი | **პროფესიულ სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ მოიძიოს და დაამუშაოს ინფორმაცია მიმართულების შესაბამისი აქტივობების თემატიკის გარშემო;<br>➢ მოსაწყობ ღონისძიებათა სპეციფიკის გათვალისწინებით და დამკვეთის გემოვნების შესაბამისად მიიღოს, შეიმუშავოს, შეისწავლოს ინფორმაცია და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს პრობლემურ საკითხთა ერთობლიობა, პრობლემების მათი წარმოშობის წყაროები და მიზეზები შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიულად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. |
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიულ სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ საქმიან კომუნიკაციას საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ თემებზე, საკუთარი მო-საზრებების წარდგენას, მომსახურების შესახებ დეტალური |

| | |
|---|---|
| | ინფორმაციის ზეპირად და წერილობით მიწოდებას კოლეგებთან, სამუშაო ჯგუფთან, ხელმძღვანელობასთან თუ კლიენტებთან;<br><br>➢ ღონისძიებათა მოწყობისას გამოიყენოს პროფესიული ტერმინოლოგია, კომუნიკაცია დაამყაროს დამკვეთებთან და კოლეგებთან ზეპირი და წერილობითი ფორმით, როგორც ქართულ ისე უცხოურ (ინგლისურ) ენებზე;<br><br>➢ სამუშაოდან გამომდინარე უზრუნველყოს მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება, მიწოდება ზეპირად და წერილობით, როგორც ქათულ, ისე უცხოურ (ინგლისურ) ენებზე.  დაამყაროს საქმიანი კავშირები;<br><br>➢ დაამყაროს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და თემატიკის შესაბამის საქმიან/პროფესიულ ინდივიდებთან საქმიანი ურთიერთობები, მიიღოს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია მომსახურების შესახებ, როგორც ქართულ ისე უცხოურ (ინგლისურ) ენებზე, წერილობითი და ზეპირი ფორმით.<br><br>➢ MS Windows–ის საოფისე სისტემასთან – საოფისე კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობას; |
| სწავლის უნარი | **პროფესიულ სტუდენტი შეძლებს:**<br><br>• პერმანენტულად მოიძიოს ღონისძიებათა მოწყობის განსხვავებული თემატიკის შესახებ უახლოესი ინფორმაცია, გაეცნოს სხვადასხვა დღეობების ორგანიზების ფორმებს;<br>არსებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოიყალიბოს სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის შემდგომი შესაძლებლობები;<br>• ღონისძიებათა ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინებით  განსაზღვროს პროფესიული თვითგანვითარების შესაძლებლობები და კარიერული წინსვლა; |
| ღირებულებები | **პროფესიულ სტუდენტი შეძლებს:** |

| | |
|---|---|
| | ➢ გულდასმით მოისმინოს და გაითვალისწინოს დამკვეთის მოთხოვნილებები, რის ადაპტირებასაც მოახდენს, შეძლებისდაგვარად, პროფესიულ კონტექსტში ყველა პროცედურის წესებისა და ნორმების დაცვით;<br>➢ გამოავლინოს ღონისძიებათა ორგანიზებისათვის დამახასიათებელი პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, იყოს ტოლერანტული, განსხვავებულ სიტუაციებში იყოს სხვისი მოსაზრებისა და შეხედულებების პატივისმცემელი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან თვისებად მიიჩნევა დღეობის, ღონისძიებათა ორგანიზებისათვის;<br>➢ კლიენტთან, კოლეგებთან და დამსაქმებელთან ურთი-ერთობისას დაიცვას პროფესიული ქცევის ნორმები და გაით-ვალისწინოს კლიენტის სურვილებს; ასევე, დაიცვას უსაფ-რთხოების წესები; პასუხისმგებელი იყოს მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე; |

## სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსები |
|---|
| ბიზნეს გეგმის საფუძვლები |
| საქმიანი ურთიერთობები |
| საქმის წარმოების საფუძვლები |
| ქართული ენა - პროფესიული კურსი |
| ღონისძიებათა ორგანიზების საფუძვლები |
| ხელოვნებათმცოდნეობის ზოგადი საფუძვლები |
| საოფისე კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| ინგლისური ენა (B1-B2) |

| |
|---|
| სტუდენტური აქტივობები - სასწავლო პრაქტიკა |
| ღონისძიებათა ორგანიზება საწარმოო პრაქტიკა |



I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სასტუმრო საქმისმწარმოებელი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 100ECTS კრედიტს.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

## VI. დასაქმების სფერო

სხვადასხვა ტიპის სასტუმრო ობიექტები: სასტუმრო ბრენდები, დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, სასტუმრო სახლები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, საკურორტო კომპლექსები, საკრუიზო გემები.

## VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია პროფესულ სტუდენტებს შეასწავლოს სტუმართმასპინძლობის ძირითადი პრინციპები, მომსახურების სფეროს როლი ტურისტულ ბიზნესში, სხვადასხვა ტიპის სასტუმროებში მომსახურების სპეციფიკა, მოამზადოს სასტუმროს საქმისმწარმოებლის თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ცოდნითა და უნარ–ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

## VIII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება და გაცნობიერებული ექნება:**<br>სასტუმროს სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები; სასტუმროს სხვადასხვა სამსახურების მუშაობის სპეციფიკა;<br>სასტუმრო ინდუსტრია, სტუმართმასპინძლობის პრინციპები, მასში მიმდინარე პროცესები, მოქმედი სპეციფიკა, დამახასიათებელი ნიშნები და კონცეფციები;<br>ტურიზმის სფეროს მახასიათებლები, არსი და მის დანიშნულება მომსახურების სფეროში, კერძოდ  კი ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების პროცესში მოქმედი სასტუმრო ბიზნესი, მათ ურთიერთკავშირი, საორგანიზაციო სტრუქტურა, სამუშაო პროცესისთვის დამახასიათებელი ორგანიზებისა და ფუნქციონირების თავისებურებები;<br>სასტუმროს კლასიფიკაცია, მათი ტიპები და მუშაობის თავისებურებები, სასტუმრო საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ კომპლექსური თუ შერჩეული მომსახურების პრინციპები და  პაკეტები, მათი განმასხვავებელი ნიშნები;<br>სასტუმროში მომსახურე პერსონალის როლი, მათი საქმიანობის სპეციფიკა,  მნიშვნელობა, არსებულ სამუშაოს მახასიათებლები |

| | |
|---|---|
| | და განვითარების თავისებურებები;<br>მომსახურების ეტიკეტი:<br>საზოგადოებასთან საქმიანი ურთიერთობების საფუძვლები,<br>სასტუმროში არსებული სამსახურების პროცედურები, საორგანიზაციო სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის სპეციფიკა, რომელიც აერთიანებს დასუფთავების, კარისკაცის / შიკრიკის, კონსიერჟის, დაცვის, მომარაგების, კვებისა და სასმელების განყოფილების სამსახურებს;<br>სასტუმროში მოქმედი დაჯავშნის პროცედურები, დაჯავშნის ძირითადი პრინციპები, დაჯავშნის მიღების წესები და მოთხოვნები, დაჯავშნის სამსახურის ორგანიზება, დაჯავშნის ფაზები, სასტუმრო მომსახურების, მიღება–განთავსებისა და დაჯავშნის პროცედურათა სპეციფიკა; ფლობს დაჯავშნის სარეგისტრაციო წესებს, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ჯავშნის მზადების პროცედურებს; სტუმრის მომსახურების, მათი მიღების, პირველადი ინფორმაციის მიწოდების, განთავსების მეთოდებისა და ორგანიზების თავისებურებები, გასაღების გადაცემის წესები და მასთან დაკავშირებული საქმიანობის პრინციპები. ფლობს სტუმრის იდენტიფიცირების, მათი რეგისტრირებისთვის საჭირო ფორმებს და შევსების პროცედურებს;<br>სტუმრის გაწერის და ანაგარიშსწორების მეთოდები<br>საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის „ფიდელიოს“ გამოყენების საჭიროება, მისი ფუნქციური თავისებურებები, ინტერფეისი, მენიუთა დანიშნულება, აბრიევიატურების განმარტებები, ტექნიკური ტერმინოლოგია, ელექტრონული ცხრილების სტრუქტურა, მიღება-განთავსების, შეკვეთების და დაჯავშნის ფუნქციები;<br>ანგარიშსწორების კომპიუტერული პროგრამის, სასტუმრო მომსახურებათა საფასურის მომხმარებლის ანგარიშზე დარიცხვის წესები, რომელიც ერთიანდება ძირითად დამატებით მომსახურებათა კომპლექსში, კერძოდ: საკვებისა<br>და სასმელებისი სერვისი, სატელეფონო, სამრეცხაო, ქიმწმენდა და ა.შ;<br>სასტუმრო–რესტორნების და შესაბამისი კვების ობიექტის განმასხვავებელი ნიშნები, მათი სახეები, კლასიფიკაცია და მათ ფუნქციონირება მუშაობის თავისებურებების გათვალისწინებით, ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სპეციფიურია სასტუმრო კვების ობიექტებისათვის;<br>პროცედურული და მაკოორდინირებელი მომსახურების |

| | |
|---|---|
| | მეთოდები, კვების ობიექტები და  მომარაგების განყოფილება,  სამრეცხაო და ზოგადად სასტუმროს სხვადასხვა სამსახურების მუშაობა;<br>საბაზო დონეზე  კვებისა და სასმელების მომსახურების სახეები, მათი წესები და  სუფრის ეტიკეტი;<br>კვების ბლოკებში არსებული სარესტორნო ინვენტარი, მათ შორის ჭურჭლისა და სამზარეულოს აქსესუარების მნიშვნელობა, დანიშნულება და ადეკვატურად გამოყენების წესები;<br>ღონისძიების სახეობებიდან გამომდინარე სამზარეულო საქმიანობის ძირითადი წესები,  სერვირების წესები, როგორც სასტუროს კვების ბლოკში, ასევე მის ოთახში კერძების და სასმელების მირთმევის/მომსახურების პროცედურები;<br>საუზმისთვის   შვედური მაგიდის მოწყობა და შესაბამისი საქმიანობა, მათ შორის ყავის შესვენების მომსახურება;<br>პირველადი სამედიცინო დახმარების წესები;<br>მომსახურება,მისი არსი და მშნიშვნელობა, მომსახურების პრინციპები, მისი დანიშნულება ტურისტულ ბიზნესში;<br>თანამშრომელებთან ურთიერთობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები;<br>მომხმარებლის სურვილების გამოვლენა და შესრულების ფორმები მომხმარებლის პოზიციის გათვალისწინებით;<br>განმასხვავებელი ნიშნები სასტუმროთა ტიპების გათვალისწინებით შესაბამისი მომსახურების თავისებურებებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ მოთხოვნებს;<br>საბაზო დონეზე სარეალიზაციო პროცედურათა პრინციპები, გაყიდვების გეგმის შესაბამისად  სასტუმრო ნომრისთვის ფასების  მინიჭება  მისი მდებარეობის, განლაგების, სახეობების და მსგავსი პარამეტრების გათვალისიწინებით;<br>სასტუმრო ოთახების კლასიფიცირებული ნომრები (საკონტაქტო, კორპორაციული და სპეციალური) კატეგორიები და თავისებურებები;<br>დღიური გაყიდვების გეგმა, გაყიდვის ტექნიკა   და განსაკუთრებული ფასდაკლებები, რეკლამირება;<br>საბაზო დონეზე ანგარიშსწორების (საკრედიტო ბარათების მოხმარება, თანხის გადარიცხვა),  საბუღალტრო ოპერაციების მარტივი პროცედურები და შესაბამისი ოპერაციებით გათვალისწინებული მუშაობის სპეციფიკა, საბანკო ტერმინალისა და სალარო აპარატის გამოყენება,  მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევის პროცედურა მათთვის მისაღები |

| | |
|---|---|
| | გადახდის ფორმათა გათვალისწინებით,<br>მომხმარებლის ერთიანი ანგარიშის მომზადება, დღიური აღრიცხვა–შეჯამება, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და დახურვის წესები, პასუხისმგებელი პირისთვის გადაბარება<br>ადმინისტრაციული საქმისწარმოების პრინციპები:საქმისწარმოების პროცესისთვის დამახასიათებელ დოკუმენტებთან მუშაობა;ანგარიშების შედგენა, დოკუმენტაციის ინდექსირების პრინციპები;<br>საბაზო დონეზე შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, პროფესიის მარეგულირებელი ნორმები და სტანდარტები, ხელშეკრულების შედგენა, სავალდებულო და დამატებითი რეკვიზირების გამოყენების პრინციპები, საკადრო დოკუმენტაციის წარმოების პრინციპები შრომის სამართლის ნორმების გამოყენებით; სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები და სტანდარტები; ქონების უსაფრთხოების დაცვის წესები; შრომის უსაფრთხოების წესები,ხანძარსაწინაარმდეგო დაცვის მარეგულრიებეი ნორმები<br>პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები, სამართლებრივი აქტების სახეები, დოკუმენტების მიზნობრივად შედგენის და შევსების სპეციფიკა;<br>პირადი დოკუმენტაციის მომზადების საფუძვლები;<br>ოფისში არსებული შემომავალი, შიდა და გამავალი დოკუმენტაციის კლასიფიკაციის ბაზისი;<br>შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესები;<br>საქმიანი მიმოწერის ნორმები, პროფესიული ეთიკის ნორმები, სწორი არტიკულაცია, ეტიკეტი;<br>ორგანიზებისთვის აუცილებელი პრინციპები საქმიანი/პროფესიული ურთიერთობების კონტექსტში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ სასტუმრო საქმიანობისთვის დამახასიათებელი პროცედურული სამუშაოს შესრულებას დაწყებული სტუმრების რეგისტრირებით, ნომრის განაწილებითა და გასაღების გადაცემით დამთავრებული რეგისტრირებული ინფორმაციის პროგრამული უზრუნველყოფით, რაც მოიცავს პროგრამაში ინფორმაციის შეტანას თანმიმდევრული პროცესების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს სტუმრის განთავსების შესახებ ინფორმირებულობას სასტუმროს სხვადასხვა დეპარტამენტების; |

| | |
|---|---|
| | ➢ თანამშრომლობით საქმიანობას და მაკოორდინირებელ მუშაობას დაჯავშნის სამსახურთან (ან ტურისტულ სააგენტოებთან), პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ღებულობს ვიზიტორთა შესახებ რაოდენობრივ ინფორმაციას, ჩამოსვლის და გამგზავრების თარიღებს. იძიებს ინფორმაციას ადგილების შესახებ სტუმართა განსათავსებლად პროგრამაში/ბაზაში;<br><br>➢ უშუალო სუპერვაიზერთან, ხელმძღვანელთან, ან/და მენეჯერთან ერთად შეადგინოს გეგმა სტუმართა სასტუმროში გასათავსებლად, მათ მისაღებად სასტუმრო ოთახის მზადყოფნის გადამოწმება. უზრუნველყოფს პროფესიულ კონტექსტში სტუმრის მისალმებას, მიღებას, მომსახურების შეთავაზებასა და დახმარების აღმოჩენას სასტუმრო ოთახის ტიპების, ტარიფების და მომსახურების სახეების სერჩევის შესახებ;სტუმრის ჩამოსვლისათვის საჭირო მომსახურების (სტუმრის მიღება-განთავსება) და მაკოორდინირებელი სამუშაოს შესრულება შესაბამის სამსახურებთან;<br><br>➢ გამოიყენოს დასუფთავების პროცედურები და წესები, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მოხმარებისათვის არსებული სივრცე, დერეფნების, ვესტიბიულის, შემოსასვლელების, საზ. ტუალეტების, გასახდელების, თანამშრომელთა სამუშაო არეალის, შეხვედრის დარბაზების, დერეფნების ლიფტების, კვების ობიექტების, ნომრების რეგულარული და გენერალური სათანადო წესის დაცვით დასუფთავება, რომლის დასუფთავების დროსაც გამოიყენოს წმენდის სპეციალური მოწყობილობები და მანაქანები;<br><br>➢ სასტუმრო ოთახის ატრიბუტიკით აღჭურვსა (გამოცვლა, შევსება, განახლება), თეთრეულის, პირსახოცების დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ქიმიური ხსნარების, სარეცხი და საწმენდი საშუალებების უსაფრთხო მოხმარებას;<br><br>➢ კვებისა და სასმელების მომსახურებას მათ შორის სასტუმრო ოთახებში; სარესტორნო ინვენტარის, ჭურჭლის და აქსესუარების დანიშნულებით გამოყენებას;<br><br>➢ სხვადასხვა სახის სერვირებას და მომსახურებას; |

- სხვადასხვა სახის ღონისძიებების მომსახურებას, საუზმისათვის შვედური მაგიდის მომზადებას და მომსახურებას; ყავის შესვენების მომსახურებას;
- სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზებას და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სტანდარტების დაცვას;
- დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო მარეგულირებელი ნორმები, ვენტილაციის რეჟიმები; სანიტარულ - ჰიგიენურ ნორმები და სტანდარტები; კლიენტთა ქონების უსაფრთხოების დაცვის წესები;
- ზედამხედველობა გაუწიოს ნორმებში არსებულ ინვენტარისა და ტექნიკის ექსპლუატაციაზე;
- კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, როგორც სტუმრის ასევე პირადი პროფესიული საქმიანობის კონტექსტში;
- მაკოორდინირებელი სამუშაოების შესრულება სასტუმროს სხვადასხვა სამსახურებთან;
- დაიცვას და იზრუნოს მომსახურების სტანდარტების შესაბამის მუშაოს შესრულებაზე;
- მოხმარებელთა მოსაზიდად სასტუმროს სარეკლამო მომსახურებას და პროდუქტის თუ მომსახურების შესაბამის შეთავაზებას და რეალიზაციას;
- მოახდინოს მითითებული ინფორმაციის საფუძველზე სასტუმროთა კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით;
- სასტუმროს ძირითადი და დამხმარების მომსახურების დამატებითი ფორმების შემუშავებას; სატელეფონო ეტიკეტის დაცვას, სასტუმროს სატელეფონო მომსახურებას;
- სასტუმროში მომხმარებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური მომსახურებას (მისალმებისა და მიღების ფორმები);
- სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, ბილეთის დაჯავშნასა და ტაქსის გამოძახებას; განსაზღვროს სასტუმროს მომსახურე პერსონალის მუშაობის სპეციფიკა და სტუმრის მომსახურების მთავარი მახასიათებლები;

- განსაზღვროს სასტუმროს სხვადასხვა სამსახურების გამნასხვავებელი ნიშნებიდან გამომდინარე მომუშავე პერსონლის ფუნქციები, მოვალეობები, მუშაობის თავისებურებები, მომსახურების უზრუნველყოფა და მაკოორდინირებელი ფუნქციები.

| | |
|---|---|
| | ➢ უზრუნველყოფს სტუმართა ინფორმირებას შემდეგი მიმართულებით: განსაკუთრებული/სპეციალური ფასდაკლებების არსებობის შემთხვევაში, რეგისტრირების, სასტრუმროში შემოსვლა/გასვლის დროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, სასტუმროში არსებულ დამატებითი მომსახურების, სატრანსპორტო მომსახურების (ტაქსის გამოძახება), სხვადასხვა ღონისძიებების (მათ შორის ბილეთების დაჯავშნა), ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ; სტუმართა მეტი ინფორმირებულობისათვის უზრუნველყოფს მათთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისათვის ბროშურების/ბუკლეტებისა თუ რუკების გადაცემას;<br><br>➢ სტუმრის ფასეულობათა განთავსებას სასტუმრო სეიფში; ბარგის შენახვის და სასტუმროდან ბარგის გატანის ორგანიზებას; მიღებული კორესპონდენციის მიღებას, შენახვას და სტუმრისთვის გადაცემას; შესაბამისი დეპარტამენტების ინფორმირებას სტუმრის განთავსების თაობაზე;<br><br>➢ სტუმრების ფასეულობებისა თუ ნივთების ხელშეუხებლობის დაცვას და მოფრთხილებას;<br><br>➢ აღრიცხოს დაკარგული/ნაპოვნი ნივთები; სასტუმრო ნომერში მინი ბარის შევსებას და აღრიცხვას; ოთახის მცენარეების მოვლას;<br><br>➢ სტუმრის მოთხოვნის შესაბამისად სასტუმრო ოთახის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, როგორც სასტუმროს დამატებითი მაღვიძარის მომსახურების უზრუნველყოფას, სასტუმრო ოთახში საჭიროების შემთხვევაში მომსახურების შეთავაზებას და შესაბამისი განყოფილებისადმი გადამისამართებას (შესაბამისი შეკვეთის მიღება);<br><br>➢ 24 საათის განმავლობაში სატელეფონო მომსახურებას;<br><br>➢ სპეციალური ფასდაკლებების შესახებ ინფორმაციის სწორად გადაცემა, გაყიდვებისა და სასტუმროს დატვირთვის დღიური სტატისტიკის დამუშავება;<br>➢ დეპოზიტების, ავანსების, ჩეკების, საკრედიტო ბარათების შემოწმებას; სასტუმრო საქმიანობისთვის დამახასიათებელი უფასო მომსახურების, ფასდაკლებების და გადახდის |

| | |
|---|---|
| | სპეციალური ფორმების კონტროლს;<br>➢ სტუმრებს გაუწიოს კონსულტაცია მათთვის მისაღებ გადახდის ფორმებზე და სარგებლობს ანგარიშსწორების კომპიუტერული პროგრამით; იყენებს საბანკო ტერმინალს და სალარო აპარატს;<br>➢ მოამზადოს სტუმრის მთლიანი ანგარიში, გადასახადის ქვითარი და დახუროს ანგარიში სტუმრის სასტუმროდან გასტუმრებისას; სტუმრის ანგარიშზე დარიცხოს სტუმრის მიერ მოხმარებული პროდუქტისა თუ მომსახურების საფასური, რომელიც შესაძლოა აერთიანებდეს შემდეგს: გამოყენებულ საკვებს, სასმელებს, სატელეფონო, სასტუმროს მომსახურებას და სხვა დამატებითი მომსახურებას როგორებიცაა: სამრეცხაო, ქიმწმენდა, სპა ცენტრი და ა.შ.<br>➢ სამუშაო შესრულების ასაღრიცხად დააჯამოს დღიური შემოსავლები და მოამზადოს შესაბამისი ანგარიში ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების მითითებით; მოხმარებელთა მოსაზიდად სასტუმროს სარეკლამო მომსახურების შესახებ ინფორმაციის შესაბამის შეთავაზებას და რეალიზაციას; დააჯამოს დღიური შემოსავლები და მოამზადოს შესაბამისო ანგარიში ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების მითითებით და პასუხისმგებელი პირისათვის გადაბარებით; გააკონტროლოს შვეიცარის მუშაობა;<br><br>➢ საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის „ფიდელიოს" პრაქტიკული გამოყენებას პროგრამული მენიუ ღილაკების გააქტიურებას, ელექტრონული აბრევიატურების ფუნქციონალური სარგებლობას, ელექტრონული ცხრილების გამოძახებას, სტუმრის მიღება-განთავსების ანგარიშთა წარმოებას, შეკვეთების და დაჯავნის პროცედურული უზრუნველყოფას, სხვადასხვა სამსახურების ელექტრონული კოორდინირებას;<br><br>➢ განახორციელოს სტუმრის მიღებისა და განთავსების პროცედურებო სასტუმროს მართვის საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით; დაამუშავოს ინფორმაცია, უზრუნველყოს დაჯავშნის მიღება, მოსამზადდებელი პროცედურები და რეგისტრაცია.<br><br>➢ საბაზო დონეზე გააფორმოს ხელშეკრულებები, გამოიყენოს ხელშეკრულებისთვის სავალდებულო და დამატებითი რეკვიზირები და სამართლებრივი აქტები. დოკუმენტაციის |

| | |
|---|---|
| | წარმოებას შრომის სამართლის ნორმების გამოყენებით; დოკუმენტების მიზნობრივად შედგენასა და შევსებას;<br>➢ საქმისწარმოების, დოკუმენტთა კლასიფიკაციისა და მასთან მუშაობის ზოგადი პრინციპების და პროცესების მართვას - ანგარიშის მომზადებას, შედგენას;<br>➢ - საოფისე/საკომუნიკაციო/ინფორმაციული ტექნიკით სარგებლობას პროფესიული ამოცანების შესასრულებლად;<br>➢ აწვდის ადექვატურ ინფორმაციებს როგორც მომხმარებლებს ასევე ტურისტულ სააგენტოებს.<br>➢ შეუძლია დეპოზიტების, ავანსების, ჩეკების, საკრედიტო ბარათების შემოწმება; სასტუმრო საქმიანობისტვის დამახასიათებელი უფასო მომსახურების, ფასდაკლებების და გადახდის სპეციალური ფორმების კონტროლი. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესების შესაძლებლობების გათვალისწინებით, საფუძველზეც მონაწილეობის მირებას დისკუსიებში და წინადადებების შეთავაზებას;<br>➢ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს უნარი კოორდინირებული მუშაობის, ასევე დაკისრებული სამუშაო ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულების უნარი. შეუძლია კოორდინირება კოლეგებთან და მენეჯერთან, მათ შორის პარტნიორთან, მათი დახმარება;<br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობას, მათ შეფასებას და ანალიზს;<br>➢ ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით მოუსმინოს, გაიზიაროს და გითვალისწინოს მისი ხელმძღვანელის, მენეჯერის, კოლეგების, სხვა პერსონალის თუ მომხმარებლის შენიშვნები და მითითებები, რის საფუძველზეც ახდენს დასკვნის გამოტანას;<br>➢ გამოიტანოს დასკვნა პრობლემური სიტუაციიდან გამომდინარე და ანალიზის საფუძველზე გადაჭრას არსებული პრობლემა;<br>➢ ეფექტურად იმოქმედოს ექსტრემალურ, კონფლიქტურ დაკრიტიკულ სიტუაციაში, რა დროსაც არ დაკარგოს სწორი გადაწყვეტილების უნარი;<br>➢ გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად მიდგომების შემუშავებასა და მიღებუ |

| | |
|---|---|
| | ლი შედეგების ანალიზს ;<br>➢ სხვადასხვა სიტუაციებში გაანალიზოს ინფორმაცია, გააკეთოს დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი და უზრუნველყოს მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა;<br>➢ სტუმრებთან მომსახურების/გადახდის დროს გამოვლენილ პრობლემურ სიტუაციებს ასაბუთებს შინაგანაწესის შესაბამისად. აქვს სტუმართა მომსახურებისას პრობლემების მოგვარების უნარი იმ შემთხვევაშიც როცა მომხმარებელთა რაოდენობა მოზღვავებულია ან/და არსებობს გარკვეული პრობლემური გარემოებები;<br>➢ ადეკვატურად იმოქმედოს სტუმრის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში ან სასტუმრო ოთახში გამოწვეული მოულედნელი ტექნიკური პრობლემების არსებობისას;<br>➢ შეინარჩუნოს კეთილგანწყობა მაშინაც კი, როცა არსებობს სტუმრის პრეტენზია, მათი საჩივარი, მამსახურების ხარისხობრივი პარამეტრებით გამოწვეული უკმაყოფილება და აღმოფხვრას წარმოშობილი პრობლემა;<br>➢ ორიენტირებულობას პრობლემების აღმოფხვრისაკენ;<br>➢ სტუმრისგან მიღებული ინფორმაციის კლასიფიცირებასა და იდენტიფიცირებას,<br>აგრეთვე ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული<br>მიდგომების შემუშავებასა და მიღებული შედეგების ანალიზს;<br>➢ შესასრულებელი სამუშაოს პრიორიტეტულობის დანახვას, მათ თანმიმდევრულ შესრულებათა შედეგიანობას და აქვს უნარი ხელმძღვანელებთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები;<br>➢ გუნდურ და დამოუკიდებლად მუშაობას, დაგეგმოს საკუთარ სამუშაო დღე სწორად და ეფექტურად;<br>➢ სამუშაო დღის ან დროის უფრო ხანგძლივ პერიოდში დაგეგმოს შესასრულებელი სამუშაოები ხელმძღვანელთან ან კოლეგებთან ერთად;<br>➢ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე კოორდინირებულ მუშაობას, ასევე დაკისრებული სამუშაო ვალდებულებების თანმიმდევრულ შესრულებას;<br>➢ კოორდინირებას კოლეგებთან და მენეჯერთან, პერიოდულად იმუშაოს პარტნიორებთან და აღმოუჩინოს დახმარება;<br>➢ შეეგუოს ცვალებად გარემოს და შესაბამისად სხვადასხვა სიტუაციებს;<br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების |

| | |
|---|---|
| | გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობას, მათ შეფასებას და ანალიზს;<br>➢ ინფორმაციის მიღებას, მიღებული ინფორმაციის დაზუსტებას და დროულად დამუშავებას, ანალიზის გაკეთებას და რეაგირებას;<br>➢ უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაციას - შეაფასოს კონკრეტული შემთხვევა და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება;<br>➢ სასტუმრო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ამა თუ იმ ქმდების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტას, შეფასებასა და ინფორმაციის გააზრებას გადაწყვეტილების მისაღებად; სასტუმროს დამატებითი თუ ძირითადი მომსახურების სახეების შესახებ სარგემლიანობის განსაზღვრას; დაინახოს მაკავშირებელი საქმიანობა ტურიზმის ბიზნესსა და სტუმართმასპინძლობას შორის. |
| **კომუნიკაციის უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ კომუნიკაციის დამყარებას (ზეპირი და წერილობითი), როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე, რომლის კონტექსტშიც თავისუფლად წარმართოს დიალოგი და პრაქტიკულად გამოიყენოს ენის ცოდნის პრინციპები. მოიძიოს, გაიაზროს და გაიგოს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია;<br>➢ სასტუმროში მომუშავე პერსონალთან კომუნიკაციის დამყარებას იერარქიის მიუხედავად და გულდასმით მოისმინოს, გაიგოს, გაიაზროს და დააზუსტოს მათი თხოვნები თუ დავალებები;<br>➢ პრობლემურ სუტუაციაში მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, იზრუნაოს სამუშაოს გაუმჯობესებაზე დასაბუთებულად ჩამოყალიბებული მოსაზრებების გამოყენებით;<br>➢ დარგის პროფესიული უზრუნველყოფის გამოყენებას;<br>➢ სასტუმროს სხვადასხვა სამსახურებთან ფიდელიოს ფუნქციათა გამოყენებას მაკოორდინირებელი ინფორმაციების გადასაცემად. სტუმართა პერსონალური ინფორმაციის დაკომპლექტებით სხვადასხვა სასტუმრო სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფას; მიიღოს და გააგზავნოს შიდა საინფორმაციო შეტყობინებები;<br>➢ განახორციელებს პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალურ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას;<br>➢ - შეძლებს როგორც სატელეფონო, ასევე პირად და |

| | |
|---|---|
| | ელქტრონულ კომუნიკაციის სამსახურის თანამშრომლებთან და გარეშე პირებთან;<br>➢ - მისცემს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებშ ახსნა-განმარტებას, იერარქიის, ეთიკის, ეტიკეტის ნორმების, კონფიდენციალურობის დაცვით;<br>➢ გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით;<br>კონკრეტული ლიტერატურასა და კოლეგების გამოკითხვის გ ზით მოიძიებს ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ჟურნალებიდან, სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან და ინტენრნეტით.<br>➢ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; უცხო ენის პრაქტიკულ გამოყენებას;<br>➢ საბაზისო საკომუნიკაციო უნარების დონეზე ფლობს რუსულ ან ფრანგულ (არჩევით) ენის ლექსიკის, ფონეტიკის და გრამატიკის საფუძვლების გამოყენებას ზეპირი კომუნიკაციის დამყარებისას (რუსულენოვანი ტესქტის გაგება). საკომუნიკაციო დონეზე აქვს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმებით ლინგვისტური უნარების სამეტყველო სიტუაციებში ადექვატურად განხორციელების, რუსული მარტივი ტექსტების გაგების უნარი;<br>➢ საქმიან კომუნიკაციას საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ თემებზე, საკუთარი მოსაზ-რებების წარდგენას, კოლეგებთან, სამუშაო ჯგუფთან ან ხელ-მძღვანელობასთან.დეტალური ახსნა-განმარტების მიცემას, მკაფიო და გამართულ მეტყველებას;<br>➢ სტუმართმასპინძლობისთვის დამახასიათებელი ინფორმაციის გაგებას, გააზრებასა და მოძიებას, იურთიერთობოს საზოგადოებასთან ქართულ ენაზე ზეპირი, წერილობითი ფორმით, მათ შორის ტელეფონის საშუალებით. გამოიყენოს მკოფიო საუბრის მანერა, სწორი არტიკულაცია. მომსახურების გაუმჯობესებისთვის საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებასა და დასაბუთებას;<br>➢ ჟურნალებიდან, სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან და ს პეციალური ინტერნეტ გვერდებიდან, ასევე კოლეგებთან კონსულტირებით პერმანენტულად ინფორმაციის მიღებას სასტუმრო სექტორში მიმდინარე თანამედროვე ტექნოლოგიების |

| | |
|---|---|
| | შესახებ;<br>➢ გაყიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებათა პაკეტების შეთავაზებას, შესაბამისი სარეკლამო ინფორმაციის მიწოდებას, გაყიდვების სპეციფიკის გათვალისწინებით პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას; არსებული ხარჯების შესახებ სტუმრისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებას. |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ მიღებული ინფომაციის საფუძველზე გაეცნოს ფიდელიოს ფუნქციათა გამოყენების თავსებურებებს, ნასწავლი მასალის პრაქტიკულ გამოყენებას, შემდეგი სწავლის გასაგრძელებლად დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;<br>➢ წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას;<br>➢ პროფესიული ზრდის მიზნით მოიძიოს ლიტერატურა და შესაბამისი წყაროები, დაამუშაოს და ანალიზი გაუკეთოს ინფორმაციას, დაგეგმოს სასწავლო პრიორიტეტები და საკუთარი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;<br>➢ შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე<br>პასუხისმგებლობის აღება;<br>➢ გაითვალისწინოს კურიკულუმით განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები, რის საფუძველზეც სწავლობს, ითვისებს, გადმოსცემს ნასწავლ მასალას და ღებულობს შეფასებას;<br>➢ დაგეგმაოს სასწავლო პრიორიტეტები და საკუთარი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები . |
| ღირებულებები | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>➢ გამოიჩინოს ინიციატივა დაეხმაროს სტუმრებს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქტის/მომსახურების, გაწეული ხარჯების შესახებ;<br>➢ გამოავლინოს კონსტრუქციული თანამშრომლობით და კეთილგანწყობილი ურთიერთობები პერსონალთან და კლიენტებთან;<br>➢ გამოავლინოს საქმისადმი ერთგული, პატიოსანი და ეთიკური მიდგომა, გულდასმით მოეკიდოს სტუმრის თხოვნებს, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეეცადოს სტუმრების დაკმაყოფილებას;<br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების |

| | |
|---|---|
| | შესაბამისად;<br>➢ გააცნობიეროს სასტუმრო ბიზნესში საკუთარი და სხვისი მოვალეობებისა და ფუნქციების თავისებურებები, პასუხისმგებლობით მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობებს.;<br>➢ სტუმართა მომსახურებისა და კოლეგიალურ ურთიერთობებში არის კეთილგანწყობილი, მომღიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი, დისციპლინირებული, ორგანიზებული, პუნქტუალური და მოწესრიგებული;<br>➢ გამოიჩინოს ინიციატივა დაეხმაროს კოლეგებს, სტუმრებს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; ახასიათებს საქმისადმი ერთგული, პატიოსანი და ეთიკური მიდგომა, გულდასმით ეკიდება სტუმრის თხოვნებს, პრობლემურ და კრიტიკულ სიტუაციებში არ კარგავს კონცენტრაციას და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ცდილობს სტუმრების დაკმაყოფილებას.<br>➢ გამოიჩინოს ტოლერანტულუ, აკურატულუ, ემოციურად სტაბილურუ და გაწონასწორებულუ ხასიათი;<br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად;<br>➢ სტუმრებთან, კლიენტთან, კოლეგებთან და დამსაქმებელთან ურთიერთობისას დაიცვას პროფესიული ქცევის ნორმები და გაითვალისწინოს კლიენტის სურვილები. პროფესიული საქმიანობის პროცესში დაიცვას უსაფრთხოების წესები. პასუხისმგებელობით მოეკიდოს მასზე დაკისრებულ სა-მუშაოს, რომელსაც შეასრულებს დროულად და ხარისხიანად. გაითვალისწინოს კონსტრუქციული თანამშრომლობა, კეთილგანწყობა და ტოლერანტობა;<br>➢ საქმიანობის პროცესში დაიცვას ეტიკეტისა და ეთიკის ნომრები;<br>➢ შეიქმნას ოფისის მართვის შიდა დოკუმენტაციისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება;<br>➢ ხელმძღვანელობასთან, თანამშრომლებთან, სტუმრებთან ურთიერთობისას დაიცავს ეტიკეტისა და ეთიკის ნორმებს; დაიცავს ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესებსა და პროცედურას;<br>➢ კარგად დაეფლოს სასტუმრო ბიზნესს და მასში შემავალ სტუმართმასპინძლობის ძირითად პრინციპებს, სტუმართა მომსახურების თავისებურებებს, პროფესიულ |

| | |
|---|---|
| | სტანდარტებს და სტუმართმასპინძლობისთვის დამახასიათებელ ეთიკის ნორმებს. გააცნობიერებს სასტუმრო ბიზნესში საკუთარი და სხვისი მოვალეობებისა და ფუნქციების თავისებურებებს;<br>➢ სტუმართა მომსახურებისა და კოლეგიალურ ურთიერთობებში იყოს კეთილგანწყობილი, მომღიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი, დისციპლინირებული, ორგანიზებული, პუნქტუალური და მოწესრიგებული. |

| **სასწავლო კურსები** |
|---|
| გაყიდვებისა და საბუღალტრო ოპერაციათა საფუძვლები |
| კომპიუტერული პროგრამა (სასტუმრო საქმე) |
| რუსული ენა (არჩევითი) |
| სასტუმრო საქმიანობის მექანიზმები |
| ქართული ენა - პროფესიული კურსი |
| ფრანგული ენა (არჩევითი) |
| საქმიანი ურთიერთობები |
| საქმისწარმოება და საოფისე ორგტექნიკა |
| სტუმართმასპინძლობის ძირითადი პრინციპები მომსახურების სახეები |
| შრომითი ურთიერთობის რეგულირების ნორმები |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| ინგლისური ენა (B1-B2) |
| საწარმოო პრაქტიკა – სასტუმრო საქმისმწარმოებლის დავალებები |



**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სარესტორნო საქმისმწარმოებელი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური

**III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**IV. პროგრამისმოცულობა:  პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 ECTS კრედიტს.**

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A2 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

**VI. დასაქმების სფერო**

სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტები: რესტორნები, კაფეები, ბარები, სწრაფი კვების ობიექტები, სასაუზმეები, ბუნგალოები; დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, სასტუმრო სახლები, დასასვენებელი სახლები, საკურორტო

კომპლექსები, გასართობი კომპლექსები, კლუბები, კაზინოები; საკრუიზო გემები; დიდი სუპერმარკეტები და სხვა ობიექტები, სადაც არის კვებითი მომსახურება.

## VII. პროფესიული პროგრამისმიზანი:

მეორე საფეხურის სარესტორნო საქმისმწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტები და მათი მუშაობის სპეციფიკა, რესტორნების კლასიფიკაცია, კვებითი მომსახურების სახეები, სერვირება, რესტორნის მენიუ და მისი მნიშვნელობა, კვებისა და სასმელების პრინციპები და კონცეფციები, კერძების ასორტიმენტი, ორგანიზაციული და სამზარეულოს სტრუქტურა, სარესტორნო დანადგარები, ინვენტარი ინსტრუმენტები, აკლოჰოლური და ულაკოჰოლო სასმელების სახეები (მათ შორის ცხელი სასმელები და თამბაქოს ნაწარმი), მათი წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია, კვებითი ინფექციები და უვნებლობის წესები, საბაზო დონეზე შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, დარბაზის მოწყობის წესები და სტანდარტები, ანგარიშსწორების ფორმები და ა.შ. ანუ აღჭურვოს ყველა იმ აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ–ჩვევებით, რაც აუცილებელია დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და წარმატებული კარიერის გასაკეთებლად.

## VII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:<br><br>➢ სარესტორნო სფეროს ნიშანდობლივი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები;<br>➢ კვებისა და სასმელების სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები;<br>➢ სხვადასხვა კვების ობიექტის (რესტორანი, კაფე, ბისტრო,ბარი, ბუნგალო და ა.შ) ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, მათი კლასიფიკაცია;<br>➢ ტურიზმისა და მომსახურების სფეროს არსი და დანიშნულება;<br>➢ რესტორნის დანადგარების, ინვენტარის, ინსტრუმენტების, ჭურჭლის, დანა-ჩანგლის, აქსესუარების და სხვა სამუშაო იარაღების დანიშნულება, უსაფრთხო გამოყენება, გასუფთავება, მოვლა და შენახვა ჰიგიენური და სანიტარული ნორმების |

| | |
|---|---|
| | დაცვით;<br>➢ სამუშაო ადგილის უსაფრთხო ორგანიზებისა და მომზადების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები და სავენტილაციო რეჟიმი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სტანდარტები; შრომის უსაფრთხოების ჯანმრთელობის დაცვის ნორმები, საჭირო ადგილზე უსაფრთხოების ორგანიზება და მომზადების წესები.<br>➢ რესტორნის და დამხმარე სათავსოების არეალის დასუფთავების წესები;<br>➢ სურსათის უვნებლობის პრინციპები: კვების ჰიგიენა და უსაფრთხოება; საკვები პროდუქტების ვარგისიანობა, კვებითი ინფექციები, უვარგისი სასმელითა და საკვებით გამოწვეული ინტოქსიკაციები ან დაავადებები. სურსათის უვნებლობის პრინციპები; სანიტარულ ჰიგიენური-ნორმები და სტანდარტები; ჯანსაღი და უსაფრთხო კვების წესები<br>➢ რესტორნის მენიუს სახეები, სტრუქტურა და მენიუს შედგენის პრინციპები;<br>➢ მომსახურების არსი, ძირითადი პრინციპები; მაგიდის სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში;<br>სასმელების მირთმევის ქრონომეტრაჟი;<br>**საბაზო დონეზე ეცოდინება:**<br>➢ შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, პროფესიის მარეგულირებელი ნორმები და სტანდარტები, ხელშეკრულების შედგენა, სავალდებულო და დამატებითი რეკვიზირების გამოყენების პრინციპები, საკადრო დოკუმენტაციის წარმოების პრინციპები შრომის სამართლის ნორმების გამოყენებით; პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები, სამართლებრივი აქტების სახეები, დოკუმენტების მიზნობრივად შედგენია და შევსების სპეციფიკა.<br>➢ შრომის უსაფრთხოების,<br>ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის და ვენტილაციის ს ისტემის მარეგულირებელი ნორმები,<br>➢ პირველადი სამედიცინო დახმარების წესები,<br>➢ სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები და სტანდარტები; |

| | |
|---|---|
| | საფუძვლიანად ეცოდინება:<br>დარბაზის მომზადების წესები და სტანდარტები –  ავეჯის მოხმარების და დასუფთავების წესები; რესტორნის მოწყობილობების, დანადგარების, აპარატურის, რესტორნის სამუშაო  იარაღების  წინასწარ მომზადების, დანიშნულებისამებრ მოხმარების, მოვლის, გასუფთავების, შენახვის და ინვენტარიზაციის წესები;<br>➢ ტურიზმის არსი და მასთან დაკავშირებული ძირითადი მომსახურების პრინციპები და დანიშნულება,  ტურიზმის სექტორის  დანიშნულება, სტუმარმასპინძლობის ძირითადი პრინციპები, სარესტორნო საქმის არსი და თავისებურებები ტურიზმთან ურთიერთკავშირში; მომსახურების არსი, ძირითადი პრინციპები;<br>– კვების ობიექტების მუშაობის სპეციფიკა, სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტების (რესტორანი, კაფე, სწრაფი კვების ობიექტი და სხვ.) მომხამრებლის მომსახურების არსი;<br>– მომხმარებელთა  მომსახურება მათი მოთხოვნილებებისა და  სურვილის გათვალისწინებით, მათი დაკმაყოფილებისთვის გარკვეული მცდელობებისა და ურზუნველყოფის მექანიზმები; მომსახურებისა და ქცევის ეტიკეტი და პროფესიული ეთიკა;<br>– მომსახურების როლი სარესტორნო ბიზნესში;<br>➢ მაგიდის სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში; "ა ლა კარტე" სერვისი; სუფრის ეტიკეტი და სერვირების წესები კვების განსხვავებული დროის მონაკვეთებისათვის (საუზმე, ლანჩი, სადილი, ვახშამი); სტუმრის დახვედრის, მიღების და მაგიდასთან მიცილების წესები; მენიუს და კერძების შემადგენლობის ცოდნა; დღის სპეციალური ცივი და ცხელი კერძების, დღის სუფრისა და დესერტის შეთავაზების წესები; კერძებისა და სასმელების შერჩევაში დახმარება; კერძებისა და სასმელების თავსებადობა; მენიუს მითითებული ინფორმაციის სტუმრისთვის კონსულტირება; მაგიდის სერვირების განახლება;  შეკვეთის შესაბამისი მომსახურება; საფირმო კერძის წარდგენის და შეთავაზების წესი; ფასდაკლებების გაცნობა და ფასდაკლებასთან დაკავშირებული ინფორმაცის მიწოდების თავისებურებები; |

| | |
|---|---|
| | დღის სპეციალური სასმელის შეთავაზება და სასმელებით მომხმარებლის კონსულტირება; ღვინის კატალოგის წარდგენა და აპერეტივის შეთავაზება;<br>➢ შეკვეთის მიღება; შეკვეთის გაფორმება; შეკვეთის სამზარეულოსათვის გადაცემა; შეკვეთილი კერძებისა და სასმელების მირთმევის წესი; სუფრაზე კერძებისა და სასმელების დადგენილი თანმიმდევრობით მიტანა;<br>– სერვირების პრინციპები და ძირითადი / განსხვავებული სახეები, სპეციფიკა მომსახურების სფერო;<br>➢ მომსახურების განსხვავებული სახეები სხვადასხვა ღონისძიებების შესაბამისად: ბუფეტის მომსახურება; შვედური მაგიდის მომსახურება; ფურშეტების მომსახურება; ბანკეტების, წვეულებების, VIP, ოფიციალური და დიპლომატიური სტუმრების მიღებების მომსახურება; კოკტეილების საღამოს მომსახურება; საქმიანი სადილის მომსახურება; სადღესასწაულო წვეულებების მომსახურება; ყავის შესვენებაზე მომსახურება; კორპორატიული სადილების, ლანჩების და წვეულებების მომსახურება; გასვლითი ღონისძიებების მომსახურება; სასტუმროებში საუზმის და ბრანჩის მომზადება და მომსახურება; სასტუმროს ოთახებში სასმელებითა და კერძებით მომსახურება;<br>➢ ფორლოგენით მომსახურება;<br>– სხვადასხვა წესის გამოყენებით სასმელების ჩამოსხმა და ჩამოტარება და მირთმევა მომხმარებლისთვის; დიდი სასტუმროს კვების ბლოკებში მუშაობის სპეციფიკა;<br>– ვერცხლის მომსახურება;<br>➢ დარბაზის მომზადება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის: სივრცის მომზადება, ავეჯის განლაგება, სათანადო დიზაინის მომზადება, სუფრების შერჩევა და სხვ, რაც აუცილებელია ღონისძიებების ჩასატარებლად;<br>➢ ალკოჰოლური, მათ შორის ღვინის და უალკოჰოლო სასმელების სახეები, ასორტიმენტი, მათი წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია;<br>ცნობილი უცხოური ღვინოები, მათი წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია, სპეციალური მახასიათებლები, კვებითი |

| | |
|---|---|
| | ღირებულება,სამკურნალო მნიშვნელობა, საგემოვნო თვისებები;<br>– ალკოჰოლური, მათ შორის ღვინის და უალკოჰოლო სასმელების სპეციალური მახასიათებლები, კვებითი ღირებულება,სამკურნალო მნიშვნელობა, საგემოვნო თვისებები;<br>– ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების შენახვის პირობები (ტემპერატურული ნორმები, გაციების ზღვრული ნორმები, გაყინვისა და გაციების მეთოდები) და ვადები;<br>– სასმელების ვარგისიანობის განსაზღვრის მეთოდები;<br>– ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების სახეები, მათი წარმოშობის ისტორია;<br>– ცხელი სასმელების სახეები და მათი მომზადების ტექნოლოგია;<br>– თამბაქოს ნაწარმი სახეები;<br>– კონსულტირების და ღვინის მირთმევის წესი;<br>– ენოთერაპიის საფუძვლები,<br>- ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ღვინის კონსულტირების, მოხმარების და<br>მირთმევის წესები;<br>- სხვადასხვა სასმელისათვის შესაბამისი ჭიქის შერჩევა;<br>- უალკოჰოლო, მინერალური და გამაგრილებელი სასმელების ასორტიმენტი და მათი მირთმევის წესი;<br>- ჩაისა და ყავის მომზადება, ყავის აპარატის გამოყენება და მათი მირთმევის წესი;<br>- თამბაქოს ნაწარმის კლასიფიკაცია, მათი მირთმევის წესი.<br>– ლუდის ჩამოსხმის და მირთმევის წესი,ლუდის ჩამოსხმის აპარატის გამოყენება<br>– ლიქიორის ასორტიმენტი და მისი მირთმევის წესი<br>➢ მაგიდის ალაგების დადგენილი და სტანდარტული წესები; სუფრების გამოცვლა, ახალი სტუმრების მისაღებად მაგიდის მომზადება;<br>➢ პროფესიული ტერმინოლოგია;<br>– რესტორნის მოწყობილობების, დანადგარების, აპარატურის, ინსტრუმენტების, აქსესუარების, სასაწყობე მარაგების და |

| | |
|---|---|
| | მატერიალური ბაზის წინასწარ მომზადების, დანიშნულებისამებრ მოხმარების, მოვლის, გასუფთავების, შენახვის და ინვენტარიზაციის წესები და ჩატარების პროცედურები (აღრიცხვა, შეფასება და დათვალიერება);<br>– რესტორნის მოწყობილობების, დანადგარების, აპარატურის, ინსტრუმენტების, აქსესუარების, სასაწყობე მარაგების და მატერიალური ბაზის წინასწარ მომზადების, დანიშნულებისამებრ მოხმარების, მოვლის, გასუფთავების, შენახვის და ინვენტარიზაციის წესები და ჩატარების პროცედურები (აღრიცხვა, შეფასება და დათვალიერება);<br>– რესტორნის და დამხმარე სათავსოების არეალის დასუფთავების წესები, მოვლა და შენახვა;<br>– შრომის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის და ვენტილაციის სისტემის მარეგულირებელი ნორმები,<br>➢ სტუმრისაგან ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის  მიღება, ნაღდი ანგარიშსწორების დროს სტუმრისათვის ქვითრის წარდგენა, თანხის აღება და ხურდის დაბრუნება;  პროცენტის გამოთვლა;  წონის საზომი ერთეულები და კონვერტაცია;<br>–  მასალების, არსებული მარაგების დათვლა;<br>– დღის განმავლობაში ამონაწერის გაანგარიშება,<br>– სალარო აპარატის მაჩვენებლების შედარება და ანგარიშების შედგენა, ანგარიშწორება, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია.<br>– ანგარიშწორების ოპერაციებს ნაღდი და უნაღდო ფორმით;<br>–  საკრედიტო მათ შორის საბანკო ბარათების სახეები და მათი მოხმარება;<br>–  გადარიცხვის და ანგარიშწორების ფორმები და სხვადასხვა ოპერაციებით მუშაობის წესები;<br>–  საბანკო ტერმინალების რესტორნის, ბარის, მართვის კომპიუტერული  პროგრამის მოხმარება (თაჩ კომპიუტერი) ქვითრის ამოსაბეჭდი თერმული პრინტერის მოხმარების წესი;<br>– სალარო აპარატის გამოყენების წესი;<br>–  გადახდის ფორმებთან დაკავშირებით მომხმარებლისთვის მისაღებისხვადასხვა სახის გადახდის ფორმების შეთავაზება და |

| | |
|---|---|
| | მისთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად კონსულტაციის გაწევა.<br>– თანხის დაანგარიშების სახეები დღის განმავლობაში შემოსული ქვითრების მიხედვით.<br>– ანგარიშწორების მომზადება ნაღდი თუ უნაღდო ფორმებით და შესაბამისი პირისთვის გადაცემა;<br>– ცვლის დახურვის წარმოება. მომხმარებლის ანგარიშზე დარიცხვის ფორმები სასმელით და საკვებით მომსახურების საფასურთან მიმართებაში; ხურდის დაბრუნება.<br>– ელემეტარული მათემატიკის, მათემატიკური ლოგიკის და რაოდენობრივი ლოგიკის ელემენტები. კერძოდ, მათემატიკური გამოთვლები რაციონალურ რიცხვებზე, წილადებზე და ათწილადებზე თანაფართობების პროპორციების გამოყენება, კალკულატორის და კომპიუტერის დახმარებით, ან ზეპირად,<br>➢ აქვს სამზარეულოს სტრუქტურის და მისი ორგანიზების შესახებ ცოდნა;<br>– იცის სამზარეულოს სტრუქტურა, საკვები პროდუქტები და კერძების ასორტიმენტი, საკვები და სასმელი პროდუქტების სახეები და მათი კვებითი ღირებულება, მომზადების მეთოდები<br>– ერკვევა სარესტორნო ბიზნესში. იცის და აცნობიერებს მომსახურების არსს,<br>– კვების ობიექტების მუშაობის სპეციფიკა: სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტების (რესტორანი, კაფე, სწრაფი კვების ობიექტი და სხვ.) მათთვის დამახასიათებელი მომსახურების სპეციფიკა;<br>➢ რეალიზაციისა და მარკეტინგის საფუძვლები საბაზისო დონეზე, რესტორნის რეკლამირებისა და მომხარებლის მოზიდვის წესები;<br>➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე გამოიყენოს სარესტორნო სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარები, კერძოდ:<br>– სხვადასხვა ღონისძიებისთვის, შესაბამისი დიზაინის გათვალისწინებით რესტორნის დარბაზის, სამუშაო არეალის მომზადება, დარბაზის დალაგება და დასუფთავება, ავეჯით განლაგება შესაბამისი |

| | |
|---|---|
| | ინსტრუქციებისა და დადგენილი წესების დაცვით;<br>–უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზებას: ვენტილაციის რეჟიმის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვით;<br>- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას;<br>–რესტორნის დანადგარების, აპარატების და ინსტრუმენტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას, მოვლას და შენახვას;<br>–სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად სუფრებისა და ხელსახოცების შერჩევა, გამოყენება, მათი მოვლა და შენახვას.<br>–დანიშნულებისამებრ მოიხმაროს რესტორნის დანადგარები, აპა რატები, ინსტრუმენტები,აქსესუარები: ჭურჭელი, ჭიქები, დანა - ჩანგლები და სხვა; უზრუნველყოს მათი წინასწარი მომზადების გამოყენება პროცედურები, მოვლა და შენახვას;<br>–სარესტორნო მომსახურებას - ”ა ლა კარტი”;<br>–დღის სხვადასხვა დროის მონაკვეთის შესაბამისად (საუზმე, სადილი, ვახშამი) მომსახურებას;<br>–სწრაფი კვების ობიექტების მომსახურებას;<br>–მომხმარებლის დახვედრას, მიღებას და მაგიდასთან მიცილებას ;<br>–მენიუს წარდგენას;<br>– საფირმო და დღის კერძების გაცნობას, აპერეტივის შეთავაზებას;<br>–მენიუს შემადგენლობის შესახებ სტუმრის კითხვებზე პასუხის გაცემას (კერძის შემადგენლობა მომზადების მეთოდი და სხვ.);<br>–სტუმრის კონსულტირებას კერძებისა და სასმელების შერჩევაში , სტანდარტიდან გამომდინარე;<br>– სტუმრისათვის ღვინის ბარათის გაცნობა, ღვინის კონსულტირება<br>–შეკვეთის მიღებას, გაფორმებას და სამზარეულოში გადაცემას;<br>–სუფრაზე კერძების დადგენილი თანმიმდევრობით მიტანას და შესაბამისად მაგიდის სერვირების განახლებას;<br>– ქვითრის სტუმრისათვის წარდგენა;<br>– ხურდის დაბრუნება;<br>–ერთდროულად რამოდენიმე მაგიდის მომსახურებას; |

– მაგიდის ალაგებას წესების დაცვით და მაგიდის მომზადებას ახ ალი სტუმრის მისაღებად;

–სხვადასხვა ფორმების გამოყენებით რესტორნის წარმატებით რეკლამირებას და სტუმართა მოზიდვას, სათანადოდ შეთავაზება და გაყიდვა

– მომსახურებისა და სერვისების უზრუნველყოფა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისთვის, მათ შორის: ბუფეტი, შვედური მაგიდის, ფურშეტის მომსახურების, ბანკეტების, წვეულებების, VIP სტუმრების, ოფიციალური და დიპლომატიური მიღებების მომსახურება, კოქტეილების საღამოს, საქმიანი სადილის, სადღესასწაულო წვეულებების და ყავის შეხვედრებზე მომსახურება; კორპორატიული სადილების, ლანჩების და წვეულებების მომსახურება, გასვლითი ღონისძიების მომსახურება, სარესტორნო საუზმის და ბრანჩის მომზადება და მომსახურება, სასტუმრო ოთახებში სასმელებითა და კერძებით მომსახურება;

– ფორლეგენით მომსახურებას; სასმელების ჩამოსხმას, ჩამოტარებას და მირთმევას სხვადასხვა წესით;

–დიდი სასტუმროს კვების ბლოკებში მუშაობას;

– "ვერცხლის მომსახურებას".

– ინვენტარიზაციის ჩატარებას – მასალების, არსებული მარაგების დათვლას;

– სტუმრის კონსულტირება ცნობილი ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელთა სტანდარტებიდან გამომდინარე და მათი მირთმევა;

– ლუდის ჩამოსხმას, ლუდის ჩამოსასხმელი აპარატურის გამოყენებით და მის მირთმევას
– ლიქიორების მირთმევას;
– ჩაის და ყავის აპარტის გამოყენებით ყავის მომზადებას,
– რთული მენიუს პირობებში მუშაობას;
– დღის განმავლობაში ამონაწერის გაანგარიშებას, მომსახურეობის ღირებულების კუთხით;
– ამონაწერის გაანგარიშებას;
– სალარო აპარატის მაჩვენებლების შედარებასა და ანგარიშების შედგენას, ანგარიშწორებას, ხარჯთაღრიცხვასა და კალკულაციას;
– მარტივი მათემატიკური გაანგარიშებების შესრულებას, კერძოდ, მცირე ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლების მათემატიკური

| | |
|---|---|
| | ანგარიში, ლოგიკური ამოცანის დასმა და შესაბამისი დასკვნის გამოტანა, ელემენტარული მათემატიკური ფორმულების, ალბათობის და კომბინატორიკის ელემენტების გამოყენებას;<br>– აწარმოოს ანგარიშწორება, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია.<br>– უზრუნველყოს ანგარიშწორების შესრულება სხვადასხვა – ნაღდი და უნაღდო ფორმებით;<br>– გამოიყენოს სხვადასხვა საკრედიტო ბარათი და უზრუნველყოს სათანადო მომსახურეობა;<br>– იმუშაოს სხვადასხვა ოპერაციის გამოყენებით და უზრუნველყოს გადარიცხვა და ანგარიშწორება.<br>– გამოიყენოს საბანკო ტერმინალები;<br>– ისარგებლოს და გამოიყენოს რესტორნის/ბარის მართვის შესაბამისი „თაჩ კომპიუტერი";<br>– გამოიყენოს თერმული პრინტერის ამოსაბეჭდი აპარატი და უზრუნველყოს ქვითრის ამობეჭდვა.<br>– გამოიყენოს სალარო აპარატი.<br>– მომხმარებელთა კონსულტირება მათთვის მისაღები გადახდის ფორმის შესარჩევად, მომსახურეობის საფასურის ანგარიშზე დარიცხვას სასმელითა და საკვებით მომსახურების გარშემო;<br>– შემოსული თანხის დაანგარიშებას დღის განმავლობაში შემოსული ქვითრების მიხედვით, დააჯამოს შემოსულებების მითითებით;<br>– უზრუნველყოს ანგარიშის მომზადება ნაღდი და უნაღდო ანგარიშწორების ფორმებით, შესაბამისი პირისთვის გადაცემა და ცვლის დახურვას. |
| **დასკვნის გაკეთების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნის საფუძველზე, შეძლებს** :<br>➢ მოახდინოს ანალიზი, შეფასება და გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნები მოვლენათა მიმდინარეობაზე, პრობლემაზე, არსზე და შეადაროს ინტუიტიურ დასკვნას; შეაფასოს შედეგები და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს, მაოხხდინოს ადეკვატური გადაწყვეტილების შერჩევა<br>➢ დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემები ექსტრემალურ და კრიტიკულ სიტუაციაში, რომელიც დამახასიათებელია კვების ობიექტებისათვის; სერვის მენეჯერის, |

შეფ-მზარეულის, კვებისა და სასმელების მენეჯერის, კოლეგების და სხვა პერსონალის მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით;

- განასხვავოს სწორად შენახული პროდუქცია, მომზადებული თუ მოუმზადებელი, დაასკვნას თუ რომელი პროდუქტია კვებისთვის გამოყენებადი და რომელი არა; შეუძლია მცირე კონტროლის პირობებში ან კონტროლის გარეშე ერთგვაროვან გარემოში დამოუკიდებლად მოქმედება;
- სამუშაო პროცესში დამოუკიდებლად ამოიცნოს პრობლემებს, უზრუნველყოფს მის ანალიზს, იმოქმედოს ეფექტურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება; გაითვალისწინოს სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად მითითებები, შენიშვნები – უფროსი მიმტანის, სერვის მენეჯერის, შეფ-მზარეულის და სხვა პერსონალის მიერ გამოთქმული; ინფორმაცია მიაწოდოს პრობლემურ საკითხებზე უფროს მიმტანს ან სერვის მენეჯერს;
- გაითვალისწინოს კლიენტის მოთხოვნილებები ნებისმიერ სიტუაციებში, იმოქმედოს ეფექტურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება;
- პროფესიულ კონტექსტში განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება;
- საკუთარი სამუშაო დროის ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი ხელმძღვანელტან და კოლეგებთან ერთად;
- ინდივიდუალური მუშაობა და ამავდროულად გუნდში მუშაობის უნარი;
- პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და გამოავლინოს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარი;
- სტუმრებთან გადახდის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში შინაგანაწესის ახსნა-განმარტება;
- უკმაყოფილო სტუმრის ან სტუმართა მოზღვავებისას მომსახურების პრობლემის მოგვარება;

საკვების ხარისხთან ან მომზადებასთან დაკავშირებული მომხმარებლის

| | |
|---|---|
| | საჩივრის შემთხვევაში, მომხმარებლის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემის აღმოფხვრა;<br>➢ სხვადასხვა ეროვნების სტუმრის სურვილების განსაზღვრა და მომსახურება; კლიენტის სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მოამზადებინოს ის კერძი, რომელიც მენიუში არ არის შეტანილი ან კლიენტის სურვილით კერძზე მოაკლებინოს ან დაამატებინოს ესა თუ ის ინგრედიენტი;მომზარებლის მოთხვონილების გათვალისწინებით, არასაკმარისი მარაგის შემთხვევაში შეუძლია პრობლემის მოგვარების გზების ძიება, სამზარეულოსთან შეთანხმებით<br>➢ ტექნიკური პრობლემების ამოცნობას, იდენტიფიცირებას და მოგვარებას<br>➢ სამუშაოებისთვის დამახასიათებელი ელემენტების და მოსმახურების განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება და კოორდინაცია;<br>➢ საქმიანობის კოორდინაცია მენეჯმენტთან, ზოგჯერ კი მუშაობა პარტნიორთან და მისი დახმარება<br>➢ ცვალებად გარემოსთან და სიტუაციებთან შეგუება;<br>➢ შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ხელმძღვანელებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღება;<br>➢ სამუშაო პროცესებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დისკუსიებში მონაწილეობა და წინადადებების შეთავაზება; |
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება სამუშაოს გაუმჯობესებასთან მიამრთებაში<br>➢ საქმიანობის კოორდინერებას მენეჯერთან, შეფმზარეულთან, რესტორნის და სამზარეულოს პერსონალთან, ზოგჯერ მუშაობა პარტნიორთან და მისი დახმარება,<br>➢ ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისებას, ინგლისურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას: |

| | |
|---|---|
| | – ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ენაზე, გაიგებს, გაიაზრებს და მოიძიებს პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ინფორმაციას, მათ შორის: სამუშაო კონტრაქტის, რესტორნის შინაგანაწესის, სამუშაო განრიგის, მენიუსა და რეცეპტურისა;<br>– დაამყაროს კომუნიკაცია სამზარეულოსა და რესტორნის ნებისმიერი რგოლის პერსონალთან;<br>– საზოგადოებასთან ურთიერთობას, მომხმარებელთან, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ზეპირი და წერილობით კომუნიკაციას; გითვალისწინოს მათი დავალებები / თხოვნები, ყურადღებით მოეკიდოს მათ რჩევა–დარიგებებს,<br>– საუბრისას ინფორმაციის გასაგებად გადმოცემას, სატელეფონო საუბრების წარმართვას;<br>– ქართულ და უცხოურ (ინგლისური) ენაზე მიაწოდოს სტუმარს ინფორმაცია მენიუში შემავალი კერძების, მათ შორის საფირმო დღის კერძების, განსაკუთრებული შეთავაზების , სიახლეების მენიუს გარშემო;<br>– მოსმენილი ინფორმაციის გაგებას, გააზრებას და საჭიროებების დაზუსტებას; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავ მიწოდებას;<br>– დამოუკიდებლად განასხვავოს ესა თუ ის სასმელი და უზრუნველყოს სტუმარი შესაბამისი, მათ შორის ღვინის კონსულტირებით;<br>– მოსმენილი ინფორმაციის გაგებას, გააზრებას და საჭიროებების დაზუსტებას , კომუნიკაციას მომსახურების თავისებურებების გათვალისწინებით; გაითვალისწინოს მომხმარებელთა მოთხოვნები, რომლის ფარგლებშიც დაამყაროს შესაბამისი კონტაქტი ამა თუ იმ საჭიროებებიდან გამომდინარე;<br>– სხვადასხვა სარეკლამო ფორმის გამოყენების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებას სტუმართა მოზიდვის მიზნით, ეთიკური და პროფესიული ეტიკეტის დაცვით ურთიერთობის |

| | |
|---|---|
| | დამყარებას;<br>– სხვადასხვა კვების ობიექტისთვის დამახასიათებელი მომსახურების ფორმების გამოყენებას და კომუნიკაციას შესაბამის ჯგუფებთან თუ ინდივიდებთან;<br>– ინფორმაციის მოძიებას და გაგებას ინტერნეტიდან, ჟურნალებიდ ან და სპეციალური ლიტერატურიდან დაკოლეგების გამოკითხვის/კონსულტირების გზით;<br>– გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები პროფესიული განვითარებისა და საქმიანობის თვალსაზრისით; ასევე პერამენტნულად და ეფექტურად იღებს ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ჟურნალებდიან სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან, ინტერნეტ ვებ გვერდებიდან;<br>– შეუძლია კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, დიალოგის წარმართვა და ენის პრაქტიკული გამოყნება<br>– ცვალებად გარემოსა და სიტუაციებისადმი შეგუება<br>– სამუშაოსა და პროდუქციის გაუმჯობესებისათვცის დისკუსიებში მონაწილეობა და მოსაზრებების შეთავაზება<br>– ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, დარგის პროფესიული გამოყენების უზრუნველყოფა<br>– გამართულ მეტყველებას და არტიკულაციას, დეტალური ახსნა–განმარტების უნარი; |
| **სწავლის უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ აითვისოს და შეისწავლოს პროგრამით გათავლისიწნებული თეორიული და პრაქტიკული ნაწილი<br>➢ ახალი, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გაიღრმაოს საკუთარი ცოდნის დონე – დახვეწოს საკუთარი პროფესიონალიზმი;<br>➢ გადმოსცეს ნასწავლი მასალა, მიიღოს შეფასება;<br>➢ მოიძიოს ლიტერატურის და სხვადასხვა წყაროები, დაამუშაოს, ისწავლოს მითითებული ლიოტერატურული წყაროებით და დაგეგმოს საკუთარი სწავლა შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების გზით; |
| **ღირებულებებ** | **პროფესიული სტუდენტს საფუძვლიანად ეცოდინება** |

| | |
|---|---|
| ი | ➢ სტუმართმასპინძლობის არსს და ძირითად პრინციპებს;<br>➢ სარესტორნო საქმისთვის დამახასიათებელი კვებისა და სასმელების მომსახურების სფერო;<br>➢ სერვირების არსი და პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპები;<br>➢ გააცნობიეროს, როგორც საკუთარი, ისე სხვისი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა.<br>**პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ განასხვავოს კვების ობიექტები ერთმანეთისგან და განსაზღვროს მოსალოდნელ სტუმართა მოთხოვნილებათა თავისებურებები, რისი გამოვლენის საფუძველზეც იცავს პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და მოქმედებს დაწესებული სტანდარტების შესაბამისად;<br>➢ იყოს მომღიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი;<br>➢ პროფესისულ კონტექსტში საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური;<br>➢ გაითვალისწინოს სტუმრის თხოვნა და გულდასმით, მაქსიმალურად ეცადოს მომხმარებლის დაკმაყოფილებას;<br>➢ იყოს ტოლერანტული, კულტურული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური;<br>➢ იყოს ორგანიზებული და დისციპლინირებული, პუნქტუალური და მოწესრიგებული; კოლეგებთან და პერსონალთან – კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული და თანამშრომლობითი;<br>➢ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა;<br>➢ იყოს კონსტრუქციული თანამშრომლობაში და კეთილგანწყობილი კოლეგებთან და პერსონალთან;<br>➢ სხვის დახმარებას და ინფორმაციის მიწოდებას;<br>➢ იყოს პროფესიულ კონტექსტში საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური;<br>➢ გათავისოს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და იმოქმედოს მათ შესაბამისად.<br>➢ არ დაკარგოს კრიტიკულ სიტუაციაში მობილიზებისა და კონცენტრაციის უნარი; |

| | |
|---|---|
| | ➢ მაქსიმალურად შეეცდება მომხმარებლის დაკმაყოფილებას; გააცნობიეროს და გამოიყენოს პროფესიული ეთიკის ძირითად მარეგულირებელი ნორმებს; |

| **სასწავლო კურსები** |
|---|
| ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები |
| კვების ობიქეტის მენიუ |
| კვების ობიექტის პრინციპები და ტექნიკური უზრუნველყოფა |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული  პროგრამები და მათემატიკის შესავალი კურსი |
| სამზარეულოს მოწყობის პრინციპები |
| სერვისი და ეტიკეტი |
| უსაფრთხოების საბაზისო პროცედურები და  სურსათის უვნებლობის წესები |
| ტურიზმის საფუძვლები და სარესტორნო საქმე |
| შრომითი ურთიერთობის რეგულირების ნორმები |
| ქართული ენა - პროფესიული კურსი |
| ინგლისური ენა (B1-B2) |
| კვების ობიექტის მექანიზმები და მომსახურება სასწავლო პრქტიკა |
| კვების ობიექტის მექანიზმები და მომსახურება საწარმოო პრაქტიკა |



I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ოფის მენეჯერი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 62 ECTS კრედიტს.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ოფის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

VI. დასაქმების სფერო

ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) დასაქმების სფეროა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.

## VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

ოფისის მენეჯერის (მდევან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მეშვეობით უზრუნველყოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მიმდინარე საორგანიზაციო-ადმინისტრაციული პროცედურების, საქმისწარმოებისა და სამდივნო საქმიანობის შესწავლა. მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის სამსახურეობრივი დოკუმენტაციის წარმოებას (კლასიფიკაცია, შენახვა, მომზადება, გადამისამართება, კორესპონდენციის დამუშავება), დოკუმენტაციის საარქივო მომსახურებას, რეგლამენტის დაცვისა და ეტიკეტის წესების შესამამისად მოქმედებას.შეასწავლოს საორგანიზაციო დოკუმენტაციის მომზადება, საერთო და სპეციალური საქმისწარმოება, არქივისთვის საქმეთა ფორმირება, კორესპენდენციაზე მუშაობა, შრომისა და ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტების პროექტების მომზადება, საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა. ასევე შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციის შეკრება–დამუშავება, შენახვა, დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; განუვითაროს აღნიშნულ პროცესებში უზუსტობების დადგენისა და პრობლემების მოგვარების უნარი.

## VII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br>➢ სამუშაო გარემოს მოწყობის წესები და პროცედურები;<br>➢ საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები;<br>➢ საქმიანი ურთიერთობის წესები, ურთიერთობის და მომსახურების პრინციპები;<br>➢ საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის ზოგადი პრინციპები:<br>➢ საერთო საქმისწარმოების წესები; სპეციალური საქმისწარმოების წესები;ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესებიდოკუმენტთა კლასიფიკაცია |

| | |
|---|---|
| | იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; საქმიანი შეხვედრებისა და თათბირისათვის დოკუმენტების მომზადების წესები. დოკუმენტთა კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, სააღმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) შედგენა–გაფორმება და მასთან მუშაობის წესები;დოკუმენტაციის სწორად წარმოების მნიშვნელობა ოფისის (დაწესებულების) ეფექტურად მუშაობის პროცესში;<br><br>➢ პროფესიული ეთიკისა და ეტიკეტის წესები;კლიენტებთან და პარტნიორებთან ურთიერთობის წესები, ქცევის ეტიკეტი სხვადსხვა სიტუაციებში; ინტერპერსონალური და ინტერკულტურული კომუნიკაცია;<br><br>➢ ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; ქართული ენის ძირითადი ნორმები, სინტაქსის, პუნქტუაციის მორფოლოგიისა და სტილისტიკის საკითხებთან მიმართებაში;ტექსტის რედაქტირების საფუძვლები;<br><br>➢ საქმიანი მიმოწერის, მათ შორისსაერთაშორისო მიმოწერის აკადემიური წერის პრინციპები და სტანდარტები;<br><br>➢ არქივის მუშაობის ძირითადი პრინციპები; არქივში გადასაცემი დოკუმენტაციის დამუშავების წესები; არქივში გასათავსებელი დოკუმენტების/საქმეების რეგისტრაცია, გაფორმება და განთავსება; არქივში დოკუმენტების მიღების და გაცემის წესები;<br><br>➢ ადმინისტრაციული სამართლის არსი: რეგულირების სფერო, ზოგადი პრინციპები; ადმინისტრაციული აქტის სახეები და მნიშვნელობა;ადმინისტრაციული ორგანოს არსი და საქმიანობის სფეროები;<br><br>➢ შრომითი სამართლის საფუძვლები, შრომითი |

| | |
|---|---|
| | ურთიერთობების არსი და მისი სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები; შრომითი ხელშეკრულების შედგენის ზოგადი პრინციპები.<br><br>➢ ღონისძიებათა არსი მისი ორგანიზებისა და მარტივი კალკულაციის წარმოების პრინციპები, ღონისძიებათა სხვადასხვა სახეების თემატიკისა და ორგანიზების განმასხვავებელი ნიშან–თვისებები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>➢ პირადი დოკუმენტაციის მომზადებას;<br><br>➢ პროფესიული საქმიანობის პროცესში, საოფისე საქმიანობის ორგანიზების მიზნით, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით მივლინების, თანამშრომლის სამსახურში მიღების, შრომით და საკადრო დოკუმენტაციასთან მუშაობას; შრომითი ხელშეკრულების პროექტის შედგენასა და საკადრო დოკუმენტების პროექტების მომზადებას, სხდომების გარშემო არსებული საკითხების ორგანიზებას,საარქივო მასალის დამუშავებას და არქივში გადასაცემად მომზადებას; საარქივო მომსახურების გაწევას და არქივისათვის საქმეთა ფორმირებას;არქივში დოკუმენტის მიღებას, აღწერას, რეგისტრაციას;<br><br>➢ დაიცვას ხელმძღვანელთან ერთობლივი მუშაობის რეგლამენტი;იყოს მშვიდი და გაწონასწორებული სამსახურებრივი ურთიერთობის დროს.<br><br>➢ სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირებას, რეგისტრაციას და დროულად შენახვას;სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების (სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი) პროექტების მომზადებას დამოუკიდებლად; დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას;ინფორმაციის შეკრება – დამუშავებას, შენახვას; უდოკუმენტო საქმისწარმოების ორგანიზებას; შემოსული, შიდა და გასული დოკუმენტაციის |

| | |
|---|---|
| | აღრიცხვას, რეგისტაცია – შენახვასა და დაცვას;<br><br>➢ საქმიანი ტექსტის შედგენას ქართული ენის მართლწერის წესების დაცვითსაქმიანი მიმოწერის განხორციელებისას თუ ზეპირი საქმიანი კომუნიკაციის დამყარებისას ქართული ენის გრამატიკის ნომრების მოთხოვნების დაცვას; ნებისმიერი სახის (მიმოხილვითი/ანგარიშები და ა.შ.) ტექსტის შედგენას სინტაქსურად გამართული წინადადებების მეშვეობით.<br><br>➢ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებათა მრავალფეროვნებისა და მათი საორგანიზაციო ელემენტების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის ღონისძიებათა მოწყობას, თითოეული ღონისძიების გარშემო მარტივი კალკულაციის წარმოებას.<br><br>➢ მარტივი მონაცემების ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხებასა და ფილტრაციას და წარმოებას;<br><br>➢ ფლობს საოფისე ტექნიკას. |
| დასკვნის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>➢ დოკუმენტბრუნვის პროცესშისხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღებას, დაზუსტებასა და გადამუშავებას, აღნიშნულ პროცესში უზუსტობების დადგენას და პრობლემის მოგვარებას;პროფესიული საქმიანობის პროცესში, სხვადასხვა სახის სამართლებრივ აქტებში გარკვევას, ანალიზს, მის გარშემო არსებული ინფორმაციის დაზუსტებასა და გადამუშავებას, არსებული უზუსტობის თუ დარღვევის აღმოჩენას და პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამისი ზომების გასატარებლად ღონისძიებების დაგეგმვასსაკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს და აღნიშნულის საფუძველზე თავისი პროფესიული საქმიანობის წარმართვას. |
| კომუნიკაციის | **პროფესიული სტუდენტი** |

| | |
|---|---|
| უნარი | ➢ შეძლებს ადვილად დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები, როგორც კომპანიის შიგნით თანამშრომლებს შორის, ასევე მესამე პირებთან;განახორციელოსეფექტური ინტერკულტურული და ინტერპერსონალური (ინფორმაციის გამოთხოვა/დაზუსტება, სათანადო ახსნა–განმარტების მიცემა და სხვა) კომუნიკაცია<br>▪ სათანადო ახსნა-განმარტების მიცემას, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით ქართული ენის გრამატიკული ნორმების დაცვით;პროფესიული საქმიანობის პროცესში გამართულ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ენაზე;<br>▪ ინგლისური ენაზე B1 დონის ფარგლებში პროფესიული საქმიანობის პროცესში სხვადასხვა საკითხებზეზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის დამყარებას<br>▪ შეძლებს MS Windows–ის საოფისე სისტემასთან მუშაობას, ფაილების მართვას სხვადასხვა საოფისე კომპიუტერული პროგრამების განმასხვავებელ ნიშნების მიხედვით, საოფისე პროგრამებში Microsoft Word, Microsoft Excel, Ms Power Point მუშაობას, მომხმარებლის დონეზე დოკუმენტის შექმნას და შენახვას, ტექსტის აკრეფას,რედაქტირებას, ტექსტური მასალების დამუშავებას, ინფორმაციის კორექტირებას, ცხრილის შექმნას და გაფორმებას, Microsoft Excel–ში გარკვეული ოპერაციების განხორციელებას, მათ შორის მათემატიკური გამოთვლებისა და ელექტრონული ცხრილების შექმნას და თვალსაჩინოების მიზნით პრეზენტაციის, ვიზუალური მასალის შექმნას Microsoft Powerpoint-ში;ისარგებლოს ინტერნეტ სერვისებით: მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა. პროფესიულ საქმიანობაში სარგებლობს ინტერნეტით და სხვადასხვა ბრაუზერის (Internet Explorer, Google Chrome) მეშვეობით ელექტრონულ სივრცეში შეუძლია ორგანიზაციების (საჯარო და კერძო) ვებ-გვერდიდან ინფორმაციის მოპოვება, მოპოვებული მასალის სორტირება და გავრცელება შესაბამისი წესების დაცვით. |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:** |

| | |
|---|---|
| | ➢ მიიღოს პროფესიული საქმიანობის გარშემო ახალი ცოდნა;<br>➢ განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროებები;<br>➢ აიღოს საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობა. |
| ღირებულებები | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ დაიცვას კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესი და პროცედურა;<br>➢ იყოს  კომუნიკაბელური, დისციპლინირებული, თავაზიანიდაყურადღებიანი;<br>➢ გაითავისოსკორპორატიულიკულტურა;<br>➢ პასუხისმგებლობითმოეკიდოსსაარქივოსაქმიანობას:დაიცვას საარქივო მასალებთან მუშაობისყველაწესიდაპრინციპები;<br>➢ პასუხისმგებლობითმოეკიდოსდოკუმენტბრუნვასა და საქმისწარმოების პროცესში წარმოშობილ ნებისმიერ საკითხს, რომელიც მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. |

## VIII. სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსები/<br>მოდულები/საგნები |
|---|
| ინტერპერსონალური კომუნიკაცია პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი |
| ღონისძიებათა ორგანიზების საფუძვლები |
| ქართული ენა – პროფესიული კურსი |
| ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები |
| საარქივო საქმე |
| საოფისე საქმიანობა |
| საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა |
| საოფისე კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| საწარმოო პრაქტიკა ოფის მენეჯერი |



**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კორესპონდენტი**

**II. პროფესიული განათლების საფეხური :III საფეხური**

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**IV. პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს.

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

**VI. დასაქმების სფერო**

კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლოებლის დასაქმების სფეროს წარმოადგენს საინფორმაციო სააგენტოები; ინტერნეტ მედიები; დარგობრივი პრესსამსახურები.

**VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ახალი ამბის მოპოვებისა და გადამუშავებისსათვის აუცილებელი

თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი კვალიფიციური კორესპონდენტის მომზადება, რომელსაც ექნება საინფორმაციო სააგენტოებში, დარგობრივ პრესსამსახურებში და სხვა მედია საშუალებებში პროფესიით დასაქმებისათვის აუცილებელი კომპეტენციით.

## VIII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | კორსპონდენტის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ათვისების შედეგად პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება: მედიის არსი, ჟურნალისტიკის ძირითადი ჟანრები, სტრუქტურა, მოქმედების პრინციპები; ჟურნალისტიკის პრინციპები, ჟურნალისტური ეთიკა და საავტორო უფლებების დაცვა პროფესიული საქმიანობის პროცესში; სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის სიუჟეტის მომზადების სპეციფიკა – ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების წესები და მეთოდები, დიქტაფონთან მუშაობა, მასზე არსებული ინფორმაციის გაშიფვრის წესები. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | პროფესიული სტუდენტი შეძლებს: რედაქტორის დავალების შესასრულებლად ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, შესაბამის მოვლენებზე დასწრებას, დიქტაფონთან მუშაობას (ინტერვიუს ჩაწერა, გაშიფვრა, გამოყენება), მოპოვებული მასალის დამუშავებას, მიმდინარე მოვლენებზე – პრესკონფერენციებზე, შეხვედრებზე დასწრებას, მოპოვებულ მასალის გაშიფვრას, ნიუსის ტექსტის სახით ჩამოაყალიბებას, ინფორმაციის გამოთხოვა/მოპოვებას, საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და მოკლე რელიზის მომზადებას. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | პროფესიულის სტუდენტი შეძლებს რედაქტორის დავალების შესასრულებლად მოვლენის ადგილზე ინფორმაციის აქტუალობის და სიმწვავის განსაზღვრა/დადგენას, საჭირო რესპოდენტის (მოვლენის მონაწილე, თვითმხვილელი, ექსპერტი, ოფიციალური პირი) შერჩევას, მასთან კონტაქტის დამყარებას, ინტერვიუს ჩაწერის გადაწყვეტილებას მიღებას, მისგან საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, ადგილზე ადეკვატურად რეაგირებას ცვალებად გარემოებებზე. |
| კომუნიკაციის | პროფესიული სტდუდენტი პროფესიული საქმიანობის |

| | |
|---|---|
| უნარი | განსახორციელებლად სათანადო დონეზე დაეუფლება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს, ინგლისურ ენას, დაამყარებს კონტაქტს რესპოდენტებთან: საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებთან, თვითმხილველებთან და ექსპერტებთან; მოიძიებს ინფორმაციას საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის ელემენტარულ ინგლისურ ენაზე, ამისათვის გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ელექტრონულ ფოსტას, ვებ საიტებს, სოციალურ ქსელებს, ტელეფონს. |
| სწავლის უნარი | პროფესიულ სტდუდენტს ექნება პედაგოგის მითითებით სახელმძღვანელოებისა და აუცილებელი ლიტერატურის მოძიების და მასთან მუშაობის უნარი, შეძლებს მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი კომპეტენციის ამაღლების შესახებ. |
| ღირებულებები | პროფესიული სტდუდენტი რესპოდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის დროს დაიცავს ჟურნალისტურ ეთიკას, ინფორმაციის მოპოვების, გადამოწმებისა და დაბალანსების პრინციპებს, კონფიდენციალობას კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებს, საავტორო უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს. |

| სასწავლო კურსები |
|---|
| **საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრაები** |
| **ჟურნალისტიკური ჟანრები** |
| **ახალი ამბების ჟურნალისტიკა** |
| **მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები** |
| **ინგლისური ენა (A1-A2)** |
| **კორესპოდენტი - სასწავლო პრაქტიკა** |



I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციული ტექნოლოგი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამისმოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 42 ECTS კრედიტს.

V. პროგრამაზედაშვებისწინაპირობა:
ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A2 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

*VI. დასაქმების სფერო*

ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს სამთავრობო, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებში ტექნიკოსის თანამდებობაზე; კომპიუტერულ სერვის ცენტრებში პრობლემების

დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად; შეეძლება მუშაობა მცირე და საშუალო ტიპის ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ ან დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ადმინისტრატორის თანაშემწედ.

## VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ტექნიკოსის პროფესიული ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული უნარებით. კომპიუტერული ქსელებისა და ოპერაციული სისტემების გამართვის, პროგრამული უზრუნველყოფისა, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკურ უნარ-ჩვევებით და ცოდნის პროფესიულ გარემოში რეალიზებისათვის აუცილებელი ტრანსფერული უნარებით.

## VII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:<br>➢ თანამედროვე კომპიუტერის კლასიფიკაცია, მათი მსგავსებები და განსხვავებები, აგებულება/არქიტექტონიკა;<br>➢ კომპიუტერების შიდა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრილებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები;<br>➢ სხვადასხვა დანიშნულების პერიფერიული მოწყობილობების დაკავშირებისა და მუშაობის თავისებურებები;<br>➢ პერსონალური კომპიუტერის დიაგნოსტირების აპარატული საშუალებები;<br>➢ კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები. კომპიუტერის აპარატული და პროგრამული უსაფრთხოების წესები;<br>➢ პერსონალური კომპიუტერის ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების იდენტიფიკაცია, მათი დანიშნულების და მახასიათებლების განსაზღვრა;<br>➢ აპარატურული მოწყობილობების მუშაობის პრინციპები, მათი |

| | |
|---|---|
| | თავსებადობა;<br>➢ კომპიუტერული ქსელის არსი:<br>• ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები;<br>• კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები;<br>• ქსელური სერვისები და მათი გამოყენება;<br>• ქსელის არქიტექტურა და ტიპოლოგია;<br>• ქსელში მონაცემთა გადაცემის პრინციპები, ქსელის გამტარუნარიანობა;<br>• ქსელში გადამისამართების მახასიათებლები;<br>• ქსელის აწყობისათვის საჭირო მოწყობილობები და მათი მახასიათებლები;<br>• ქსელის OSI და TCP/IP მოდელები და მისამართები;<br>➢ ოპერაციული სისტემების სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების დანიშნულება, მუშაობის პრინციპები, მათი ინსტალაცია, მოწყობა, პრამეტრების განსაზღვრა, განახლება;<br>➢ გაუმართაობების არსებობის შემთხვევაში, მიზეზების მოძიება, აღმოფხვრა და გამართვა;<br>➢ აპარატული და პროგრამული დიაგნოსტირების საშუალებები და არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხები.<br>➢ ოპერაციული სისტემის აპარატული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბმისობის განსაზღვრა |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ კომპიუტერის სრულ ტექნიკურ უზრუნველყოფას:<br>• მის აწყობას, მოდერნიზაციას და გამართვას, მისი ძირითადი და დამხმარე აპარატურული ნაწილების დაკავშირებით;<br>• გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრასა და შეკეთებას;<br>• კომპიუტერის აპარატურული ნაწილის შეცვლა-განახლებას;<br>• დაზიანების შესაძლო მიზეზების დადგენას და მათ აღმოფხვრას;<br>• კომპიუტერული ტექნიკის ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, პროფილაქტიკური სამუშაოების გაწევას;<br>• დრაივერების ინსტალაციასა და განახლებას;<br>• კლიენტის შეკვეთის შესაბამისად, ოპერაციული სისტემის შერჩევას, მის დაყენებას, გამართვასა და ოპტიმიზაციას;<br>• მონაცემთა აღდგენას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაციას, განახლებასა და გამართვას; |

| | |
|---|---|
| | • კომპიუტერის ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდას;<br>• კომპიუტერის აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტირებას, გაუმართაობების გამოვლენასა და აღმოფხვრას; პერიფერიული მოწყობილობების დამატებასა და გამართვას;<br>➢ დრაივერების ინსტალაციასა და განახლებას;<br>➢ ოპერაციული სისტემის შერჩევას კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მის დაყენებას, გამართვასა და ოპტიმიზაციას;<br>➢ სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინ-სტალაციას, განახლებასა და გამართვას;<br>➢ დაზიანებული და წაშლილი მონაცემების აღდგენას;<br>➢ პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკას, წარმოქ-მნილი პრობლემების მიზეზის დადგენას და აღმოფხვრას;<br>➢ კომპიუტერული ქსელის აწყობასა და გამართვას, პროფილაქტიკური მომსახურების გაწევას, კომპიუტერული ქსელის ოპტიმიზაციასა და მოდერნიზაციას;<br>➢ ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდას, კომპიუტერის ქსელის აპარატულ დიაგნოსტირებას, გაუმართაობების გამოვლენასა და აღმოფხვრას;<br>➢ პერიფერიული მოწყობილობების დამატებასა და გამართვას;<br>➢ ქსელის ინსტალაციას და გატესტვას;<br>➢ ქსელური მოწყობილობებისა და კაბელის ტიპების არჩევას;<br>➢ უკაბელო ქსელის მარშრუტიზატორის ინსტალაციასა და ქსელური რესურსების კონფიგურაციას;<br>➢ მარტივი ფოსტის სერვერის ინსტალაციას, კონფიგურაციასა და მართვას;<br>➢ მცირე საოფისე ქსელების დაპროექტებასა და მოწყობას, ქსელური პრობლემების აღმოჩენას და აღმოფხვრას;<br>➢ უსაფრთხოების საჭირო დონის დადგენას და წესების შემუშავებას. |
| დასკვნის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ კომპიუტერული ტექნიკის გაუმართაობის აღმოსაფხვრელად დათვალიერების ან/და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის ან/და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინოს პრობლემის მიზეზები, გაიაზროს, განსაზღვროს პრიორიტეტები და შესაბამისად სრულფასოვნად აღმოფხვრას იგი;<br>➢ ქსელური პრობლემების ირგვლივ კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის თაობაზე შეუძლია აღნიშნული პრობლემის გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და პრობლემის სრულფასოვნად აღმოფხვრა;<br>➢ სხვადასხვა წყაროდან (კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია, |

| | |
|---|---|
| | აპარატული დიაგნოსტირების შედეგები) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პერსონალურ კომპიუტერში წარმოქმნილი აპარატული პრობლემის მიზეზების გააზრებას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათი კვალიფიცირებულ აღმოფხვრას. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით; |
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ საქმიანი კომუნიკაციის დამყარებას კლიენტებთან, მათგან ინფორმაციის მიღებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროდან სხვადასხვა პრობლემის შესახებ, პრობლემის ზუსტად განსაზღვრას, საჭიროების შემთხვევაში კლიენტის გადამისამართებას სხვა სპეციალისტთან, იდენტიფიცირებული კლიენტის პრობლემის, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი –ვერბალური ფორმით აღწერას;<br>➢ ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით მოამზადოს პრეზენტაციები, დაურთოს მას საკუთარი მოსაზრებები და წარუდგინოს, როგორც ხელმძღვანელობას, ასევე კოლეგებს;<br>➢ პროფესიულ თემებზე კლიენტებთან საუბარს და მათგან პრობელემების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პერსონალურ კომპიუტერში წარმოქმნილი აპარატული, პროგრამული და კომპიუტერული ქსელების გარშემო პრობლემის მიზეზების განსაზღვრას, აუცილებლობის შემთხვევაში პრობლემის აღწერას, როგორც წერილობით ისე ზეპირად და მის გადამისამართებას სხვა სპეციალისტთან;<br>➢ შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე<br>➢ ჯგუფში მუშაობას, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციებთან ადაპტაციას |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივად განვითარების პირობებში კომპიუტერული ტექნიკის ,კომპიუტერული ქსელების გარშემო მიადევნოს თვალყური მიმდინარე სიახლეებს – მოიძიოს, გაარჩიოს და შეისწავლოს იგი;<br>➢ ოპერაციული სისტემების გარშემო, ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, შეძლებს დამოუკიდებლად მოიძიოს სიახლეები, დაამუშაოს და შეისწავლოს ისინი;<br>➢ პრაქტიკული უნარების შეძენა - გათავისებას, დამოუკი-დებლად პროფესიასთან დაკავშირებული ახალი |

| | |
|---|---|
| | ინფორმაციის მოძიებას, გარჩევასა და შესწავლას, საკუთარი ცოდნის შეფასებას და მისი განვითარება-გაღრმავების გზების დასახვას, მათ შორის კარიერული ზრდის მიზნით, პასუხისმგებლობის აღებას; |
| **ღირებულებები** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ კოლეგებთან და დამსაქმებელთან ურთიერთობისას დაიცვას პროფესიული ქცევის ნორმები და გაითვალისწინოს კლიენტის სურვილები;<br>➢ დაიცვას უსაფრთხოების წესები;<br>➢ პასუხისმგებელი იქნება მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე;<br>➢ გააცნობიეროს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები;<br>➢ გააცნობიეროს პროგრამული უზრუნველყოფის ინტელექტუალური საკუთრების, ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმები. |

| სასწავლო კურსები |
|---|
| ოპერაციული სისტემების საფუძვლები |
| კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა |
| კომპიუტერული ქსელები |
| საქმიანი ურთიერთობები |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| აპარატული უზრუნველყოფა სასწ. პრაქტიკა |
| პროგრამული უზრუნველყოფა საწარმოო პრაქტიკა |
| კომპიუტერული ქსელები საწარმოო პრაქტიკა |



**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბუღალტერი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა:**  პროგრამის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს.

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება;  დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

VI. დასაქმების სფერო

ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დაიკავოს ბუღალტრის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.

## VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალ კვალიფიციური, დამსაქმებლის მოთხოვნებზე მორგებული, შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ–ჩვევებით აღჭურვილი ბუღალტერი, რომელიც შეძლებს სამეურნეო მოვლენების ამსახველი დოკუმენტაციის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერას, საბუღალტრო ანგარიშებიდან ნაშთის გამოთვლას და საცდელი ბალანსის შედგენას.

## VII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br>➢ ბუღალტრული აღრიცხვის არსი და ძირითადი პრინციპები/თეორიული საფუძვლები;<br>➢ სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტები, პროცესები და კონცეფციები;<br>➢ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები და მისი ელემენტები;<br>➢ სამეურნეო მოვლენების შესაბამისი დოკუმენტაციის სახით შემუშავება;<br>➢ სამეურნეო მოვლენების ამსახველი დოკუმენტაციის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერა, საბუღალტრო ანგარიშებიდან ნაშთის გამოთვლა და საცდელი ბალანსის შედგენა;<br>➢ ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, ცნებები, კატეგორიები, მიზნები და ამოცანები;<br>➢ საგადასახადო სისტემის არსი, მისი შემადგენელი ელემენტები საგადასახადო სისტემის აგების ფუძემდებლური პრინციპები.<br>➢ საგადასახადო სისტემის შეფასების კრიტერიუმები<br>➢ ბიზნესის სფეროს მარეგულირებელი საქართველოს ძირითადი საკანონმდებლო აქტები, მათი მოქმედების არეალი და რეგულირების სფერო. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ პროფესიული საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებისას, დათვლას, აღწერას, გაზომვასა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულებას;<br>➢ სამეურნეო მოვლენების შესაბამისი დოკუმენტაციის სახით შემუშავებას – პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას, მათ საფუძველზე კრეფსითი უწყისების შედგენას;<br>➢ ბუღალტრული ანგარიშების გარშემო შემდეგი ოპერაციების განხორციელებას: ბუღალტრულ გატარებას, მინიშნებული |

| | |
|---|---|
| | ოპერაციების ასახვას; ტიპიური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვას; დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანას ან/და კორექტირებას; საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადებას;<br>➢ საკუთრივ მომზადებული ფინანსური ანგარიშების საფუძველზე სამეურნეო / ფინანსური მდგომარეობის გაანგარიშებას. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს** :<br>➢ მის სამსახურებრივ სფეროში შემავალი საბუღალტრო ანგარიშებში არსებული ინფორმაციის ერთად დაჯგუფებას და ამის საფუძველზე შესაბამისი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის პერიოდული ანგარიშგების მომზადებას, ცალკეული სააღრიცხვო თემატიკისა და ობიექტების მიხედვით. |
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ პროფესიული საქმიანობის სფეროში არსებული პრობლემის შესახებ საკითხის მოკლედ/ ლაკონურად/რელევანტურად და გასაგებად ფორმულირებას, საკითხთა გასაგებად დასმას და განხილვისას გამოთქმული მოსაზრებების მარტივად აღქმას;<br>➢ მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევას; ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე;<br>➢ ინგლისურ ენაზე პროფესიული საქმიანობის პროცესში სხვადასხვა საკითხებზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის დამყარებას, ინგლისურ ენაზე არსებული ბუღალტრული დოკუმენტაციის შინაარსის გაგებას. |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ მომავალი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების დადგენას, და საკუთარი საქმიანობის სფეროში – ბუღალტერიაში ახალი ცოდნის მიღებას.<br>➢ კარიერული ზრდის მიზნით სწავლის საჭროებების განსაზღვრას. |
| ღირებულებები | **პროფესიული სტუდენტი:**<br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში იმოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების |

| | |
|---|---|
| | შესაბამისად;<br>➢ გააცნობიერებს ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ნორმებს, იქნება პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთილსინდისიერი. |

| **სასწავლო კურსები/<br>მოდულები/საგნები** |
|---|
| ბიზნეს სამართლის საფუძვლები |
| ეკონომიკის საფუძვლები |
| საბუღალტრო აღრიცხვის შესავალი კურსი |
| საგადასახადო სისტემები – შესავალი კურსი |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| საბუღალტრო აღრიცხვა და პროფესიული საქმიანობა - საწარმოო პრაქტიკა |



I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ექთნის თანაშემწე

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 ECTS კრედიტს.

V. პროგრამაზედაშვებისწინაპირობა:

მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

1. საბაზოგანათლება;
2. A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში;

VI. დასაქმების სფერო

მოსავლელიპირისინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) დადაავადებისთავისებურებათაგათვალისწინებითექთნისთანაშემწეშეიძლებადასაქმდეს: სტაციონარში, ჰოსპისში, ბინისპირობებში ან/დამომვლელადმგზავრობა-

მოგზაურობისდროს; ხანგრძლივისამედიცინომომსახურებისდაწესებულებაში (მოხუცთათავშესაფარი, ბავშვთასახლები); ბინაზემოვლისსამსახურში.

## VII. პროფესიული პროგრამისმიზანი:

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ავადმყოფის მოვლის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის - ექთნის ასისტენტის (პაციენტთა, ავადმყოფთა და ხანდახმულთა მომვლელი, ძიძა და.ა.შ.) მომზადება, რომელიც იქნება აღჭურვილი ექთნის მეთვალყორეობის ქვეშ პაციენტის მოვლის, პაციენტზე ზრუნვისა და სარეაბილიციო ხელშეწყობის უნარებით, შეძლებს დახმარების საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვას, ტკივილის მოხსნას, დაავადებების პრევენციასა და ექიმის მიერ დანიშნული სხვა სამედიცინო მომსახურებისა და დახმარების კოორდინაციას და რომელიც სრულად უპასუხებს დამსაქმებლის მოთხოვნებს და იქნება კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.

## VIII. სწავლისშედეგი:

*(სწავლის შედეგები აღწერილია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად)*

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიული სტუდენტს ეცოდინება:**<br>➢ ურთიერთობის ფსიქოლოგია,რაც მოიცავს გუნდურ და ინდივიდუალურ ურთიერთობებს, კომუნიკაციას საზოგადოებასთან და სამუშაო ჯგუფთან, მოსავლელ პირებთან; სამედიცინო პერსონალის ქცევის პრინციპებს;<br>➢ ავადმყოფის მოვლის ზოგადი პრინციპები, ასისტირების მეთოდები და საშუალებები;<br>➢ გერიატრიისა და პალიატიური მზრუნველობის საფუძვლები:<br>• სიბერესთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების შესახებ;<br>• ბავშვობის ასაკის პერიოდების, განვითარების,ორგანოთა სისტემების აგებულებისა და ფუნქციონირების ასაკობრივი თავისებურებების, მათი დაზიანების ძირითადი ნიშნების, კვების ნორმების შესახებ;<br>• ბავშვთა მოვლის მეთოდები და საშუალებები, რომელიც |

| | |
|---|---|
| | აუცილებელია პროფესიული ასისტირებისთვის;<br>➢ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო ფუნქციები, ბიოლოგიური პროცესები, ასევე მიკრობიოლოგიის საფუძვლები: ერთუჯრედიან ორგანიზმებს ბაქტერიების სახით და სიცოცხლის არაუჯრედულ ფორმებს - ვირუსებს;<br>➢ ადამიანის ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების მორფოლოგიის, ფუნქციების, ორგანოთა სხვადასხვა სისტემების ანატომიური და ფუნქციური კავშირებს;<br>➢ ინფექციური აგენტის, ინფექციური ანთებითი პროცესის, ინფექციურ დაავადების კლინიკური კანონზომიერებების, ინფექციის კერაში მუშაობის უსაფრთხოების წესები და საკუთარი თავის დაცვა, ინფექციის კონტროლის, სოციალურად საშიში ინფექციური დაავადებების, ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის საფუძვლების შესახებ;<br>➢ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (ის ძირითადი პრინციპები), გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს მოქმედების ტაქტიკა, თანამიმდევრობა, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;<br>➢ დაავადებათა ზოგადი პრევენციული ღონისძიებების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ჰიგიენური ნორმების, კვების ჰიგიენის, ინფექციური და ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკის, ინფექციის კონრტოლის პრინციპები;<br>➢ მედიკამენტების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის საფუძვლები, გამოშვების ფორმის, მოქმედების ეფექტების,გვერდითი ეფექტების, დოზირების, ზედოზირების, უკუჩვენებების შესახებ;<br>➢ ადამიანის ნორმალური ანატომია და ფიზიოლოგია<br>➢ საციცოცხლო ფუნქციბის მონიტორინგი<br>**პროფესიულ სტუდენტს გაცნობიერებული ექნება:**<br><br>➢ ექთანის კვალიფიცირებული ასისტირების მიზნები და ამოცანები;<br>➢ სამედიცინო ეთიკისა და დეონტოლოგიის მნიშვნელობა პროფესიულ საქმიანობაში;<br>➢ ჯანმრთელი და ავადმოფი ბავშვის საექთნო მოვლის ასისტირების მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები;<br>➢ მოსალოდნელი დაავადებების პრევენციის მნიშვნელობა, კორექტული კომუნიკაციის აუცილებობა ხანდაზმულებთან და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებთან; |

| | |
|---|---|
| | ➢ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულად და სწორად ჩატარების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად;<br>➢ უსაფრთხო ეკოლოგიური გარემოსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა სხვადასხვა პათოლოგიათა მართვასა და პრევენციაში;<br>➢ საკუთარი როლი ინფექციურ პათოლოგიათა პრევენციასა და მართვაში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტთა მოვლის ორგანიზებას/ავადმყოფის მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას დაავადების მიმდინარეობის სიმძიმის, სპეციფიკის და ასაკობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით – ავადმყოფის მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, როგორიცაა:<br>• კვება, დაბანა, ჩაცმა, საწოლის გამზადება, თეთრეულის გამოცვლა, დახმარება მოძრაობის დროს;<br>• გაატაროს სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებები;<br>• ჩაატაროს ყველა საჭირო გარეგანი სამედიცინო პროცედურა და მანიპულაცია, რომელიც გათვალისწინებულია მოვლისა და დაავადების მართვის გეგმით;<br>• პრაქტიკული საქმიანობის პროცესში აწარმოოს დღიური და შეინახოს ინფორმაცია, რაც შეადგენს სამედიცინო გუნდის სამუშაო გეგმასთან შეთანხმებულ საკუთარ სამუშაო გეგმას, დაიცვას მოსავლელი პირის უფლებები;<br>➢ პაციენტის მდგომარეობაზე დაკვირვებას, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს, პაციენტის ფიზიკური საჭიროებების განსაზღვრას, პროფესიული საქმიანობის გეგმის შედგენა-შეთანხმებას სამუშაო გუნდის წევრების პროფესიული საქმიანობის გეგმასთან, გარეგანი სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების ჩატარებას;<br>➢ ადამიანის ნორმალური ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნის საფუძველზე ნორმიდან გადახრისა და პათოლოგიის ნიშნების ამოცნობას;<br>➢ სხვადასხვა ასაკის ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვის მოვლის ორგანიზებას, სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების ჩატარებას, ბავშვის ზოგადი მდგომარეობის შეფასებას, კვების კორექციას, ბავშვის ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას; |

| | |
|---|---|
| | ➢ ონკოლოგიური ავადმყოფის მოვლას, სპეციფიკური სამკურნალო პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარებას, პაციენტის მომზადებას ქიმიოთერაპიისთვის; კიბოს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტერმინალური პაციენტის მოვლას.<br><br>➢ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას;<br><br>➢ ხანდაზმულთა და განუკურნებელი ავადმყოფობებით შეპყრობილ პაციენტთა მოვლას, რაც მოიცავს კვებას, ჰიგიენურ აბაზანას, საწოლის მომზადებას და მწოლიარე ავადმყოფისათვის კომფორტული გარემოს შექმნას, ნაწოლების პროფილაქტიკას და მოვლას, ჭრილობის და წყლულების დაინფიცირების პრევენციას და მოვლას, ტანსაცმლისა და თეთრეულის გამოცვლას, გადაადგილების დროს დახმარებას, ფიზიკური საჭიროებების განსაზღვრას, დახმარებას შარდვისა და დეფეკაციის დროს, განავლისა და შარდის მიმღები სისტემების გამოცვლას და უტილიზაციას, დახმარებას მოსავლელი პირის მიერ თვითმომსახურების უნარების ათვისებასა და გაუმჯობესებაში;<br>➢ პაციენტის მომზადებას ოპერაციული ჩარევისთვის, კერძოდ:<br>• კანისა და ლორწოვანი გარსების ჰიგიენა;<br>• ანტისეპტიკური დამუშავება;<br>• ქირურგიული ავადმყოფის სანიტარული დამუშავება;<br>• ექიმისა და ექთანის დახმარება დესმურგიის პროცესში;<br>• პაციენტთა მოვლა და მართვა პოსტოპერაციულ პერიოდში, ნაწოლების გავითარების პრევენცია და მათი მოვლა, წყლულების და დაინფიცირებული ჭრილობების მოვლა;<br>• განავლის და შარდის მიმღები სისტემების გამოცვლა და უტილიზაცია;<br>• ავადმყოფის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;<br>• ორსულებისა და ახალშობილთა მოვლა;<br>• ავადმყოფის მოვლა მენტალური უნარების დარღვევების, მათ შორის ფსიქონევროლოგიური დარღვევების გათვალისწინებით;<br>➢ გაუწიოს პაციენტს თანადგომა და დახმარება ახალ გარემო-პირობებთან შეგუებაში, იზრუნოს მისი თვითმომსახურების უნარების გაუმჯობესება/სწავლაზე, მისი უფლებების დაცვაზე; |

| | |
|---|---|
| | ➢ გადაუდებელ ეტაპზე უზრუნველყოს დაზარალებულისა და საკუთარი უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, სასიცოცხლო ფუნქციების შემოწმება და მონიტორინგი;<br>➢ გამოიყენოს და შეინახოს საჭირო ხელსაწყო-იარაღები, მასალები, სამკურნალწამლო საშუალებები, მონაწილეობა მიიღის წამლების გაცემაში,უსაფრთხოების წესების დაცვით გაანადგუროს გამოყენებული მასალები; დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები:<br>• სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა;<br>• ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების დაცვა;<br>• დეზინფექციის ჩატარება;<br>• პაციენტებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;<br>• პაციენტების პირად ჰიგიენაზე ზრუნვა;<br><br>➢ ინფექციური დაავადებების პირველად ამოცნობას, საკარანტინო ღონისძიებათა ორგანიზებას, ინფექციის კერის დეზინფექციას (კონცენტრირებული სადეზინფექციო ხსნარების დამზადებას და გამოყენებას) ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაო ადგილზე და ინფექციის კერაში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარებას, პაციენტისთვის ან სხვა კატეგორიის მოსავლელი პირისთვის ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო გარემოს შექმნას;<br>➢ სამკურნალწამო საშუალების ზედოზირების ან გვერდითი ეფექტების ამოცნობას, შენახვის წესების დაცვას და განადგურებას;<br>➢ პროფესიულ საქმიანობას სამედიცინო დეონტოლოგიის პრინციპების დაცვით, შეინახოს კონფედენციალური ინფორმაცია;<br>➢ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობისას დაიცვას სუბორდინაციის წესები. |
| **დასკვნის გაკეთების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ უფროსი სამედიცინო პერსონალის - ექიმის ან ექთნის ინფორმირებას ექიმის დანიშნულების შესრულებაში ისეთი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, როგორიცაა პაციენტის მიერ წამლის მიუღებლობა, დოზის გადაჭარბება, წამლის მიღების რეჟიმის დარღვევა, უეცარი შეწყვეტა ან საექიმო დანიშნულების თვითნებურად შეცვლა; |

| | |
|---|---|
| | ➢ ექიმის და ექთნის შენიშვნებისადა რეკომენდაციების გათვალისწინებას;<br>➢ პროფესიულიკომპეტენციისფარგლებშიაუცილებელიდაგამოსაყენებელიინფორმაციისაღქმას, შეფასებას და დასკვნის გამოტანას, სამედიცინო რისკების ამოცნობას, ექიმის ან მედდის ოპრატიული ინფორმირებას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ, მისი შენიშვნების გათვალისწინებას და საკუთარი პოზიციის დაცვას;<br>➢ დაუყოვნებლად მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება და აცნობოს უფროს სამედიცინო პერსონალს;<br>➢ საჭირო ინფორმაციის აღქმას, ანალიზს და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას;<br>➢ ექსტრემალურ და კრიტიკულ სიტუაციებში ლოგიკური დასკვნის გაკეთებას და ეფექტური გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას, უფროსი სამედიცინო პერსონალის ინფორმირებას;<br>➢ პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებების სწორად დასახვას;<br>➢ მიღებული ინფორმაციის გაანალიზებასა და შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვას, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო რისკების შეფასებას, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას;<br>➢ სამედიცინო პრობლემის ამოცნობას, ექიმისა და ექთანის ინფორმირებას, მათი შენიშვნის გათვალისწინებას და საკუთარი პოზიციის დაცვას,<br>➢ სამედიცინო პრობლემის ამოცნობას, ფორსმაჟორული სიტუაციის გააზრებას, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას და ექიმისა და ექთანის ინფორმირებას.<br>➢ შეაფასოს ჯანმრთელობის სასიცოცხლო მნიშვნელობის რისკები და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები. |
| **კომუნიკაციის უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ კომუნიკაციას პაციენტებთან, მათ ახლობლებთან, სამუშაო გუნდის წევრებთან, ცვალებად სიტუაციასა და გარემოებაში სხვადასხვა თემებზე, მათ შორის პაციენტის მოვლაზე, სამედიცინო მანიპულაციებსა და პროცედურებზე;<br>➢ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ხელშეკრულების, შინაგანაწესის და სხვა ტიპის დოკუმენტაციის წაკითხვას, აღქმასა და ანალიზს;<br>➢ პაციენტებთან და მათ ახლობლებთან ურთიერთობას, საჭირო ინფორმაციის მიწოდებას მათთვის ადვილად აღსაქმელი |

| | |
|---|---|
| | ფორმით;<br>➢ ისეთ პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის დამყარებას, როგორიცაა პაციენტის მოვლის პრინციპები, სამედიცინო მანიპულაციები და სამკურნალო პროცედურები;<br>➢ სამუშაო ჯგუფის წევრებთან ეფექტურ კომუნიკაციას, მათი საუბრის ყურადღებით მოსმენას, გააზრებას, მიღებული ინფორმაციის დაზუსტებას, აღქმას, ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებას;<br>➢ პროფესიული ინფორმაციის მოძიება და დამუშავებას, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე;<br>➢ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობას სპეციფიკური ტერმინების გამოყენებით, პაციენტებს, მათ მშობლებსა და ახლობლებს ინფორმაციას მიაწვდის მათთვის გასაგები და მისაღები ფორმით;<br>➢ ონკოლოგიური და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტების, მათი ახლობლების ფსიქოემოციურ მხარდაჭერას;<br>➢ კომუნიკაციას პაციენტის მოვლის სპეციფიკური მხარეების შესახებ, ცვალებად გარემოში;<br>➢ ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ სპეციალური ლიტერატურის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებას, დამუშავებას, საკუთარი მოსაზრების სხვებისთვის გაზიარებას, თემატური კითხვების დასმას, მიწოდებული ინფორმაციის გაგებასა და ანალიზს.<br>ინგლისური ენაზე მარტივი ტექსტების გაგებას;<br>შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება;<br>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული საოფისე პროგრამების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში; |
| **სწავლის უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ განსაზღვროს პროფესიული სამედიცინო განათლების გაღრმავების საჭიროება, მოიძიოს და დაამუშავოს სათანადო ლიტერატურა, შეეცდება დახვეწოს პროფესიული კომპეტენციები;<br>➢ საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღებას;<br>➢ იზრუნოს პროფესიული კომპტენციების ამაღლებაზე, სწავლის პროცესში საჭირო ინფორმაციის და ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებას, სწავლას მითითებული ლიტერატურის მიხედვით;<br>➢ გააცნობიეროს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობა, მითითებული ლიტერატურით სწავლას, საჭირო სასწავლო ლიტერატურის მოპოვებასა და გამოყენებას; |

| | |
|---|---|
| | ➢ პასუხისმგებელი იყოს საკუთარი სწავლის პროცესზე;<br>➢ იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე ამ პროცესში გაითვალისწინოს პროფესიონალთა რჩევები და რეკომენდაციები. |
| **ღირებულ ებები** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას დაიცავს სამედიცინო ეთიკის ნორმებს, კრიტიკულად მიუდგება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, პასუხისმგებლობითმოეკიდება დაკისრებულ სამუშაოს,კეთილგანწყობილი იქნებაპაციენტებისმიმართ;<br>➢ პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, კეთილგანწყობილი იქნება პაციენტების მიმართ. პროფესიულ პრობლემაზე რეაგირებას მოახდენს გულისყურითა და ყურადღებით;<br>➢ იზრუნებს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის, განურჩევლად მისი სოციალური სტატუსის, რელიგიური კუთვნილების და ეროვნებისა;<br>➢ პაციენტებთან და სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობისას დაიცავს მართლებრივ ნორმებს და ეთიკის წესებს;<br>➢ იმოქმედოს პროფესიული ეთიკის დაცვით, პატივი სცეს კოლეგებს, პაციენტებს, დაიცვას მათი ინტერესები, გაითვალისწინოს ავადმყოფ ადამიანებთან და მათ ახლობლებთან ურთიერთობა, ფსიქოლოგიურ თავისებურებები;<br>➢ შეძლოს ავადმყოფებთან და კოლეგებთან ეთიკის წესების დაცვით ურთიერთობა, მათი ნდობის მოპოვებას, კრიტიკულ სიტუაცებში ადეკვატური მოქმედება, პაციენტისადმი კეთილგანწყობის შენარჩუნება;<br><br>❖ **შეძენილი ცოდნის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს გამოუმუშავდება:**<br>➢ ურთიერთ-პატივისცემა, თანაგრძნობა, ნდობა, კომპრომისის უნარი და ა.შ. შეძლებს ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს კეთილგანწყობა პაციენტის მიმართ, ეთიკური დამოკიდებულება იქონიოს მათთან, მათ ახლობლებთან და კოლეგებთან;<br>➢ პაციენტებთან, თანამშრომლებთან ურთიერთობის დაიცავს სამედიცინო ეთიკის, დეონტოლოგიისა და სამართლის ნორმებს, ყურადღებით მოეკიდება |

| | |
|---|---|
| | პროფესიული საქმიანობის პროცესში წამოჭრილ პრობლემებს. |

## VIII. სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები |
|---|
| პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესავალი კურსი |
| ზოგადი ბიოლოგია-შესავალი კურსი |
| ბიოეთიკა |
| ურთიერთობის ფსიქოლოგია |
| ფარმაკოლოგიის საფუძვლები |
| ანატომია და ფიზიოლოგია |
| საოფისე კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| გერიატრია და პალიატიური მზრუნველობა |
| ბავშვთა მოვლა |
| ავადმყოფის მოვლა |
| პრევენციული მედიცინა |
| ინფექციური დაავადებების ზოგადი კურსი |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| საწარმოო პრაქტიკა,ნაწილი 1 |
| საწარმოო პრაქტიკა, ნაწილი 2 |
| საწარმოო პრაქტიკა, ნაწილი 3 |



I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია:კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამისმოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 68ECTS კრედიტს.

V. პროგრამაზედაშვებისწინაპირობა:

კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

VI. დასაქმების სფერო

კბილის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში, სადაც შეასრულებს კბილის ტექნიკოსის ფუნქციებს, ანაბეჭდის აღებისა და კბილის დეფექტების მოდელირებიდან დაწყებული, მოსახსნელი თუ მოუხსნელი პროთეზების დამზადების ჩათვლით.

VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მომზადდეს კბილის სხვადასხვა სახის კბილის პროთეზისა და სხვა ორთოპედიული კონსტრუქციის დამოუკიდებლად დამზადების ტექნოლოგიის მცოდნე

სპეციალისტი - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი კბილის ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში მუშაობას, და სხვადასხვა სახის მოსახსნელი და მოუხსნელი კონსტრუქციის დამზადებას.

## VIII. სწავლისშედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br><br>➢ პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება:<br>• კბილების, ლორწოვანი გარსი;<br>• სანერწყვე ჯირკვლების აგებულება და ფუნქციონირება;<br>• პირის ღრუს ასაკობრივი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები;<br>• დაცვის სპეციფიკური და არასპეციფიკური მექანიზმები;<br>➢ კბილის ანატომია, ფუნქცია, ზედა და ქვედა ყბაზე კბილთა მწკრივის ფორმა, თანკბილვა, თანკბილვის ფიზიოლოგური და პათოლოგიური სახეები, ჯგუფების მიხედვით, მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით;<br>➢ არტიკულაცია და ოკლუზია, ოკლუზიის სახეები, კბილთა მწკრივების მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები;<br>➢ საღეჭ–სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიური დეფექტები და დეფორმაციები:<br>• კბილთა მწკრივების დეფორმაცია, მათი ამოცნობა, გამომწვევი მიზეზების იდდენტიფიკაცია, მათი მკურნალობისა და რეაბილიტაციის მეთოდები;<br>• მკურნალობის პროცესში გამოსაყენებელი აპარატურის |

| | |
|---|---|
| | მუშაობის პრინციპები და მათი მოხმარება;<br>➢ უჯრედის ქიმიური და სტრუქტურული შედგენილობა, მემკვიდრეობის ძირითადი კანონზომიერება, სელექციისა და ეკოლოგიის საფუძვლები, ბიოსფერო;<br>➢ კბილის სატექნიკო ლაბორატორიის ხელსაწყო-იარაღები, მათი გამოყენების წესები, კბილის პროთეზის დამუშავებისთვის საჭირო მასალები;<br>➢ სეპტიკისა და ანტისეპტიკის წესები;<br>➢ ტექნიკური უსაფრთხოების წესები;<br>➢ საანაბეჭდო და თანამედროვე საპროთეზო მასალების სახეები:<br>• ძირითადი დამხმარე და ტექნიკური საშუალებები; მათი მიღების, გამოყენებისა და შენახვის წესები;<br>➢ მთლიანი და ნაწილობრივ მოსახსნელი პროთეზების დამზადებისათვის საჭირო მანიპულაციები და პროცედურები, ეტაპები, პროთეზების დამუშავება, გაპრიალება, აღდგენა, ფიქსაციის მეთოდები, პროთეზთან შეგუების ფაზები;<br>➢ სხვადასხვა მასალების მეშვეობით მოუხსნელი პროთეზების დამზადების მეთოდოლოგია:<br>• ვინირების;<br>• ნახევარგვრიგვინების და გვირგვინების დამზადება პლასტამასის, უჟანგავი ფოლადისა და ფაიფურისაგან;<br>➢ ხიდისებური პროთეზის დამზადება;<br>➢ მირჩილვისა და ჩამოსხმის მეთოდები;<br>➢ განტვირთვის საშუალებები;<br>➢ შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კლასიფიკაცია; |

| | |
|---|---|
| | ➢ კბილთა მწკრივის დეფორმაციები და პროთეზირების ოპტიმალური სახეები;<br><br>➢ ცვილით მოდელირების მეთოდოლოგია;<br><br>➢ საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტებისა და დაზიანებების მოდელზე ამოცნობა, მოდელებზე კბილების ამოჭრით დეფექტების შექმნა და ცვილით აღდგენა;<br><br>**პროფესიული სტუდენტი გააცნობიერებს:**<br><br>➢ პირის ღრუს მორფოლოგიურ-ფუნქციური მდგომარეობის მნიშვნელობას ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში;<br><br>• ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური და ბიომექანიკური პროცესების მნიშვნელობას ჯანმრთელობისათვის;<br><br>• დეფექტებისა და დეფორმაციების აპარატული ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მკურნალობის მკურნალობის საჭიროებას;<br><br>• აღნიშნული პათოლოგიების ამოცნობის და რეაბილიტაციის თავისებურებების მნიშვნელობას;<br><br>➢ ბიოლოგიური კანონების მნიშვნელობას ადამიანის ორგანოთა სისტემების ფიზიოლოგიურ რეჟიმში ფუნქციონირებასა და პათოლოგიის აღმოცენებაში;<br><br>➢ პლასტმასის პოლიმერიზაციის რეჟიმის გავლენას პროთეზის ხარისხზე; |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>• საანაბეჭდო მასალის შესაბამისი ტექნოლოგიით მომზადებას;<br><br>• ფანტომიდან ანაბეჭდის აღებას, ანაბეჭდიდან თაბაშირის მოდელის ჩამოსხმას; |

| | |
|---|---|
| | • მოდელის გახსნას და ფორმირებას,;<br>• კბილის სატექნიკო ფითხისა და სპირტქურის დახმარებით ცვილით მოდელირებას და ძერწვას შესაბამისი ანატომიური ფორმის მიხედვით;<br>• საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენას და გაზიარებას გუნდის წევრებთან და მის შეთანხმებას სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან;<br>➢ მოდელიდან კბილების ამოჭრას;<br>➢ თანკბილვის პათოლოგიური ცვლილებების დადგენას, ოკლუზიის ამოცნობას, მისი კონკრეტული ფორმის იდენტიფიცირებას;<br>➢ კბილების ცვილით მოდელირებას მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად, აღნიშნული სამუშაოებისთვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და აპარატების გამოყენებას;<br>➢ პროთეზების ბაზისების დამზადებას, მოდელების დამზადებას, ცვილის ბაზისის დამზადებას, დათაბაშირებას, საბაზისო პლასტმასის მომზადებსა, პოლიმერიზაციის რეჟიმის წარმართვას;<br>➢ პროთეზების მექანიკურ დამუშავებას:<br>• გაწმენდას და პოლირებას;<br>• პროთეზების ფიქსაციას;<br>➢ პირის ღრუს ცალკეული კომპონენტების ანატომიური და ფუნქციური ცვლილებების ამოცნობას, დაცვის მექანიზმების დარღვევის შეფასებას, პირის ღრუს განვითარებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას პრაქტიკულ საქმიანობაში;<br>➢ გარკვეული დამოუკიდებლობით დაამზადოს მოუხსნელი პროთეზები, რაც გულისხმობს მოდელებზე ვინირის, ნახევარ გვრიგვინის და გვრიგვინის აღდგენას ცვილით და შეცვლას |

| | |
|---|---|
| | შესაბამისი ორთოპედიული ტექნოლოგიებით. აღნიშნული პროცესისთვის გამოიყენოს პლასტმასი, ფაიფური, მეტალი და კომბინირებული მასალები;<br><br>➢ გარკვეული დამოუკიდებლობით დაამზადოს ხიდისებური პროთეზები; კბილის ნაწილობრივ ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასებას, სამუშაო გეგმის შემუშავებას;<br><br>➢ გვირგვინის დეფექტების მოდელირებით აღდგენას უჟანგავი მეტალისაგან ხელოვნური გვირგვინის და ნახევარ გვირგვინის დაშტამპვის მეთოდით დამზადებას;<br><br>➢ კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებული ინსტრუმენტების პირველად დამუშავებს;<br><br>➢ კბილის სატექნიკო აპარატების, კბილის პროთეზების დასამუშავებელი იარაღების გამოყენებას, ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას;<br><br>➢ მარილის 3 %-იანი ხსნარის მომზადებას, ანაბეჭდის მარტივი ანტისეპტიკური ხსნარებით დამუშავებას, ზედამხედველობის ქვეშ თაბაშირის მოზელას, სამუშაო მოდელიდან ზედმეტი მასის ჩამოჭრას, სტენსის დარბილებას, მარტივი მავთულოვანი არტაშნების დამზადებას, ელასტიურ ერმოპლასტიური ორშრიანი საანაბეჭდო მასალების კონსისტენციის განსაზღვრას და მის მომზადებას, მოსახსნელი და მოუხსნელი პროთეზების დამზადების პროცესში პლასტმასების პოლიმერიზაციის და გაციების რეჟიმის დაცვას;<br><br>➢ სატექნიკო მასალათა მომზადებას, პოლიმერიზაციის რეჟიმზე თვალყურის დევნებას, სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებული ძირითადი მასალის - თაბაშირის გახსნას საჭირო კონსისტენციამდე, მოდელის ზედმეტი ნაწილებისაგან დამუშავებას; |

| | |
|---|---|
| | ➢ ანაბეჭდიდან მოდელის მიღებას, სხვადასხვა მეტალებისაგან გვირგვინების დამზადებას, მოდელზე მორგებას, დეფექტების აღდგენას ცვილით და შეცვლას მეტალით, სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებითა და მთლიანი გვირგვინებით;<br><br>➢ გარკვეული დამოუკიდებლობით დაამზადოს მთლიანი ან ნაწილობრივ მოსახსნელი პროთეზები, რაც გულისხმობს კბილის ნაწილობრივ ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასებას, სამუშაო გეგმის შემუშავებას, მასალების შერჩევით მოუხსნელი ხიდისებური პროთეზების დამზადებას;<br><br>➢ კბილის გვირგვინოვანი ნაწილების დეფექტების აღდგენას სხვადასხვა კონსტრუქციებით; მოუხსნელი ხიდისებური პროთეზის დამზადებას ჩამოსხმისა და მირჩილვის მეთოდით, პლასტმასით მოპირკეთებულ ხიდისებური პროთეზის დამზადებას; ცვლით მოდელირებას და შეცვლას გვირგვინებით,ხელოვნური გვირგვინების დამზადებას სხვადასხვა მასალის- მეტალის, პლასტმასის, ფაიფურის გამოყენებით, მთლიანი და ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების დამზადებას;<br><br>➢ სათანადო მასალების შერევით მთლიანი ან ნაწილობრივ ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადებას; |
| დასკვნის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>➢ თაბაშირის ან სხვა საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის მასის განსაზღვრას;<br><br>➢ სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასებას შესაბამისი დასკვნის გაკეთებას, სხვადასხვა ვარიანტის განხილვას, საბოლოო გეგმის შერჩევას და მანიპულაციის ჩატარებას;<br><br>➢ პროფესიული საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების ამოცნობას, ანალიზს და დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას; |

| | |
|---|---|
| | ➢ შეაფასოს საღეჭ-სამეტყველო აპარატის დეფექტი და მისი კორექციის მიზნით შეარჩიოს პროთეზის კონკრეტული სახეობა;<br><br>➢ ნორმის და ნორმიდან გადახრის ამოცნობას, გაანალიზებასა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანას და დასკვნების საფუძველზე შესაბამისი ქმედებების დაგეგმვას;<br><br>➢ კბილების შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების და დაზიანების ამოცნობას, შეფასებას, გარკვეული დამოუკიდებლობით დასაბუთებული დასკვნის გამოტანას და შესაბამისი ტაქტიკის შერჩევას ცვილით მისი ფორმის აღსადგენად;<br><br>➢ კბილის გვირგვინოვანი ნაწილის დეფექტების შეფასებას, დასკვნის გაკეთებას და შესაბამისი პროთეზის შერჩევას;<br><br>➢ დეფექტის იდენტიფიცირებას და შესაბამისი ხიდისებური პროთეზის შერჩევას.<br><br>➢ თვალყური ადევნოს პლასტმასების ტექნოლოგიურ პროცესებს და უზრუნველყოფს ოპტიმალურ დროში დანადგარის გამორთვას, გაციების რეჟიმის დაცვას;<br><br>➢ სატექნიკო ლაბორატორიაში წამოჭრილი პრობლემების გაანალიზებას, მათ გადასაჭრელად გეგმის დასახვასა და ადექვატურ რეაგირებას;<br><br>➢ ექიმის და კბილის ტექნიკოსის (მეოთხე ან/და მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე) შენიშვნების გათვალისწინებას, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პოზიციის დაცვას. |
| კომუნიკაციის უნარი | პროფესიული სტუდენტი შეძლებს:<br><br>➢ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის (შინაგანაწესის, ხელშეკრულების)მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებსა და მსგავსი |

| | |
|---|---|
| | ინფორმაციის წაკითხვას და გაზიარებას;<br>➢ კომუნიკაციას კოლეგებთან, პაციენტებთან, ინფორმაციის გადმოცემას მათთვის გასაგები ფორმით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას პროფესიული საქმიანობისთვის;<br>➢ პროფესიული ინფორმაციის, როგორიცაა კბილის სატექნიკო მასალის მიღება, მარკირება, სახეობები, შენახვისა და უსაფრთხოების წესები და ა.შ. გააზრებას;<br>➢ საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერულ ტექნოლოგიების გამოყენებას პროფესიულ კონტექსტში, გააცნობიერებს ტექნოლოგიების (პერსონალური კომპიუტერი, გადასატანი "Notebook" კომპიუტერი, ტაბლეტი, ჯიბის კომპიუტერი, სმარტფონები,) მნიშვნელობასა და დანიშნულებას, პროფესიასთან მიმართებაში.<br>➢ ინგლისური ენაზე პროფესიული საქმიანობის პროცესში სხვადასხვა საკითხებზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის დამყარებას |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ დასახელებული წყაროს გამოყენებას ინფორმაციის მოსაპოვებლად და სწავლისთვის;<br>➢ საკუთარი პროფესიული განათლების გაღრმავებას არა მარტო თეორიული ცოდნის შეძენით, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის გზითაც;<br>➢ პროფესიული განათლების გაღრმავების საჭიროების განსაზღვრას, იზრუნოს პროფესიული კომპტენციების ამაღლებაზე, სწავლის პროცესში საჭირო ინფორმაციის და ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებას;<br>➢ დაგეგმოს სწავლის გაგრძელებისა და გაღრმავების პერსპექტივები, დასახოს ღონისძიებები პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისათვის. შეუძლია შეძენილი ცოდნით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა; |

| ღირებულებები | პროფესიული სტუდნეტი შეძლებს:<br><br>➢ გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმების დაიცვას, კრიტიკულ სიტუაციაში იმოქმედოს შესაბამისად;<br><br>➢ პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს, ითვალისწინებს თანაგუნდელების შენიშვნებს და რეკომენდაციებს, კრიტიკულ სიტუაციებში მოქმედებს ადევატურად;<br><br>➢ განსხვავებულ სიტუაციებში არ დაკარგოს კეთილგანწყობა;<br><br>➢ მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულოს ინდივიდუალური და გუნდური სამუშაო;<br><br>➢ დაიცვას პროფესიული საქმიანობის პროცესის ხასიათიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესები და ეთიკის ნორმები, საგანგებო რეჟიმში მუშაობის დროს, კრიტიკულ და გადაუდებელ სიტუაციებში იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის არსებულ ღირებულებათა შესაბამისად;<br><br>➢ კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში ჰიგიენური ნორმების დაცვას, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდოს დაკისრებულ სამუშაოს/დავალებას;<br><br>➢ გაითვალისწინოს ექიმისა და პაციენტის შენიშვნები; |
|---|---|

| სასწავლო კურსები |
|---|
| კბილის პროთეზირებაში გამოყენებული მასალები |
| კბილის სატექნიკო ლაბორატორიის დაგეგმარება და აღჭურვილობა |
| საღეჭი აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები და დეფორმაციები |
| პირის ღრუს ანატომია და ფიზიოლოგია |
| ზოგადი ბიოლოგია - შესავალი კურსი |
| ინგლისური ენა A1-A2 |

| |
|---|
| მოდელი. თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტების ცვილით მოდელირება |
| მოუხსნელი პროთეზების დამზადება სხვადასხვა მასალით |
| ხიდისებური  პროთეზების დამზადება |
| კბილებისა და კბილთა მწკრივების მორფოლოგია |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა A2-B1 |
| თაბაშირით  მოდელირება სასწავლო პრაქტიკა |
| ანაბეჭდის აღება, მოდელის მიღება და ცვილით მოდელირება საწარმოო პრაქტიკა |
| მთლიანი, ნაწილობრივ მოსახსნელი და მოუხსნელი პროთეზების დამზადება - საწარმოო პრაქტიკა |



**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასაჟისტი**

**II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური**

**III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** მასაჟისტისმესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**IV. პროგრამისმოცულობა: პროგრამის მოცულობა შეადგენს 64ECTS კრედიტს.**

**V. პროგრამაზედაშვებისწინაპირობა:** მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ასაკი 18 წელი; საბაზოგანათლება; A1 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

**VI. დასაქმების სფერო**

მასაჟისტი არის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც შეუძლია მუშაობა - სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში.

მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში, ბალეტისა და ცეკვის ანსამბლებში, ჰიგიენურიპროფილისსალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვობაღებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში. მასაჟისტს შეუძლია ექიმი- რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.

## VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მასაჟის სფეროს მომცველი როგორც თეორიული საკითხების, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ აღჭურვილი იქნება საბაზისო სამედიცინო, მასაჟის დისციპლინების თეორიული და პრაქტიკულ ასპექტების ცოდნით დაშემლებს დამოუკიდებლად განახორციელოს მასაჟისტის პროფესიული საქმიანობა.

## VIII. სწავლისშედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br><br>– ადამიანის აგებულებისა და ფიზიოლოგიური პროცესების კანონზომიერებები;<br><br>– შინაგანი ორგანოების გავრცელებული პათოლოგიები(ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკა);<br><br>– ავადმყოფის გამოკვლევის ზოგადი მეთოდიკა, უმთავრესი სინდრომები, თერაპია;<br><br>- ფუნქციის თავისებურები და განვითარების კავშირი სათანადო სტრუქტურის თავისებურებასა და განვითარებასთან, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების რეგულაციის არსი.<br><br>– სხვადასხვადაავადებებისდროს გამოყენებადი სხვადასხვა სახის მასაჟის ილეთები და ძირითადიპროცედურები, მათი სხვადასხვა ორგანოზე, ორგანოთა სისტემაზე და ასევე მთელ ორგანიზმზე ზემოქმედების საკითხები; |

| | |
|---|---|
| | – პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები; ანტიცელულიტური, თაფლის, ეგზოტიკური, არომასაჟი;<br><br>– კინეზიოთერაპიის ძირითადი საშუალებები, ფორმები, პროცედურები.<br><br>– საერთაშორისო რეკომენდაციებით განსაზღვრული გადაუდებელი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს მოქმედების ტაქტიკა, თანამიმდევრობა, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;<br><br>– მასაჟისკაბინეტის, მათ შორის სამედიცინო მასაჟის კაბინეტისორგანიზაციის თეორიული საფუძვლები, სამასაჟოოთახისფართები, ჰიგიენის ნორმები, სამასაჟოტახტებისსტანდარტები, სამასაჟოზეთისსახეები, მალამოები,სპეციალური აპარატურა (ვიბრომასაჟირება, ვაკუუმ მასაჟირება).<br><br>– სამკურნალო-სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების ჩატარების პრინციპები, ვარჯიშთა გამოყენების მეთოდები და ფორმები, სამედიცინო გამოკვლევები: არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის სიხშირის განსაზღვრა. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური დარღვევების გავლენა ადამიანის ფიზიკურ აქტივობაზე, სარეაბილიტაციო ღონისძიებების მნიშვნელობა აღნიშნულ დარღვევათა ლიკვიდაციაში.<br><br>– პერკუციის და პალპაციისპრევენციულ ღონისძიებებში პაციენტის ჩართვის მნიშვნელობა, რათა დროულად იქნას თავიდან აცილებული პათოლოგიური პროცესების განვითარება და ხელი შეუწყოს მისი შრომისუნარიანობის აღდგენას და დროულად დაბრუნებას საზოგადოებაში.<br><br>– სამკურნალო ფიზკულტურის არსი, ჩვენება და გამოყენება საყრდენ-მამოძრავებელი და სხვა ორგანოთა სისტემების გამაჯანსაღებელი მიზნით, კინეზიოთერაპიის ფარგლებში შემავალი სხვადასხვა სახის ვარჯიშები და მათი შესრულება.<br><br>– სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები, მათი სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | ორგანოზე, ორგანოთა სისტემაზე და ასევე მთელ ორგანიზმზე ზემოქმედების საკითხები (სისხლისმიმოქცევისადალიმფურსისტემაზე, კანზე, კუნთოვანსისტემაზე, შემაერთებელქსოვილზე, ნერვულსისტემაზე, შინაგანორგანოებზედამთლიანადმთელორგანიზმზეზემოქმედებისას);<br><br>– სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმით ილეთები, რხევები, ბერტყვა, შერხევა და ვიბრაცია, პასიური მოძრაობები.<br><br>– კინეზიოთერაპიისფორმები: პროცედურა - ინდივიდუალურიდაჯგუფურიმეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითითერაპია, კინეზიო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელივარჯიში; ასევე - მოძრაობისრეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნისდასაწვრთნელი;<br><br>– კინეზიოთერაპიისძირითადისაშუალებები: - საერთოგანმავითარებელიდასპეციალურივარჯიშები (იდიომოტორული. იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციურიდასხვ.)<br><br>– ურთიერთობის ფსიქოლოგიის პრინციპები; |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>– ადამიანის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნაზე დამყარებით ნორმისა და პათოლოგიური მდგომარეობების განსაზღვრას და მათზე ზემოქმედების გზების დადგენას.<br><br>– შინაგანი სნეულებების შესწავლის საფუძველზე პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასებას,პათოლოგიური პროცესის ან მდგომარეობის პირველად ამოცნობას, თერაპიული დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებას, რაც დაეხმარება კონკრეტული პაციენტის სამკურნალო, პროფილაქტიკური თუ სარეაბილიტაციო მასაჟის შერჩევაში. |

| | |
|---|---|
| | – სამედიცინო გამოკვლევებს: არტერიული წნევის გაზომვას, პულსისა და სუნთქვის სიხშირის განსაზღვრას.<br><br>–<br><br>ლათინურიენისპრაქტიკულგამოყენებასრეცეპტებისადამედიკამენტებისანოტაციის, პაციენტის დიაგნოზის წაკითხვისა და მისი კლინიკური მდგომარეობის გასარკვევად.<br><br>–<br><br>სამკურნალომასაჟისმეთოდებისგამოყენებასსხვადასხვადაავადებებис მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციის მიზნით, პაციენტისასაკის, ზოგადი მდგომარეობის,დაავადებისმიმდინარეობისადასპეციფიკისგათვალისწინებითდაშესაბამისისამასაჟოილეთისშერჩევას, ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.<br><br>– ცალკეულ ტრადიციული სამასაჟო პროცედურების განხორციელებას, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის ჩატარებას.<br><br>– გადაუდებელ ეტაპზე უზრუნველყოს დაზარალებულისა და საკუთარი უსაფრთხოება, ამოიცნოს და შეაფასოს სასიცოცხლო რისკები, დაგეგმოს მოქმედება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გადაუდებელ ეტაპზე განახორციელოს საჭირო სამედიცინო პროცედურები და მანიპულაციები.<br><br>– ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას სხვადასხვა დავადებების სამკურნალოდ,რეაბილიტაციის და პრევენციის მიზნით.<br><br>– ჩაუტაროს პაციენტებს დოზირებული ფიზიკური ვარჯიშები იარაღებით (ბურთით, ჯოხით,სკამით, ჰანტელებით) და იარაღებზე (ტანვარჯიშულ კედელზე, ტრენაჟორებზე), პაციენტის ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.<br><br>– პერკუცია და პალპაციისპრევენციულ ღონისძიებებში პაციენტის ჩართვას, რათა დროულად იქნას თავიდან აცილებული პათოლოგიური პროცესების განვითარება და ხელი შეუწყოს მისი შრომისუნარიანობის აღდგენას და დროულად დაბრუნებას |

| | |
|---|---|
| | საზოგადოებაში.<br><br>– კინეზოთერაპიის სხვადასხვა ტიპის ვარჯიშების ჩატარებას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის, პათოლოგიის სპეციფიკის და ფიზიკური მომზადებების გათვლისწინებით,<br><br>– სქოლიოზისა და საყრდენ მამოძრვაბელი აპრატის, სხვა დეფორმაციის და დაზიანების მქონე პაციენტების მკუნრლობა/რეაბილიტაციას<br><br>– პაციენტისათვისფიზიოთერაპიულიმკურნალობისმეთოდებისშერჩევას,ტალახისადაპარაფინისაპლიკაციებისდადებასსხვადასხვადაავადებებისდროს.<br><br>– სხვადასხვასახისდაავადებისაღმოსაფხვრელად,პროფილაქტიკის, რეაბილიტაციის მიზნით, პაციენტისასაკის, ზოგადი მდგომარეობის,დაავადებისმიმდინარეობისადასპეციფიკისგათვალისწინებითმასაჟისშესრულებას, მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოვლენას.<br><br>– ორგანოთა სისტემების პათოლოგიის,პრევენციის, რეაბილიტაციის მიზნით სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენებას. პაციენტისასაკის, ზოგადი მდგომარეობის, დაავადებისმიმდინარეობისადასპეციფიკისგათვალისწინებით,შეძლებს შეასრულოს მანუალური თერაპია. |
| დასკვნის გაკეთების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>– დაავადების რისკ ფაქტორების, მათ შორის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის ამოცნობას, შეფასებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას, სამედიცინო პერსონათლან ერთად მოქმედებას მეორადი პროფესიული ღონისძიებების ჩატარებაში.<br><br>– დამოუკიდებლად შეაფასოს პაციენტის მდგომარეობა, გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა სამასაჟო პროცედურის ჩატარების თაობაზე.<br><br>– სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობებს შეფასებას და მათ |

| | |
|---|---|
| | აღმოსაფხვრელად მოქმედებას დამოუკიდებლად ან სამედიცინო გუნდთან კოორდინირებულად. ექნება ექსტრემალურ სიტუაციაში სწორი დასკვნის გაკეთების, დაზიანების ხარისხის განსაზღვრისა და პირველადი დახმარების ღონისძიებების სწორად დასახვის უნარი.<br><br>– შეაფასოს და გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც დასახავსკინეზოთერაპიისკონკრეტულიმეთოდისა და ვარჯიშისგამოყენებისგეგმას.ექიმის შენიშვნებისგათვალისწინებას,საკუთარიპოზიციისჩამოყალიბებასა დადაცვას.<br><br>– პაციენტის მდგომარეობის (გარემოებების) იდენტიფიცირებას, შეფასებასა და აღნიშნულის საფუძველზე პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის დამაბრკოლებელი გარემოებების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას დამოუკიდებლად ან სამედიცინო გუნდთან ერთად;<br><br>– პაციენტის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას, შემდგომი მოქმედების ტაქტიკის დასასახად:მასაჟის სახეობის,ილეთის, სამასაჟო პროცედურების ჩატარების ვადების შესახებ და ა.შ.<br><br>– შეაფასოს პაციენტის მდგომარეობა, გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა, დაადგინოს კონკრეტული დაავადების დროს გამოსაყენებელი კინეზოთერაპიის ფორმა, დააკომპლექტოს სამკურნალო ფიზკულტურის ილეთები და განახორციელოს პრაქტიკაში. |
| **კომუნიკაციის უნარი** | პროფესიული სტუდენტი შეძლებს:<br><br>– ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, საკუთარი მოსაზრების სხვებისთვის გაზიარებას, თემატური კითხვების დასმას, მიწოდებული ინფორმაციის გაგებასა და ანალიზს.<br><br>– პაციენტთან, მის ახლობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას, |

| | |
|---|---|
| | სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობას პროფესიული ეთიკის დაცვით.<br><br>– პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;<br><br>– ინგლისურ ენაზე წაიკითხოს და გაიაზროს მისი პროფესიისთვის აუცილებელი ინფორმაცია;<br><br>– შეძლებს კომუნიკაციის დამყარებას  სოციუმის ცალკეულ წევრებთან, სამუშაო ჯგუფთან, მოახერხებს მოიპოვოს პაციენტისა და მისი ახლობლების ნდობა, დაამყაროს მათთან კომუნიკაცია.<br><br>– შეძლებს სოციუმის წევრების საუბრის მოსმენას, გააზრებასა და საჭიროებისამებრ დაზუსტებას. |
| სწავლის უნარი | პროფესიული სტუდენტი ხელმძღვანელის მითითებით შეძლებს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვას, სპეციალური ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებას,გაცნობიერებული ექნება უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებობა. |
| ღირებულებები | პროფესიული სტუდენტი:<br>– პატივისცემით და თანაგრძნობით მოეპყრობა პაციენტებს, შეეცდება დაიმსახუროს მათი ნდობა. საკუთარ პროფესიულ მოვალეობებს შეასრულებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.<br>– შეძენილი ცოდნის საფუძველზე გამოუმუშავდება ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ურთიერთ- პატივისცემა, თანაგრძნობა, ნდობა, კომპრომისის უნარი და ა.შ.<br>– პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის დაიცავს ეთიკის ნორმებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს. პაციენტისა და კოლეგების მიმართ იქნება კეთილგანწყობილი. პატივისცემით და თანაგრძნობით მოეპყრობა პაციენტებს, შეეცდება დაიმსახუროს მათი ნდობა.<br>– პროფესიული საქმიანობის პროცესში დაიცავს ჰიგიენურ და სანიტარულ ნორმებს. |

| სასწავლო კურსები |
| --- |
| ანატომია და ფიზიოლოგია |
| თერაპიის საფუძვლები |
| ლათინური ენა |
| მასაჟის სხვადასხვა ფორმები |
| პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება |
| სამასაჟო კაბინეტის ორგანიზება |
| სამედიცინო რეაბილიტაცია |
| სამკურნალო ფიზკულტურა |
| ურთიერთობის ფსიქოლოგია |
| ფიზიოთერაპია |
| ინგლისური ენა (A1-A2) |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| მასაჟის სხვადასხვა ფორმის გამოყენებასაწარმოო პრაქტიკა |
| სამკურნალო ფიზკულტურა სასწ. პრაქტიკა |



I. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწე
**II. პროფესიული განათლების საფეხური:** V საფეხური
**III. მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
**IV. პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება; A2 დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

**VI. დასაქმების სფერო**

ფარმაცევტის თანაშემწის დასაქმების ადგილებია - აფთიაქები, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, ფარმაცევტული ბაზები, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოები, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები , სტომატოლოგიური და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიები.

**VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს საბაზისო სამედიცინო და ფარმაცევტული დისციპლინების ცოდნით, ფარმაცევტულ სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეხლებს ფარმაცევტულ საწარმოებში, აფთიაქებში და ფარმაცევტულ ბაზებში ფარმაცევტის ასისტირებას, კლიენტებთან კომუნიკაციის დამყარებას, აფთიაქისა და ფარმაცევტული ბაზის ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებასა და წარმართვას.

VII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება:**<br>➢ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები:<br>• უჯრედის ქიმიური და სტრუქტურული შედგენილობას, მემკვიდრეობის ძირითადი კანონზომიერებები, სელექციისა და ეკოლოგიის საფუძვლები, ბიოსფეროს ბიოლოგიური კანონების მნიშვნელობა, ადამიანის ორგანოთა სისტემების ფიზიოლოგიურ რეჟიმში ფუნქციონირება და პათოლოგიის აღმოცენება;<br>• სასიცოცხლო პროცესების ზოგადბიოლოგიური კანონზომიერებების და მათი პათოლოგიური ცვლილებები, ნორმისა და პათოლოგიის ცნებები<br>➢ ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია, სამკურნალწამლო საშუალებათა სახელწოდებები.<br>➢ ფარმაცევტული ინფრასტრუქტურა, აფთიაქების ტიპები, ფარმაცევტული საწარმოს, სააფთიაქო საწყობის სტრუქტურა, მათი ფუნქციონირების პრინციპები, მედიკამენტების შენახვის უზრუნველყოფა, სამკურნალწამლო საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საქონლით მომარაგების წესები, ფარმაცევტული საქმიანობის საკანონმდებლო-ნორმატიული საფუძვლები; ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში გამოვლენილ პრობლემები და მათი გადაჭრის ზოგადი შესაძლებლობები; |

| | |
|---|---|
| | ➢ ფარმაცევტულ საწარმოებში მიმდინარე ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები – აღჭურვილობისა და აპარატურა; წამალთა წარმოების, შენახვის პირობებისა და წამლის ხარისხის კონტროლის ზოგადი საფუძვლები, წამლის ფორმების (ხსნარების, ფხვნილების, გამონადენების, მონახარშების, მალამოების) მომზადების ზოგადი ტექნოლოგიური მეთოდები ; ქიმიურ ტექნოლოგიური ანალიზის ზოგადი საფუძვლები;<br><br>➢ ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები; მომზადებული პროდუქციის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; ფარმაცევტული წარმოების საწყობში შემოსული მარაგების მიხედვით მიღება და აღრიცხვა;<br><br>➢ წარმოების დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მარაგების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა.შ) თეორიული საფუძვლები;<br><br>➢ ფარმაცევტული პროდუქციის და სამედიცინო დანიშნულების საქონლის სერიული აღრიცხვა და ვარგისიანობის ვადის კონტროლი;<br><br>➢ სამკურნალო პრეპარატების (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და პარა სამკურნალო საშუალებები) სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა (საგნები, მასალები, შემაერთებელი წესები, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების) დანიშნულებისამებრ გამოყენების, მიღება, განთავსების შენახვის წესები, სამედიცინო დანიშნულების საქონლის სხვადასხვა ჯგუფების ხარისხის შეფასების მეთოდები, სამკურნალო ნივთიერებების შენახვის წესები, რომლებიც მოითხოვენ სინათლისგან, ტენიანობისა და მაღალი ტემპერატურისგან დაცვას, ასევე სუნიანი და მღებავი საშუალებების შენახვა და |

|  |  |
|---|---|
|  | დაცვა;<br><br>➢ სამკურნალო ნივთიერებების ფიზიკური და ქიმიური თავისებურებების შესახებ, მედიკამენტების ქიმიური შედგენილობის და ხარისხის კონტროლის ზოგადი საფუძვლები. სამკურნალწამლო საშუალებების ხარისხის კონტროლის მნიშვნელობა;<br><br>➢ სამკურნალწამლო საშუალებების კლასიფიკაცია, წამლის ფორმების (ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების) მომზადების თეორიულისაფუძვლები, ნედლეულის დამზადებისა და დაწვრილმანების მეთოდები;<br><br>➢ სამკურნალო მცენარეთა რესურსების და გავრცელების არეალის, ცოცხალი სამკურნალო მცენარეების ამოცნობის, მათი აღების ვადების, შეგროვების, შრობისა და შენახვის მეთოდები;ქიმიური შემადგენლობა, მცენარის ორგანოებსა და ქსოვილებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ლოკალიზაციის ადგილები, მედიცინაში გამოყენება;<br><br>➢ საერთაშორისო რეკომენდაციებით განსაზღვრული გადაუდებელი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს მოქმედების ტაქტიკა, თანამიმდევრობა, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;<br><br>➢ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულად და სწორად ჩატარების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად;<br><br>➢ მედიკამენტების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის საფუძვლები,გამოშვების ფორმის, მოქმედების ეფექტების, გვერდითი ეფექტების, დოზირების, ზედოზირების, უკუჩვენების, სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედების, გამოყენების, შენახვის, გაუვნებლობის წესები; |

<table>
<tr><td></td><td>

- პროფესიული სტუდენტი გააცნობიერებს:
  - ბიოლოგიურ პროცესებში აღმოცენებული ცვლილებების მნიშვნელობას, როგორც დაავადების განვითარების წინაპირობას;
  - საკუთარ პროფესიულ როლს მოსახლეობის ხარისხიანი მედიკამენტებით მომარაგების პროცესში;
  - მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარისხის განსაზღვრის, შენახვის წესების დაცვის მნიშვნელობას;
  - ფიტოპრეპარატების მნიშვნელობას და როლს დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში, მცენარეული ნედლეულის კეთილხარისხოვნობის მნიშვნელობას მის მიერ მომზადებული წამლის ეფექტურ მოქმედებაში, სამკურნალო მცენარეების მოქმედი საწყისების სპეციფიკურ თვისებებს, მათ მნიშვნელობას სამკურნალწამლო საშუალების მომზადების პროცესში;
- წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიული საფუძვლები
- პროფესიული საქმიანობის დროს წარმოშობილი პრობლემური საკითხების ხასიათსა და სირთულეს, პოულობს მათი გადაჭრის შემდგომ შესაძლებლობებს;

</td></tr>
<tr><td>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</td><td>

პროფესიული სტუდენტი შეძლებს:

ლათინური ენის პრაქტიკულ გამოყენებას რეცეპტებისა და მედიკამენტების ანოტაციის წაკითხვისას; მომხმარებლისათვის კვალიფიციური კონსულტაციის გაწევას ლათინური ტერმინოლოგიის განმარტებების ირგვლივ;

- სამედიცინო პრეპარატებისა და მასალების შემოწმებას, წესების დაცვით შენახვას,მომხმარებელზე გაცემას, გამოყენებასა და შენახვის პირობებზე შესაბამისი რჩევა-

</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | დარიგებების მიცემას;<br><br>➢ გამოყენებული მასალების გაუვნებლობას შესაბამისი მეთოდებით;<br><br>➢ ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტების ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის – საგნების, მასალების, შემაერთებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება–განთავსების, შენახვის პირობების უზრუნველყოფის და ვარგისიანობის ვადის კონტროლს;<br><br>➢ მოახდინოს სამკურნალო საშუალებათა სწორი რეალიზაცია, მათი დიფერენცირება, მომხმარებლისგან რეცეპტის მიღება, ანალიზი, კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა,მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების შენახვა, დაცვა;<br><br>➢ ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობის ქვეშ, სააფთიაქო პირობებში, რეცეპტის მიხედვით სამკურნალწამლო საშუალების (ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების) დამზადებას, ნედლეულის პირველად დამუშავებას, წამლის დამზადების პროცესისთვის აუცილებელი რეაქტივების, ინდიკატოორების,ხსანარების და სხვათა მომზადებას; მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადებას, შრობას, შენახვას; პირველად დამუშავებას (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა) სხვადასხვა გამხსნელების მომზადებას, გახსნას, აორთქლებას, შრობას;<br><br>➢ ფარმაცევტის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურებით წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას;<br><br>➢ თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით, ზედამხედველობის ქვეშ მონაწილეობა მიიღოს სამკურნალწამლო პროდუქციის წარმოებაში, სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | წარმოშობის ნედლეულისგან პრაქტიკულად განახორციელოს ფარმაცევტულ საწარმოში მზა წამლის ფორმის მომზადება, შეფუთვა და შენახვა;<br>➢ წამლის ხარისხის უზრუნველყოფას საწარმოში, სამკურნალწამლო საშუალებების შეფუთვას, მარკირებას, ხარისხის კონტროლს, შენახვას წესების დაცვით;<br>➢ კეთილხარისხოვანი სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან წამლების დამზადებას, მათი შემადგენელი მოქმედი საწყისების სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებას, კომპეტენტური რეკომენდაციის მიცემას პაციენტებისთვის სამკურნალო ნედლეულის შესახებ, მონაწილეობის მიღებას აფთიაქში: მცენარეული ნედლეულის მიღებაში, მათი ნამდვილობისა და კეთილხარისხოვანობის დადგენაში;<br>➢ ფარმაცევტული ანალიზისთვის ლაბორატორიის მომზადებას; ზედამხედველობის ქვეშ მოახდინოს რეაქციების, ინდიკატორების და სხვადასხვა ხსნარების მომზადება შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით; სამკურნალო პრეპარატის ანალიზი, მისი იდენტიფიცირების მიზნით;<br>➢ ფარმაცევტულ წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღებასა და აღრიცხვას;<br>➢ გადაუდებელ ეტაპზე უზრუნველყოს დაზარალებულისა და საკუთარი უსაფრთხოება, ამოიცნოს და შეაფასოს სასიცოცხლო რისკები, დაგეგმოს მოქმედება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გადაუდებელ ეტაპზე განახორციელოს საჭირო ღონისძიებები ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენისა და შენარჩუნებისთის; პათოლოგიური პროცესისა და პათოლოგიური მდგომარეობის პირველად ამოცნობას;<br>➢ სამკურნალო პრეპარატების დაფასოებას, ფხვნილების გაწონვას, კაპსულებში შეფუთვას, ჭურჭლის და დასახური მასალის შერჩევას, სითხოვანი წამლის ფორმების გაწურვას, |

| | |
|---|---|
| | გაფილტვრას, სტერილიზაციას, სუპოზიტორების და აბების გამოგორებას, შეფუთვას, შენახვას, მარკირებას ფარმაცევტის უშუალო ხელმძღვანელობით წამლის ფორმების მომზადებას; პროცენტული კონცენტრაციის გაანგარიშებას, ხსნარების განზავებას, ხელზე გასაყიდ განყოფილებებში ვიტრინებსა და კარადებში საქონლის განლაგებას; დაიცავს მათი გამოყენების წესებს. მომხმარებლებთან, პაციენტებთან, ექიმებთან, თანამშრომლებთან იმოქმედებს ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის წესების დაცვით; გარეგნულად დაათვალიეროს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტები შეაფასოს, აიღოს სინჯები და დაამუშაოს;<br><br>➢ სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემას;<br><br>➢ მესამე ჯგუფისთვის მიკუთვნილი პროდუქციის რეალიზაციას;<br><br>➢ რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; |
| დასკვნის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br><br>➢ ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების,სამედიცინო დანიშნულების საქონლის, რეაქტივების შენახვის პირობების დარღვევის და ვარგისიანობის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას და შესაბამისი რეაგირებას, ასევე ვარგისიანობის ვადის კონტროლის საფუძველზე გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე შესაბამისი დასკვნის მომზადების რეალიზაციიდან ამოღების ან/და დროული რეალიზაციის შესახებ;<br><br>➢ სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობებს შეფასებას და მათ აღმოსაფხვრელად მოქმედებას დამოუკიდებლად ან სამუშაო გუნდთან კოორდინირებულად; |

| | |
|---|---|
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ ქართულ და ინგლისურ ენებზე თავისუფალ საკომუნიკაციო დონეზე ურთიერთობას, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;<br>➢ საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერულ ტექნოლოგიების გამოყენებას პროფესიულ კონტექსტში, საკომუნიკაციო ქსელების ტექნოლოგიას, ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, მათი საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის გაცნობას და გადაცემას შესაბიმისი წესების დაცვით;<br>➢ სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების ფარმაცევტული ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ;<br>➢ ფარმაცევტულ საქმინობასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმას, ანლიზსა და გადმოცემას, მათ შორის დემონსტრირებას;<br>➢ კომუნიკაციის დამყარებას სპეციალისტებთან და მომხმარებელთან, კერძოდ მესამე ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ გადასცეს და გაუზიაროს მათ მიღებული ცოდნა და ინფორმაცია, დემონსტრირების უნარის გამოყენებით. |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ პროფესიული განათლების გაღრმავების საჭიროების განსაზღვრას ცვალებად და გაუთვალისიწნებელ ვითარებაში; იზრუნოს პროფესიული კომპტენციების ამაღლებაზე, სწავლის პროცესში საჭირო ინფორმაციის და ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებაზე;<br>➢ ცოდნის გაღრმავებით უპასუხოს ფარმაცევტული საწარმოო ტექნოლოგიების განვითარების მზარდ ტემპებს და ამ |

| | |
|---|---|
| | მიზნის მისაღწევად დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები;<br>➢ საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრას შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით; |
| **ღირებულებები** | **პროფესიული სტუდენტი:**<br>➢ პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას,იცავს ფარმაცევტული ეთიკისპრინციპებს და სხვებსაც მოუწოდებს მათ დასაცავად;<br>➢ აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიულ ღირებულებებთან;საგანგებო რეჟიმში მუშაობის დროს, კრიტიკულ და გადაუდებელ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის არსებულ ღირებულებათა შესაბამისად;<br>➢ მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებს პროფესიულ ინდივიდუალურ და გუნდურ სამუშაოს. |

| **სასწავლო კურსები** |
|---|
| ზოგადი ბიოლოგია |
| ლათინური ენა |
| პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება |
| სამედიცინო ბიოლოგია |
| სოციალური ფარმაცია |
| ფარმაკოგნოზია |
| ფარმაკოლოგია |
| ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობა |
| ფარმაცევტული ქიმია |
| წამალთა დამზადების სამრეწველო ტექნოლოგიები |
| წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგიები |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| ინგლისური ენა (A2-B1) |
| ინგლისური ენა (B1-B2) |
| საწარმოო პრაქტიკა - ფარმაცევტის ასისტირება |



I. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** პრაქტიკოსი ექთანი

**II. პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური**

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

**პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია**

IV. **პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა შეადგენს 150 ECTS კრედიტს.

V. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება; A2დონის განმსაზღვრელი ტესტირება ინგლისურ ენაში.

VI. **დასაქმების სფერო**

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს,ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

## VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამედიცინო სფეროს დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიცური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო დონის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, კერძოდ ავადმყოფის მოვლის შესაბამისი სამედიცინო თეორიული და პრაქტუკული ცოდნითა და უნარ–ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება, რომელნიც შეძლებენ რომლებიც შეძლებენ კვალიფიციური ასისტირება გაუწიონ სამედიცინო სფეროს შესაბამის წარმომადგენლებს.

## VIII. სწავლის შედეგი:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება/ექნება:<br><br>➢ ავადმყოფის მოვლის ზოგადი და სპეციფიკური მეთოდები კლინიკური უნარ-ჩვევების შესახებ.;<br><br>➢ პაციენტთა ტრიაჟი, პირველადი საექთნო შეფასება და მონიტორინგის ცოდნა;<br><br>➢ შინაგანი ორგანოების გავრცელებული დაავადებების გამომწვევ მიზეზები;<br><br>➢ პათოგენეზური მექანიზმები;<br><br>➢ კლინიკური სიმპტომატოლოგია;<br><br>➢ ავადმყოფის გამოკვლევის ზფოგადი მეთოდიკა;<br><br>➢ უმთავრესი სინდრომები;<br><br>➢ მკურნალობისა და პრევენციის ღონისძიებები;<br><br>➢ დიეტოლოგიის საფუძვლები;<br><br>➢ სხვადასხვა ორგანოთა სისტემების ძირითადი დაავდებების შესახებ;<br><br>➢ სასიცოცხლო პროცესების ზოგადბიოლოგიური კანონზომიერებები და მათი პათოლოგიური ცვლილებები, ნორმისა და პათოლოგიის ცნებები, პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობია უჯრედულ და ორგანიზმულ |

| | |
|---|---|
| | დონეზე,ადამიანის პარაზიტული დაავადებები;<br>➢ გადაუდებელი (პირველადი) სამედიცინო დახმარების საფუძვლები **(BLS, ACLS, PHTLC, ATLC)**, საერთაშორისო რეკომენდაციებით განსაზღვრული გადაუდებელი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს მოქმედების ტაქტიკა, თანამიმდევრობა, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;<br>➢ განვითარების შეფერხების შესახებ მენტალური და ფსიქიური დაავადებების დროს, ორსულობისა და ლოგინობის ხანის, ძუძუთი კვების პერიოდში საექთნო საქმიანობის განსახორციელებელ თეორიული ასპექტები;<br>➢ ინფექციური აგენტის, ინფექციური ანთებითი პროცესის, ინფექციურ დაავადების კლინიკური კანონზომიერებების, სოციალურად საშიში ინფექციური დაავადებების,ინფექციური პათოლოგის მქონე პაციენთა მოვლის და ინფექციური დაავადებების მართვის შესახებ;<br>➢ ინფექციის კერაში მუშაობის უსაფრთხოების წესების , ინფექციის კონტროლის შესახებ;<br>➢ ბავშვობის ასაკის პერიოდების, ბავშვის ფსიქომოტორული განვითარების, ორგანოთა სისტემების აგებულებისა და ფუნქციონირების ასაკობრივი თავისებურებები, მათი დაზიანების ძირითადი სემიოტიკა, გამოკვლევის მეთოდები, კვების ნორმები;<br>➢ ხანდაზმულ ასაკში გავრცელებულ პათოლოგიათა მართვის პრინციპები,პალიატიურ პაციენტთა მოვლის სპეციფიკური მხარეები;<br>➢ სამკურნალწამლო საშუალებათა ფარმაკოლოგიური ჯგუფები, ცალკეული მედიკამენტის ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა, გამოშვების ფორმა, მოქმედების ეფექტები, გვერდითი ეფექტები, დოზირებია, ზედოზირება, უკუჩვენება, სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება, |

გამოყენება, შენახვა, გაუვნებლობა;

- მართვის პრინციპები, ლიდერობის სახეები, მისი არსი და მნიშვნელობა, ურთიერთობის ფსიქოლოგია, გუნდური და ინდივიდუალური ურთიერთობების პრინციპები, კომუნიკაცია საზოგადოებასთან, სამუშაო ჯგუფთან, მოსავლელ პირებთან, მათ ახლობლებთან;
- ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა:
  - სამართლებრივ ასპექტებს;
  - საექთნო საქმის სოციალურ;
  - კულტურულ, სულიერ, ეკონომიუკრ–პოლიტიკურ ასპექტები;
- მისთვის საჭირო თემებზე წერილობითი ტექსტების მომზადება, იდეებისა და ინფორმაციისსტრუქტურირებულად და თანმიმდევრულადგადაცემა სპეციალისტებისადაარასპეციალისტებისათვის;
- სამედიცინო პერსონალის ქცევის ურთიერთობის ფსიქოლოგიის პრინციპები, საექთნო საქმიანობის ფუნდამენტური ღირებულებები;

- **მართვის პრინციპები, ლიდერობის სახეები, მისი არსი და მნიშვნელობა**

- **მრავალმხირვი/სპეციალიზირებული ცოდნა:**
  - ადამიანის აგებულებისა და ფიზიოლოგიური პროცესების კანონზომიერების შესახებ;
  - სამედიცინო დეონტოლოგიის - პროფესიული ეთიკის

შესახებ;

- გერიატრიისა და გერონტოლოგიის საფუძვლების, სიბერის ბიოლოგიური არსის, სიბერესთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების შესახებ;
- დაავადებათა ზოგადი პრევენციული ღონისძიებების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ჰიგიენური ნორმების, კვების ჰიგიენის, ინფექციური და ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ;
- სოციალურად საშიში დაავადებების პრევენციის და კონტროლის პრინციპების, გარემოს უსაფრთხოების ნორმების შესახებ;
- უჯრედის ქიმიური და სტრუქტურული შედგენილობა, მემკვიდრეობის ძირითადი კანონზომიერების, სელექციისა და ეკოლოგიის საფუძვლების, ბიოსფეროს შესახებ;

**პროფესიულ სტუდენტს გაცნობიერებული ექნება:**

- ➢ პროფესიონალი ექთანის დანიშნულება, როლი, მოვალეობები და ფუნქციები,როგორც ინდივიდუალურ, ასევე მულტიდისციპლინარულ გუნდში მუშაობისას;
- ➢ საკუთარი პროფესიული მოვალეობები და უფლებები:
  - ექიმის კვალიფიციური ასისტირების მნიშვნელობა დაავადების მართვაში;
  - პაციენტზე მზრუნველობაში;
  - პრევენციული ღონისძიებების ორგანიზებაში;
- ➢ ბიოლოგიური კანონების მნიშვნელობა ადამიანის ორგანოთა სისტემების ფიზიოლოგიურ რეჟიმში ფუნქციონირებასა და

| | |
|---|---|
| | პათოლოგიის აღმოცენებაში;<br>➢ ბიოლოგიური პროცესებში აღმოცენებული ცვლილებების მნიშვნელობა, როგორც დაავადების განვითარების წინაპირობა;<br>➢ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულად და სწორად ჩატარების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად;<br>➢ თერაპიის საფუძვლების ცოდნის საჭიროება საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში;<br>➢ ფუნქციის თავისებურებისა და განვითარების კავშირი სათანადო სტრუქტურის თავისებურებასა და განვითარებასთან, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების რეგულაციის არსი;<br>➢ მოსალოდნელი დაავადებების პრევენციის მნიშვნელობა,;<br>➢ კორექტული კომუნიკაციის აუცილებობა ხანდაზმულებთან და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებთან;<br>➢ საკუთარ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვის მოვლის და პედიატრიულ პათოლოგიათა მართვის ორგანიზებაში;<br>➢ საკუთარი როლი ინფექციური დაავადების პათოლოგიათა პრევენციასა და მართვაში, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;<br>➢ პროფესიონალი ექთნის როლი, მოვალეობები და ფუნქციებიინფექციის კონტროლის საკითხებთან მიმართებაში;<br>➢ უსაფრთხო ეკოლოგიური გარემოსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა სხვადასხვა პათოლოგიათა მართვასა და პრევენციაში;<br>➢ ეფექტური პროფესიული საქმიანობისთვის მორალურ-ეთიკური მხარის მნიშვნელობა. |

| | |
|---|---|
| | ➢ იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს, ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტთა მოვლის ორგანიზებას:<br>• ავადმყოფის მდგომარეობის პირველად საექთნო შეფასებას;<br>• დაკვირვებას;<br>• პაციენტის მკურნალობის მართვის გეგმით გათვალისწინებას;<br>• შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და შესრულებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში,;<br>• სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების (ინვაზიური და არანვაზიური) ჩატარებას,;<br>• ავადმყოფისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას;<br>• დაავადებათა მართვას და პრევენციას;<br>• კლინიკური უნარ-ჩვევების გამოვლენას;<br>• პრობლემის იდენტიფიკაციასი<br>• გეგმის შემუშავებს და პრაქტიკაში დანერგვას;<br>➢ ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნასა და პრაქტიკული უანრების ფართო სპექტრით გამოყენებას:<br>• განსაზღვროს პათოლოგიური პროცესები და პათოლოგიური მდგომარეობები და დაადგინოს მათზე ზემოქმედების გზები;<br>• ამოიცნოს სხვადასხვა ორგანოთა სისტემების აგებულება |

| | |
|---|---|
| | და ფუნქციაში ნორმიდან გადახრის ნიშნები;<br>➢ პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასებას;<br>➢ პათოლოგიური პროცესისა და პათოლოგიური მდგომარეობის პირველად ამოცნობას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, ადამიანის სისხლის, ვისცერალური და ინტესტინალური პარაზიტული დაავადებების ამოცნობას;<br>➢ თერაპიული დაავადებების მართვას;<br>➢ პაციენტის მოვლისა და მართვის გეგმით გათვალისწინებული სამედიცინო მანიპულაციებისა და პროცედურების ჩატარებას;<br>➢ თერაპიულ პათოლოგიათა პრევენციას;<br>➢ ჯანმრთელობის მდგომარეობის პირველად საექთნო შეფასებას, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დევიაციის ამოცნობას,სამედიცინო ინტერპრეტაციას, ავადმყოფზე დაკვირვებას, მონიტორინგს,საჭირო სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების,როგორც ინვაზიურის,ასევე არაინვაზიურის, ჩატარებას დამოუკიდებლად ან ექიმის დახმარებით, სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებას,დამუშავებას და შენახვას, მედიკამენტების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, პაციენტის და/ან კლიენტის მოვლას კლინიკის,სამშობიარო სახლის, სარეაბილიტაციო ცენტრის, ბინისა და თავშესაფრის პირობებში;<br>➢ სხვადასხვა ასაკის ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვის მოვლის ორგანიზებას:<br>• სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების ჩატარებას;<br>• ბავშვის ზოგადი მდგომარეობის შეფასებას;<br>• ფსიქო-მოტორული განვითარების შეფასებას;<br>• ბავშვის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების ამოცნობას |

| | |
|---|---|
| | და ადეკვატურ რეაგირებას კომპეტენციის ფარგლებში;<br>• კვების კორექციას;<br>• ბავშვის ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას;<br>• პედიატრიული პროფილის პათოლოგიათა მართვას;<br>➢ ხანდაზმულთა და განუკურნებელი ავადმყოფობებით შეპყრობილ პაციენტთა მოვლას,:<br>• ტერმინალური ავადმყოფის მოვლას;<br>• სიბერესთან დაკავშირებული დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას;<br>• ხანდაზმულ ასაკში გავრცელებულ პათოლოგიათა მართვას;<br>• მართვის გეგმით გათვალისწინებული საჭირო ინვაზიური და არაინვაზიური პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარებას;<br>➢ ინფექციური დაავადებების პირველად ამოცნობას, საკარანტინო ღონისძიებათა ორგანიზებას, ინფექციის კერის დეზინფექციას, რეინფექციის, სუპერინფექციას, ჯვარედინი ინფექციის პრევენციას, სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას, მოსახლეობისთვის ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო გარემოს შექმნას, იმუნიზაციის პროცესიის წარმართვას,ინფექციური პათოლოგის მქონე პაციენთა მოვლას და ინფექციური დაავადებების მართვას დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით;<br>➢ პაციენტთა ტრიაჟის სამედიცინო პრობლემის პირველადი საექთნო შეფასებას და რეაგირებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამედიცინო გუნდთან შეთანხმებით და/ან დამოუკიდებლად განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას, სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებას, დამუშავებას და შენახვას, მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და |

| | |
|---|---|
| | სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას, შენახვასა და გამოყენებული მასალის განადგურებას უსაფრთხოების წესების დაცვით. მედიკამენტების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, პაციენტის და/ან კლიენტის მოვლას პათოლოგიის სპეციფიკის, ასაკის გათვალისწინებით კლინიკის, სამშობიარო სახლის, სარეაბილიტაციო ცენტრის, ბინისა და თავშესაფრის პირობებში, სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარებას, სამკურნალო-დაცვითი რეჟიმს, უზრუნველყოფს პაციენტის უსაფრთხოებას, ჩაატარებს ყველა საჭირო სამედიცინო პროცედურას და მანიპულაციას, რომელიც გათვალისწინებულია მოვლისა და დაავადების მართვის გეგმით, კლიენტის/პაციენტის ოპტიმალურ, კომფორტულ და ეთიკურ მოვლის/ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნიშნების ამოცნობას კლიენტთან/პაციენტთან მიმართებაში;<br>➢ სხვადასხვა დაავადებების მქონე პაციენტთა მოვლას, დაავადებათა მართვას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში,პაციენტის მომზადებას ოპერაციული ჩარევისთვის, ქირურგიული ავადმყოფის სანიტარულ დამუშავებას, პაციენტთა მოვლას და მართვას პოსტოპერაციულ პერიოდში,სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს, ორსულობისა და ახალშობილთა მოვლას, ავადმყოფის მოვლას მენტალური უნარების დარღვევების, მათ შორის ფსიქონევროლოგიური დარღვევების გათვალისწინებით; შეძლებს გაუწიოს პაციენტს თანადგომა და დახმარება ახალ გარემო-პირობებთან შეგუებაში, იზრუნოს მისი თვითმომსახურების უნარების გაუმჯობესებაზე. შეძლებს გამოიყენოს და შეინახოს საჭირო ხელსაწყო-იარაღები, მასალები, სამკურნალწამლო საშუალებები, სამედიცინო ტექნიკური აპარატურა, უსაფრთხოების წესების დაცვით. გაანადგუროს გამოყენებული მასალები. დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გაატაროს პროფილაქტიკური |

| | |
|---|---|
| | ღონისძიებები;<br><br>➢ ონკოლოგიური ავადმყოფის მოვლასა და მართვას, სპეციფიკური სამკურნალო პროცედურებისა და მანიპულაციების ჩატარებას, პაციენტის მომზადებას ქიმიოთერაპიისთვის. კიბოს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტერმინალური პაციენტის მოვლას და მართვას, სხეულის მოვლას სიკვდილის შემდეგ, კომატოზურ მდგომარეობაში ავადმყოფის მოვლას და მართვას, გულ-ფილტვის რეანიმაციას, პოსტოპერაციულ რეანიმაციას;<br><br>➢ გადაუდებელ ეტაპზე უზრუნველყოს დაზარალებულისა და საკუთარი უსაფრთხოება, მოახდინოს პაციენტთა ტრიაჟი, პირველადი საექთნო შეფასება, ამოიცნოს და შეაფასოს სასიცოცხლო რისკები, დაგეგმოს მოქმედება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გადაუდებელ ეტაპზე განახორციელოს საჭირო სამედიცინო პროცედურები და მანიპულაციები როგორც დამოუკიდებლად,ასევე ექიმის ასისტირების პირობებში;<br><br>➢ ექიმის სამედიცინო დანიშნულების შესრულების კონტროლს, მასზე დელეგირებული მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, შენახვას, დაცვას, გამოყენებული მასალის განადგურებას აუცილებელი მოთხოვნათა დაცვით;<br><br>➢ სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, პაციენტებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, პაციენტების პირად ჰიგიენაზე ზრუნვას, სკრინინგ-ტესტებისა და იმუნიზაციის პროცესში მონაწილეობას,აწარმოებს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მის დაცვაზე ზრუნვას, ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით;<br><br>➢ კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებით რისკების დროულ შეფასებას და რეაგირებას შესაბამისად; |

| | |
|---|---|
| | ➢ კლიენტის/პაციენტის ღირსების უფლებების დაცვას, ადვოკატირებასა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას;<br><br>➢ პაციენტის ოჯახის წევრების ან/და მომვლელის ინფორმირებასა და სწავლებას, პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობას. მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის ეფექტური სწავლების, მათი მართვის ფუნქციების შესაბამისი საქმიანობისდელეგირების განხორციელებას;<br><br>ბიოეთიკის კურსში შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებს პრაქტიკული უანრების ფართო სპექტრის გამოყენებას, მრავალმხირვ პროფესიულ საქმიანობას ეთიკური და დეონტოლოგიური პრინციპების დაცვით, შეინახავს კონფედენციალურ ინფორმაციას, დაიცავს პაციენტის უფლებებს,თავიდან აიცილებს იატროგენულ დაავადებებს, სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობისას დაიცავს სუბორდინაციის წესებს, კრიტიკულად მიუდგება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, ექიმისა და პაციენტის შენიშვნებს აღიქვამს ადეკვატურად;<br><br>➢ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას კოლეგებთან,პაციენტებთან,მათ ახლობლებთან, კოორდინირებულ მუშაობას, მასზე დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების მართვას, ფუნქციათა ადექვატურ გადანაწილებას;<br><br>➢ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, შენახვას, დაცვას, გადაცემას, გავრცელებას; |
| დასკვნის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს**:<br><br>➢ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის ანალიზს,შეფასებას და დასკვნის გამოტანას, ავადმყოფის მოვლისა და მართვის გეგმის კორექტირებას სამედიცინო გუნდთან შეთანხმებით; |

| | |
|---|---|
| | ➢ ექიმის შენიშვნების გათვალისწინებას;<br><br>➢ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის აღქმას, შეფასებას და დასკვნის გამოტანას,რის საფუძველზეც დასახავს მომავალი მოქმედების გეგმებს;<br><br>➢ სამედიცინო რისკების ამოცნობას, ექიმის ოპერატიულ ინფორმირებას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ, მოქმედებას სამუშაო ჯგუფთან ერთად ან საჭიროების შემთხვევაში-დამოუკიდებლად;<br><br>➢ სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობებს შეფასებასა და მათ აღმოსაფხვრელად მოქმედებას დამოუკიდებლად ან სამედიცინო გუნდთან კოორდინირებულად;<br><br>➢ ექსტრემალურ სიტუაციაში სწორი დასკვნის გაკეთების, დაზიანების ხარისხის განსაზღვრისა და პირველადი დახმარების ღონისძიებების სწორად დასახვის უნარი;<br><br>➢ შეაფასოს ჯანმრთლობის სასიცოცხლო მნიშვნელობის რისკები და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები, გაითვალისწინოს სამედიცინო პერსონალისშენიშვნები, დაიცვასსაკუთარიპოზიცია, გამოავლინოს/ამოიცნოს პაციენტის/კლიენტის, ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკფაქტორები, მართვის/მოდელის დამაბრკოლებებლი გარემოებები, დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი, შესაბამისად მოახდინოს მართვის/მოდელის გეგმის კორექცია და შეუთანხმოს იგი სამედიცინო გუნდს;<br><br>➢ პაციენტისმიერწამლისმიღებისრეჟიმისდარღვევის,ზედოზორე ბის, გვერდითი ეფექტების ამოცნობას,დასკვნების გამოტანას და მოქმედებას სამუშაო გუნდათან ერთად ან საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელად რეაგირებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;<br><br>➢ მიღებული ინფორმაციის გაანალიზებასა და შესაბამისი |

| | |
|---|---|
| | მოქმედებების დაგეგმვას, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და ფსიქო–სოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობების ამოცნობას და შეფასებას, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირებასა და ანალიზს – შესაბამისი დასკვნების გამოტანასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად ან საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; |
| კომუნიკაციის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს**:<br>➢ კომუნიკაციის დამყარებას სოციუმის ცალკეულ წევრებთან, სამუშაო ჯგუფთან;<br>➢ მოახერხოს პაციენტისა და მისი ახლობლების ნდობის მოპოვება;<br>➢ ზეპირად და წერილობით დაამყაროს კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე;<br>➢ კოლეგებთან ურთიერთობისას დაიცვას სუბორდინაციის წესები;<br>➢ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობას სპეციფიკური ტერმინების გამოყენებით; ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას არასპეციალისტებთან; პაციენტებს, მათ მშობლებსა და ახლობლებს ინფორმაცია მიაწოდოს მათთვის გასაგები / ადვილად აღსაქმელი და მისაღები ფორმით, პროფესიული ეთიკის წესების გათვალისწინებით, პრეზენტაციის უნარის გამოყენებით.<br>➢ წარმატებით გამოიყენებს ინტერპერსონალურ კომუნიკაციას პროფესიულ კონტექსტში. სამედიცინო და პროფესიული |

| | |
|---|---|
| | გუნდის დანარჩენ წევრებთან, რაც უზრუნველყოფს კოლეგებთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას<br><br>➢ გუნდურ და ინდივიდუალურ ურთიერთობებს;<br><br>➢ ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ სასწავლო ლიტერატურის,ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, საკუთარი მოსაზრების სხვებისთვის გაზიარებას, თემატური კითხვების დასმას, მიწოდებული ინფორმაციის გაგებას და ანალიზს;<br><br>➢ ონკოლოგიური და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტების, მათი ახლობლების ფსიქოემოციურ მხარდაჭერას, ავადმყოფებთან და კოლეგებთან ეთიკის წესების დაცვით ურთიერთობას, მათი ნდობის მოპოვებას;<br><br>➢ ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს ქართულ და ინგლისურ ენებზე, იყენებს მათ პროფესიულ კონტექსტში – სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისათვის, შენახვისა და დაცვისთვის, გადაცემისა და გავრცელებისათვის.<br><br>➢ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვის, გავრცელების, დემონსტრირების მიზნით |
| სწავლის უნარი | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს**:<br><br>➢ განსაზღვროს სამედიცინო განათლების გაღრმავების საჭიროება, საკუთარი ცოდნის დეფიციტი, მოიძიოს და დაამუშავოს სათანადო ლიტერატურა;<br><br>➢ დახვეწოს პროფესიული კომპეტენციები, რომელიც უზრუნველყოფს მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას ცვალებად გარემოში;<br><br>➢ პროფესიული განათლების გაღრმავების საჭიროების და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებების დამოუკიდებლად განსაზღვრას;<br><br>➢ იზრუნოს პროფესიული კომპტენციების ამაღლებაზე, სწავლის |

| | |
|---|---|
| | პროცესში საჭირო ინფორმაციის და ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებაზე;<br><br>➢ სამედიცინო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება;<br><br>➢ დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის გაღმავების საჭიროება სწრაფად ცვლად ვითარებაში, დასახოს კარიერული წინსვლისთვის საჭირო ღონისძიებები;<br><br>➢ გააცნობიეროს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობა, დასახოს შემდგომი პროფესიული განვითარების გზები, მოიპოვოს და გამოიყენოს საჭირო სასწავლო ლიტერატურა, იზრუნებს როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაზე, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწაზე ცვალებად გარემოში;<br><br>➢ ადეკვატურად უპასუხოს გადაუდებელ მდგომარეობათა მართვის მუდმივად ცვლად პროცესს, შეაფასოს პროფესიული ცოდნის დეფიციტი და იზრუნოს უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღებაზე;<br><br>➢ შეძენილი ცოდნითა და სასწავლო გამოცდილებით გაიადვილოს ახალი სასწავლო და კლინიკური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა და უწყვეტი სამედიცინო განათლების აუცილებლობის გაცნობიერება, ;<br><br>➢ სწავლის შემდგომი პერსპექტივების დასახვას, ცოდნის დეფიციტის განსაზღვრასა და ზრუნვას ახალი პროფესიული ლიტერატურისდაინფორმაციისმოძიებაზე, პრაქტიკული საქმიანობის დაეხმარებით გააცნობიეროს უწყვეტი სამედიცინო გამათლების მნიშვნელობა და საჭიროება;<br><br>➢ შეაფასოს საკუთარი პროფესიული განათლების დონე, დასახოს გეგმები სამედიცინო განათლების გაღრმავების მიზნით, შეიცადოს აიმაღლოს პროფესიული კომპეტენციები ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტების გათვალისწინებით; ჰქონდეს მზაობა, უწყვეტი სამედიცინო განათლებით უპასუხოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებულ |

| | |
|---|---|
| | პრიორიტეტებს; |
| ღირებულებები | **პროფესიული სტუდენტი შეძლებს:**<br>➢ იმოქმედოს საექთნო საქმის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივ საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;<br>➢ პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას დაიცვას სამედიცინო ეთიკის ნორმები, შეაფასოს და გაიზიაროს მათი დამოკიდებულება პროფესიული ღირებულებებისადმი, კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, პასუხისმგებლობითმოეკიდოს დაკისრებულ სამუშაოს;<br>➢ პატივს სცეს პაციენტის სურვილებს, უფლებებს, შეხედულებებს განურჩევლად მათი ეროვნების და რელიგიური კუთვნილებისა;<br>➢ იყოს კრიტიკული საკუთარი პროფესიული საქმიანობის მიმართ, ადეკვატურად რეაგირებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ რჩევებსა და შენიშვნებზე; შეაფასოს სხვათა დამოკიდებულება, პროფესიული ღირებულებები და მზად იყოს საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას;<br>➢ გამოუმუშავდეს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: ურთიერთპატივისცემა, თანაგრძნობა, ნდობა, კომპრომისის უნარი და ა.შ.;<br>➢ გაცნობიეროს ადამიანის სიცოცხლე, როგორც მთავარი ღირებულება, იზრუნოს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის, განურჩევლად მისი სოციალური სტატუსის, რელიგიური კუთვნილების და ეროვნებისა; პროფესიული და ზნეობრივი საქმიანობა დაიხმაროს კოლეგებისა და პაციენტების ნდობის მოპოვებაში;<br>➢ იმოქმედოს პროფესიული ეთიკის დაცვით, დაიცვას მათი ინტერესები, გაითვალისწინოს ავადმყოფ ადამიანებთან |

| | |
|---|---|
| | და მათ ახლობლებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური თავისებურებები; |

| სასწავლო კურსები |
|---|
| პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება |
| ფარმაკოლოგია |
| თერაპიის საფუძვლები |
| ანატომია და ფიზიოლოგია თანამედროვე სამყაროში |
| ბიოეთიკა და პროფესიული საქმიანობა |
| სამედიცინო ბიოლოგია |
| ლიდერობა და ურთიერთობის ფსიქოლოგია |
| საინფორმაციო და საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამები |
| ზოგადი ბიოლოგია |
| ინგლისური ენა A2-B1 |
| გერიატრია და პალიატიური მზრუნველობა |
| ავადმყოფის მოვლა პრაქტიკოსი ექთნის მოვალეობები |
| ბავშვთა მოვლა |
| სხვადასხვა დაავადებების მქონე პაციენტთა მოვლა |
| ინფექციური დაავადებები |
| ინგლისური ენა B1-B2 |
| საწარმოო პრაქტიკა საექთნო საქმე ნაწილი 1 |
| საწარმოო პრაქტიკა საექთნო საქმე ნაწილი 2 |
| საწარმოო პრაქტიკა საექთნო საქმე ნაწილი 3 |

## XI.პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას

- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

## XII.სწავლების მეთოდოლოგია

კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდები კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე. კერძოდ, თეორიული კომპონენტის სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგია:

| | |
|---|---|
| სალექციო სწავლება | *თემის გაშუქების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:*<br>• ლექცია- მონოლოგი (ახალი თემის ახსნის ან გაუგებარი მასალის განმარტების დროს)<br>• აქტიურილექცია (განვლილ მასალიდან გამომდინარე ახალი თემის ახსნის დროს პროფესიულ სტუდენტების ჩართვა და ლექციისათვის საჭირო საკითხების გახსენება, პროფესიულ სტუდენტებთან ერთად მსჯელობა და დასმული პრობლემის გადაჭრა )<br>• გონებრივიიერიში(ახალი მასალის შემოტანისას პრობლემის ჩამოყალიბება, საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულებების ჩამოყალიბება და პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წამოყენებული იდეების შეჯერება )<br>• თვალსაჩინოება |
| სამუშაო ჯგუფში მუშაობა | *სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს გამოიყენება:*<br>• ჯგუფური დავალებისწარდგინება/შემოწმება (პროფესიულ სტუდენტს აჩვევს ყოველდღიურ მუშაობას და შესრულებული დავალების კონტროლს, ამავე დროს გამოავლენს, თუ როგორ აითვისა შესასწავლი მასალა)<br>• დისკუსია/დებატები (დასმული პრობლემის გარშემო, ასევე ჯგუფური დავალების განხილვისას. საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეხედულება ჩამოაყალიბოს, ეკამათოს სხვას და ისწავლოს თავის დაცვა) |
| პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული მეცადინეობის დროს, პროფესიული სტუდენტი პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებით, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ავლენს ჯგუფში ცოდნას, მუშაობს და პროფესიული განათლების |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის მითითებით ინდივიდუალურად, პრაქტიკულად ასრულებს დავალებულ სამუშაოებს.<br>პრაქტიკული მეთოდები:<br>• ჯგუფური (Collaborative) მუშაობა<br>• თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება<br>• შემთხვევის ანალიზი (Case study)<br>• დემოსტრირების მეთოდი<br>• ახსნა–განმარტებითი მეთოდი |

## XIII. პროფესიულისტუდენტისცოდნისშეფასება

| თეორიული კომპონენტის შემადგენელი სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომლებიც გადანაწილებულია სასწავლო კურსის შეფასების შემდეგ კომპონენტებს შორის: | |
|---|---|
| სემინარი (მაქსიმალური ქულა 5), შემდეგი ქულათა გრადააციით: | 0 ქულა - არ არის მომზადებული სემინარისთვის;<br><br>1 ქულა - არასრულად არის მომზადებული, არ ავლენს ათვისებულ ცოდნას<br><br>2 ქულა - არასრულად არის მომზადებული, ნაწილობრივ ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>3 ქულა - დამაკმაყოფილებლად არის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>4 ქულა - კარგადარის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>5 ქულა - სრულფასოვნად არის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას; |
| პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითის განხილვა (მაქსიმალური ქულა 5) შემდეგი ქულათა გრადაციით: | პრაქტიკული მეცადინეობების შედეგების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით, სასწავლო გეგმით გათვაალისწინებულია იმ რაოდენობის პრაქტიკული მეცადინეობა, რამდენი ქულაც არის განკუთვნილი მისი შეფასებისათვის. |

| | |
|---|---|
| | 0-5 ქულა, საიდანაც:<br>0 ქულა - საერთოდ ვერ ართმევს თავს; პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვა<br><br>1 ქულა - არასრულად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, არ ავლენს ათვისებულ ცოდნას<br><br>2 ქულა - არასრულად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ნაწილობრივ ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>3 ქულა - დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>4 ქულა - კარგად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას;<br><br>5 ქულა - სრულფასოვნად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას; |
| შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები | შუალედური გამოცდა ტარდება ტესტური ფორმით. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა იმ რაოდენობის ტესტური კითხვა, რამდენი ქულაც არის განკუთვნილი შუალედური გამოცდისათვის.<br><br>ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ან პასუხის გაუცემლობა - 0 ქულით. |
| დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები | 0-40 ქულა<br><br>დასკვნითი გამოცდა ტარდება ტესტური დავალებების ფორმით. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა იმ რაოდენობის ტესტური კითხვა რამდენი ქულაც არის განკუთვნილი გამოცდისათვის. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ან პასუხის გაუცემლობა - 0 ქულით. |

| XIV. პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი სასწავლო კურსის შეფასების სისტემა | |
|---|---|
| **პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომლებიც გადანაწილებულია სასწავლო კურსის შეფასების შემდეგ კომპონენტებს შორის:** | |
| შუალედური გამოცდის შეფასების კომპონენტები | შუალედურიგამოცდა ფასდება მაქსიმუმ 20 ქულითპროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიშის და გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, შემდეგი ქულათა გრადაციის შესაბამისად:<br>**პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიში:**<br>ა) პრაქტიკისშინაარსთანშესაბამისობა – მაქსიმუმი 2 ქულა:<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ სრულიშეუსაბამობა 0 ქულა<br>ბ) პრაქტიკისარსისსწორიხედვა – მაქსიმუმი 2 ქულა:<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ ხედვისსაერთოდარგამოვლენა 0 ქულა<br>დ) ანალიზისუნარისგამოვლენამაქსიმუმი 2 ქულა:<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივშესაბამისობა 1 ქულა<br>✓ ანალიზისუნარისსაერთოდარგამოვლენა 0 ქულა<br>ე) პროფესიულიტერმინოლოგიისგამოყენებამაქსიმუმი 2 ქულა<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ საერთოდგამოუყენებლობა 0 ქულა<br>ვ) განხორციელებულისამუშაოსზუსტადდალაკონურადაღწერისუნარიმაქსიმუმი 2 ქულა<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არარის 0 ქულა<br><br>**პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები**<br>ა) საზოგადოებასთანეფექტურიკომუნიკაციისდამყარებამაქსიმუმი 2 |

| | |
|---|---|
| | ქულა<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ კომუნიკაციისუნარ-ჩვევებისსაერთოდარგამოვლენა 0 ქულა<br>**ბ) დროისმართვისუნარიმაქსიმუმი 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ დროისმართვისუნარისსაერთოდარგამოვლინა 0 ქულა<br>**გ) პროფესიულკონტექსტშიგარკვეულწილადგანსხვავებულიიდეების დამიდგომებისწარმოჩენამაქსიმუმი 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არარის 0 ქულა<br>**დ) შესრულებული სამუშაოს არქიტექტონიკა პრიორიტეტულობის მიხედვით მაქსიმუმი 2 ქულა:**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არარის 0 ქულა<br>**ე) პრობლემის იდენტიფიკაციის, მათი გამოვლენის მიზეზებისა და გადაწყვეტის გზების ნათლად წარმოჩენის უნარი მაქსიმუმი 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არარის 0 ქულა<br>*შენიშვნა: შუალედური გამოცდა ტარდება პრაქტიკული კურსის მსვლელობისას სამჯერ* |
| დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები | დასკვნითიგამოცდა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულითპროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიშის, გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ასევე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელის დახასიათების საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:<br>**პროფესიულ სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიში:**<br>**ა) პრაქტიკისშინაარსთანშესაბამისობა – მაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ სრული შეუსაბამობა 0 ქულა<br>**ბ) პრაქტიკისარსისსწორიხედვა – მაქსიმალური 2 ქულა** |

| | |
|---|---|
| | ✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ ხედვისსაერთოდარგამოვლენა 0 ქულა<br>**დ) ანალიზისუნარისგამოვლენამაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ შესაბამისობა 1 ქულა<br>✓ ანალიზის უნარის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა<br>**ე) პროფესიულიტერმინოლოგიისგამოყენება – მაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ საერთოდ გამოუყენებლობა 0 ქულა<br>**ზ) განხორციელებულისამუშაოსზუსტადდალაკონურადაღწერისუნარი – მაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არ არის 0 ქულა<br>**პროფესიულისტუდენტისმიერგამოვლენილიპრაქტიკულიუნარ-ჩვევები:**<br>**ა) დროისმართვისუნარი – მაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ დროის მართვის უნარის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა<br>**ბ) საზოგადოებასთანეფექტურიკომუნიკაციისდამყარება – მაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ კომუნიკაციისუნარჩვევებისსაერთოდარგამოვლენა 0 ქულა<br>**გ) პროფესიულკონტექსტშიგარკვეულწილადგანსხვავებულიიდეებისდამიდგომებისწარმოჩენამაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არ არის 0 ქულა<br>**დ) შესრულებულისამუშაოსარქიტექტონიკაპრიორიტეტულობისმიხედვითმაქსიმალურიორიქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არ არის 0 ქულა<br>**ე) პრობლემისიდენტიფიკაციის, მათიგამოვლენისმიზეზებისადაგადაწყვეტისგზებისნათლადწარმოჩენის უნარიმაქსიმალური 2 ქულა**<br>✓ სრულფასოვნად 2 ქულა<br>✓ ნაწილობრივ 1 ქულა<br>✓ არ არის 0 ქულა |

| | |
|---|---|
| | **პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უშუალო პრაქტიკის ხელმძღვანელის – პრაქტიკის ინსტრუქტორის დახასიათება:**<br>**ა) პროფესიული უნარები (ინდივიდუალური):**<br>✓ 0 ქულა - არ არის;<br>✓ 1 ქულა - მწირი;<br>✓ 2 ქულა - მისაღები;<br>✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი<br>✓ 4 ქულა - კარგი<br>✓ 5 ქულა - შესანიშნავი<br>**ბ) პროფესიული უნარები (ჯგუფური)**<br>✓ 0 ქულა - არ არის;<br>✓ 1 ქულა - მწირი;<br>✓ 2 ქულა - მისაღები;<br>✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი<br>✓ 4 ქულა - კარგი<br>✓ 5 ქულა - შესანიშნავი<br>**გ) ინტერდისციპლინური უნარები**<br>✓ 0 ქულა - არ არის;<br>✓ 1 ქულა - მწირი;<br>✓ 2 ქულა - მისაღები;<br>✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი<br>✓ 4 ქულა - კარგი<br>✓ 5 ქულა - შესანიშნავი<br>**დ) პროფესიული ეთიკა და დისციპლინა**<br>✓ 0 ქულა - არ არის;<br>✓ 1 ქულა - მწირი;<br>✓ 2 ქულა - მისაღები;<br>✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი<br>✓ 4 ქულა - კარგი<br>5 ქულა - შესანიშნავი |

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალურიშეფასება 100 ქულაა.






**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

**II. პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური**

**III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** 162კრედიტი და სავარაუდო ხანგრძლივობა:  29 სასწავლო თვე

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**VI. საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

**VII. დასაქმების სფერო:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.

## VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასდა განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია დასაკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

## IX. სწავლის შედეგი:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

## X. პროგრამისსტრუქტურა და მოდულები:

| სავალდებულო ზოგადიმოდულები | სავალდებულოპროფესიული მოდულები | არჩევითი მოდული/მოდულები[1] |
|---|---|---|
| დასახელება | დასახელება | დასახელება |
| კომუნიკაცია | გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | ხატვა |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| რაოდენობრივი წიგნიერება | საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | ძერწვა |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | ორიგამი, კირიგამი დააპლიკაცია |
| მეწარმეობა | ადრეული განვითარების თავისებურებები | |
| პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | ადრეული განათლების კურიკულუმი | |
| უცხოური ენა | ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა | |
| ქართული ენა A2 | სააღმზრდელო გარემო | |
| სამოქალაქო განათლება | სააღმზრდელო პროცესი | |
| ქართული ენა B1 | სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება | |
| | სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა | |
| | სწავლების შინაარსი:სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები | |
| | დაკვირვება და შეფასება | |
| | განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები | |

| | | |
|---|---|---|
| | ოჯახი,თემი და სააღმზრდელო დაწესებულება | |
| | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | |
| | პროფესიულიეთიკა | |

**XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაშიპროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

**XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.




**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბანკის მოლარე-ოპერატორი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** III საფეხური

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბანკის მოლარე-ოპერატორისმესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** 98 კრედიტი და სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**VI. დასაქმების სფერო:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდესმოლარედ, ან მოლარე ოპერატორად კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

**VII. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ცოდნა შრომის ბაზარზე ფართოდ წარმოდგენილი პროფესიის — მოლარე-ოპერატორის შესახებ და განუვითაროს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც შესაძლებელობას მისცემს მას დასაქმდეს მოლარედ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

*VIII. საკანონმდებლო ბაზა:*

- *საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ*
- ეროვნულისაკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბანკის მოლარე ოპერატორისპროფესიული სტანდარტი

*IX. სწავლის შედეგი:*

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ანგარიშის გახსნა/დახურვა
- ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნების ამოცნობა
- სწრაფი ფულადი გზავნილების განხორციელება
- დეპოზიტების მართვა
- სესხების მართვა
- დისტანციური მომსახურება
- სალაროს გახსნა–დახურვა
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება
- გაყიდვების ტექნიკის გამოყენება
- სწრაფი ფულადი გზავნილები
- კონფლიქტური სიტუაციების მართვა

X. პროგრამისსტრუქტურა და მოდულები:

| სავალდებულო ზოგადიმოდულები | სავალდებულოპროფესიული მოდულები | არჩევითი მოდული/მოდულები[2] |
|---|---|---|
| დასახელება | დასახელება | დასახელება |
| კომუნიკაცია | გაცნობითი პრაქტიკა-ბანკის მოლარე-ოპერატორი | |
| რაოდენობრივი წიგნიერება | საწარმოო პრაქტიკა-ბანკის მოლარე-ოპერატორი | |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | პრაქტიკულიპროექტი-ბანკის მოლარე-ოპერატორი | |
| მეწარმეობა | ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები | |
| პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | უნაღდოანგარიშსწორებისოპერაციები | |
| უცხოური ენა | გაყიდვებისტექნიკა | |
| ქართულიენა A2 | სწრაფიფულადი გზავნილები | |
| სამოქალაქოგანათლება | დეპოზიტების მართვა | |
| | სესხების მართვა | |
| | ანგარიშის გახსნა/დახურვა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები | | | |
| | დისტანციური საბანკო მომსახურებები | | | |
| | კონფლიქტური სიტუაციების მართვა | | | |
| | სერვისპლიუსი | | | |
| | სალაროს გახსნა/ დახურვა | | | |

## XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას დაუშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაშიპროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

## XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

# საზოგადოებრივი კოლეჯი “ელიტი”



**საზოგადოებრივი კოლეჯი "ელიტი"**

**მისამართი:**

საქართველო, ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. 7 (ყოფილი ცისფერყანწელთა ქუჩა)

**მისამართი:**

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ N15